

178  
1974



178

# სახჭოთა სამართალი

26

საქართველოს ენციკლოპედიის გამომცემლობა

1974 **1**

# საბჭოთა სამართალი

№ 1



იანვარი—თებერვალი  
1974 წელი

შუბნალი გამომცემის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ჟურნალი

## ზინაარსი

50 წელი ულენინოდ, ლენინის გზით	3
ა. გაბიანი — ნარკოტიკების სოციალური მავნეობის შესახებ	6
ბ. ბერძენიშვილი — ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ	18
ო. კიკვიძე — საწარმოო ტრავმატიზმი და მისგან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი საკითხი	22
ჰ. ბაბილაშვილი — ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეები საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში	27
გ. მოსხვიანი — ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის ცნების, საფუძვლისა და მომენტის საკითხისათვის	40
ო. გვახარია — კრიმინალისტიკა და ინფორმაციის თეორია	47
ლ. სურგულაძე — საბჭოთა საქართველოს პირველი ნორმატიული აქტების მნიშვნელობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებისათვის	52
ს. ცაიშვილი — შენიშვნები ერთი წერილის გამო	63
ვ. ტარტარაშვილი — ზოგიერთი ცნობა XVIII საუკუნის საქართველოში ტყვეთა ყიდვის აკრძალვის შესახებ	66
შ. ჭაფარიძე, თ. ადამაძე — ნიკო ლორთქიფანიძის გასამართლება ცარიზმის სასამართლოს მიერ	68
ვ. სიღაწონიძე — ილია ჭავჭავაძე სამსჯავროს წინაშე	73
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში	78
ოფიციალური მასალა	80

## კრიტიკა და გიგლიოგრაფია

ვ. ტყეშელაძე — პირველი მონოგრაფია აფექტურ დანაშაულზე	81
ინფორმაცია	85
მმაჩის ორგანოების პრაქტიკა	94

65521

კ. მარტოვიძის სახელობის საქართველოს უმაღლესი სასამართლო



## СОДЕРЖАНИЕ

50 лет без Ленина, по ленинскому пути . . . . .	3
А. Габнани — О вредных социальных последствиях наркотизма . . . . .	6
II. Бердзенишвили — Об усилении борьбы против антиобщественного, паразитического образа жизни . . . . .	18
О. Киквидзе — Производственный травматизм и некоторые вопросы возмещения причиняемого им вреда . . . . .	22
Д. Бабилашвили — Дела автотранспортных преступлений в судебной практике Грузинской ССР . . . . .	27
Г. Мосесян — К вопросу о понятии, основании и моменте привлечения в качестве обвиняемого . . . . .	40
О. Гвахариа — Криминалистика и теория информации . . . . .	47
Л. Сургуладзе — Значение первых нормативных актов Советской Грузии для развития уголовно-правового законодательства . . . . .	52
С. Цаишвили — Замечание по поводу одной статьи . . . . .	63
В. Таргарашвили — Некоторые сведения о запрещении торговли невольниками в Грузии в XVIII веке . . . . .	66
III. Джапаридзе, Т. Адамадзе — Н. М. Лордкипанидзе перед царским судом . . . . .	68
В. Сидамонидзе — Илья Чавчавадзе отвечает в суде как редактор «Дроеба» и «Иверии» . . . . .	73
В Президиуме Верховного Совета Грузинской ССР . . . . .	78
Официальный материал . . . . .	80
<b>КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ</b>	
Г. Ткешелиадзе — Первая монография о преступлении, совершенном в состоянии аффекта . . . . .	81
Информация . . . . .	85
Практика органов ЗАГС-а . . . . .	94

### სარედაქციო კოლეგია

შგვ. № 592

ტირაჟი 15.600

შე 01240

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩხია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესნანოვის პროსპ. 107.

გადეცა წარმოებას 13/II-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV-74 წ., ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვკვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# ოკომოსდაათი წელი უღენინოღ, ღენინის გზით



ორმოცდაათი წლის წინათ კაცობრიობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. უკვე ნახევარი საუკუნეა საბჭოთა ხალხი უღენინოდ ცხოვრობს და იბრძვის იმ ნათელი იდეალების განსახორციელებლად, რაც მან მემკვიდრეობით დაგვიტოვა. ამ ხნის მანძილზე სსრ კავშირი ძღვევამოსილი სახელმწიფო გახდა. ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. ახლა, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად შრომობს და იღწვის სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ვ. ი. ლენინის უკვდავ საგანძურში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა სახელმწიფოს თეორიისა და პრაქტიკის, სოციალისტური დემოკრატიის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს. ვ. ი. ლენინის შრომები ამომწურავ პასუხს იძლევიან თანამედროვე განვითარების ძირეულ საკითხებზე, იდეურად აიარაღებენ საბჭოთა ხალხს, აშუქებენ კომუნიზმის მშენებლობის გზას.

ვ. ი. ლენინის დამსახურება იმაშია, რომ მან არა მარტო დაიცვა საერთაშორისო ოპორტუნისმიისაგან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, არამედ საბჭოთა ხელისუფლების გამოცდილებიდან გამომდინარე შემდგომ განავითარა იგი და შეიმუშავა სოციალისტური სახელმწიფოს თეორია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის ამ თეორიით და ფართო ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო კომუნიზმის მშენებლობის მთავარ იარაღად იქცა. უმისოდ წარმოუდგენელია ჩვენი საზოგადოების წინსვლა კომუნიზმისაკენ.

სკკპ XXIV ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას, რომელსაც იგი ეწევა უკანასკნელ წლებში საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და მისი ეკონომიური როლის ამაღლებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფისათვის, საბჭოთა კანონების განახლებისა და კანონიერების განუხრელად დაცვისათვის.

იდეა საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე, 1917 წლის აპრილში, თავის ცნობილ თეზისებში ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის კლასიკური სახელმწიფოებრივი ფორმა იქნება საბჭოების რესპუბლიკა.

ვ. ი. ლენინი არის არა მარტო ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენის ავტორი, არამედ უშუალო შემქმნელიც საბჭოთა სახელმწიფო აპარატისა, მისი ორგანოების სისტემისა. ვ. ი. ლენინი, როგორც სახალხო კომისართა საბჭოთს თავმჯდომარე ცენტრალურ და ადგილობრივ და სახელმწიფო აპარატის საქმიანობაში ნერგავდა პრინციპულობას, საუკეთესო გამოცდილებას, მეცნიერულ მეთოდებს, ებრძოდა ბიუროკრატიზმსა და უსულგულობას, აგრეთვე სხვა ნაკლოვანებებს საბჭოების ორგანოების საქმიანობაში.

ამჟამად კომუნისტური პარტია ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოების პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფაში. გაფართოვდა რაიონული, საქალაქო, სასოფ-



ლო და სადაბო საბჭოების უფლებანი, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან დარგშიც, როგორც არის მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაცია.

თანამედროვე პირობებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყველა რგოლის ერთერთი მთავარი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ იბრძოლონ სოციალისტური კანონიერების დაცვისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მშრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის. ამ მოვალეობათა შესრულება საბჭოთა ორგანოების, დეპუტატებისა და მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი მხარეა.

საბჭოების როლისა და დეპუტატების ავტორიტეტის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი კანონის მიღებამ დეპუტატის სტატუსის შესახებ. ეს აქტი წარმოადგენს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს.

ვ. ი. ლენინის კლასიკურ შრომებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დემოკრატიის პრობლემებს. ვ. ი. ლენინს იგი მიანდა არსებით საკითხად პროლეტარიატის ბრძოლაში კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და სოციალიზმის აშენებისათვის.

სოციალისტურ დემოკრატიას ვ. ი. ლენინი თვლიდა სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ნაწილად, რომელიც იცვლება და ვითარდება საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების კვლობაზე.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონე აყენებს საკითხს დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის შესახებ. პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ნათქვამია: „ბრძოლა კომუნისმის აშენებისათვის განუწყრელად დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებასთან, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასთან, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემის სრულყოფასთან“.<sup>1</sup>

უკანასკნელ ხანს ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფისათვის ყველა საფეხურზე და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის კურსი, სახელმწიფოს მართვაში ფართო მასების კურსი მომავალშიც გაგრძელდება.

ამის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ჩვენთვის სოციალისტური დემოკრატიის აზრი და შინაარსია სულ უფრო ფართო მასების მონაწილეობა ქვეყნის, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა, მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი ინიციატივა ჩვენში კომუნისმის საარსებო მოთხოვნილებაა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების აუცილებელი პირობაა“.<sup>2</sup>

ვ. ი. ლენინმა თავის შრომებში ყოველმხრივ დაასაბუთა კანონიერების როლი და მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. „საჭიროა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და

<sup>1</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 254.

<sup>2</sup> ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. გაზეთ „კომუნისტი“, 1971 წლის 1 აპრილი.

ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს“.<sup>3</sup>

კანონიერების განმტკიცება წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება. კანონიერება სოციალისტური დემოკრატიის განხორციელების საშუალებაა. სოციალისტურ საზოგადოებაში სწორედ კანონების საშუალებით ხდება მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

ვ. ი. ლენინის სოციალისტურ კანონიერებათა დარღვევის თავიდან აცილების, დამნაშავეობის ლიკვიდაციის აუცილებელ პირობად მიაჩნდა მშრომელი მასების კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვთებით აღზრდა, მათი კულტურის დონის ამაღლება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის ამ ფუძემდებლური პრინციპებით, ყველა ღონეს ხმარობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვთებით ადამიანთა აღზრდისათვის. პარტია გადაჭრით ებრძვის კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, მეშინურ განწყობილებებს, უნერგავს საბჭოთა ადამიანებს საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის ჩვევებს.

ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობამ გაუძლო დროის გამოცდას. ცხოვრებამ საგნებით უკუაგდო ბურჟუაზიული იდეოლოგიის მონაჩმახი თითქოს მისი თეორია მოძველდა და აღარ შეესაბამება საზოგადოების განვითარების დღევანდელ დონეს. პირიქით, რაც დრო გადის მით უფრო ნათელი ხდება თუ როგორ შორს იყურებოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რა ღრმა და ყოვლისმომცველია მოვლენების განვითარების მისეული ანალიზი.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ მიღწეული წარმატების შეჯამებასთან ერთად კომუნისტებმა საქმიანად უნდა განიხილონ მორიგი ამოცანები, ყურადღება გაამახვილონ გადაუჭრელ პრობლემებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, შემიშაონ მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ვ. ი. ლენინის ამ მითითებით ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ვაბედულად ავლენს სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის მავნე შედეგებს, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა რესპუბლიკას, მატერიალურ და იდეოლოგიურ სფეროს, მათ შორის კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, სოციალისტური დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებას.

რესპუბლიკაში ხორცილდება ფართო ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ ცხოვრებაში გასატარებლად. განხორციელებულმა ეფექტურმა ღონისძიებებმა უკვე მოგვცეს პირველი დადებითი შედეგები. იზრდება მასების შემოქმედებითი აქტივობა, მტკიცდება პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, დაისახა დამნაშავეობის შემცირების ტენდენცია.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელები პირნათლად შესასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, დაძლევენ სიძნელეებს, შეიტანენ თავის წვლილს ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობაში.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 659—660

## ნარკოზიზმის სოციალური გავრცელების შესახებ

ა. გაბიანი

ნარკოტიზმის სოციალური მნიშვნელობის სწორად გაგებისათვის, საჭიროა გავარკვიოთ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ორგანიზმზე ზემოქმედების ზოგიერთი ისეთი მხარე, რაც ამ ნივთიერებათა ხმარებას ინდივიდუალურ და სოციალურ უბედურებად აქცევს. სხვაგვარად გაუგებარი გახდება საზოგადოებრიობის ის დიდი შეშფოთება, რომელიც თან ახლავს ნარკომანიის გავრცელებას.

ზიანი, რომელსაც ადამიანის ორგანიზმს აყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარება, გვანტერესებს არა თავისთავად, არამედ როგორც პიროვნებისა და მისი სოციალური ქცევის არსებითი გარდაქმნის მიზეზი. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების რთული კომპლექსიდან საჭიროა გამოიყოს ის კანონზომიერებები, რომლებიც ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია. მათ რიცხვს მიეკუთვნება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შედეგები — ეიფორიის მომგვრელი ეფექტი და მიჩვევის განვითარება. მიჩვევის მექანიზმი, ერთი მხრივ, ტოლერანტობის ზრდით ვლინდება, მეორე მხრივ კი — ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულების განვითარებით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ორგანიზმზე ზემოქმედების ეს შედეგები სხვადასხვა ჯგუფის ნარკოტიკების ხმარების დროს სხვადასხვა სიძნელედ მყდვნიან, ხოლო ზოგიერთი მათგანი ცალკეულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების დროს სრულიად არ ვითარდება. მაგალითად, ჰაშიშის (ანაშის, პლანის) ხმარებისას ტოლერანტობა არა მარტო არ იზრდება, არამედ ზოგიერთი სპეციალისტის მითითებით, მცირდება კიდევ.<sup>1</sup>

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების შედეგად განვითარებადი ეიფორიის ხასიათი და სიძლიერე დამოკიდებულია მიღებული ნარკოტიკის სახეობაზე, დოზაზე და მიღების ხერხზე, პიროვნების ფიზიკურ და ფსიქიკურ თავისებურებებზე, ნარკოტიკების ხმარების ხანგრძლივობაზე, ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე და ა. შ.

ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მიჩვევის მექანიზმში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაზრდილი ტოლერანტობის განვითარებას, როგორც ნარკოტიკების ხმარების სოციალურად მნიშვნელოვან შედეგს. ტოლერანტობას უწოდებენ ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციას, კუპირებისათვის ანუ ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ხდება დოზების მკვეთრი გაზრდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. მ. ო. გურევიჩ, Психиатрия, М., 1949, გვ. 261; В. М. Баншиков, Т. А. Невзорова, Психиатрия, М., 1969, გვ. 134 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. Д. Д. Федотов, Современное состояние и перспективы разработки проблемы лечения и профилактики неалкогольных токсикоманий, Алкоголизм и токсикомании, Сборник, М., 1968, გვ. 172.

ტოლერანტობის ზრდა და აბსტინენციის გაძლიერება ერთდროულად მინდინარეობს და ფაქტიურად წარმოადგენს ერთი და იგივე მოვლენის — ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი ფიზიკური მიჩვევის ორგვარ გამოვლინებას. უფრო მეტიც, აბსტინენციის ინტენსივობის ზრდა ტოლერანტობის ზრდის, აგრეთვე ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გაძლიერების პირდაპირ პროპორციულად მიმდინარე პროცესია. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარების მოსალოდნელი შედეგების: ეიფორიის მომგვრელი ეფექტის მისაღებად, აგრეთვე ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელი ხდება დოზების მკვეთრი ზრდა. საკითხის სწორედ ამგვარი დაყენებისას ხდება გასაგები თუ როგორ იქცევა ტოლერანტობა, რაც წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით წარმოადგენს ნარკოტიკული შხამების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის გაძლიერებას, ნარკომანიის განვითარების შინაგანი მექანიზმის ნაწილად და რატომ ენიჭება ორგანიზმის ბიოლოგიურ რეაქციას დიდი სოციალური მნიშვნელობა ნარკოტიკების ზრდის პრობლემის ახსნისას.

სახეებით სამართლიანად მიუთითებს პროფ. ვ. ვ. ბორინევიჩი, რომ „ორგანიზმის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ტოქსიკურ ნივთიერებათა სულ უფრო მეტ რაოდენობას, ვითარდება არა მხოლოდ ნარკოტიკებისა და ანალგეტიკების მიმართ, იგი აღმოცენდება შრავალი ისეთი ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისა და ნაერთების ხმარებისას, რომლებიც ავადმყოფური მიდრეკილების განვითარებას არ იწვევენ. ამგვარად, გაზრდილი ტოლერანტობა შეიძლება არსებობდეს როგორც ნარკომანიისაგან დამოუკიდებელი ფენომენი, მაგრამ ნარკომანიის შემთხვევაში ეს ფენომენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.“<sup>3</sup> (ხ. ჩ. ა. გ.).

ტოლერანტობის ზრდა ყველაზე უფრო მკვეთრად არის გამოხატული ოპიატების ხმარების დროს, თანაც მას თან ახლავს აბსტინენციის მკვეთრი ზრდა,<sup>4</sup> ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მოვლენის განხილვა ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების მაგალითზე.

ტოლერანტობის ზრდის პრობლემის განხილვისას საჭიროა ჯერ შევეხოთ იმ საკითხს, თუ დროის რა მონაკვეთი და ნარკოტიკული ნივთიერების რამდენჯერადი მიღებაა საშუალოდ საკმარისი მისი განვითარებისათვის.


როგორც დ. დ. ფედოტოვი მიუთითებს, „მორფის მიღების ავადმყოფური სურვილი აღმოცენდება 10-12 ინექციის შემდეგ, ზოგჯერ კი უფრო სწრაფად. ამ მომენტიდან უკვე ჩნდება დოზების გაზრდის მოთხოვნილება 0,02—0,03 გრ მორფინამდე (2-3 გრ. 1 პროცენტური ხსნარი)<sup>5</sup> და თუ დასაწყისში ნარკომანები იღებენ ნარკოტიკულ ნივთიერებას სასიამოვნო შეგრძნების მიღების მიზნით... სულ მალე მათ ერთადერთ მიზანს შეადგენს აბსტინენციის მოვლენების თავიდან აცილება, რომლებიც ძლიერდება ნარკოტიკის დოზის ზრდის შესაბამისად. ტოლერანტობა მორფინიზმის დროს ძალზე მაღალია. მაგალითად, იმ ადამიანისათვის, ვინც მორფიუმს არ არის მიჩვეული, 0,2—0,3 გრ. ამ პრეპარატისა მომაკვდინებელი დოზაა, მაშინ როდესაც ნარკომანები ერთჯერადად 0,5—

<sup>3</sup> იხ. **В. В. Бориневич**, Наркомани, М., 1963, გვ. 46.

<sup>4</sup> იხ. **В. В. Закусов**, Фармакология нервной системы, Л., 1953, გვ. 67; **Г. В. Морозов**, **В. А. Ромасенко**, Нервные и психические болезни, М., 1966, გვ. 140—141.

<sup>5</sup> მორფიუმის თავდაპირველი დოზა, როგორც წესი, შეადგენს 0,01 გრ. მორფიუმის ფხვნილს, ან 1 ამბულა 1 პროცენტური ხსნარს.





1 გრ. და მეტ მორფიუმის ფხვნილს იღებენ. აღწერილია შემთხვევები დღიურად 10 გრ. მორფიუმის ფხვნილის მიღებისა“.<sup>6</sup>

თუ ამ მსჯელობაში გარკვეულ კორექტივებს შევიტანთ, ანუ მივუთითებთ, რომ ყოველთვის სწრაფად როდი დგება ის მომენტი, როდესაც მორფინისტი მორფიუმს იღებს აბსტინენციის თავიდან აცილების ერთადერთი მისწრაფებით და რომ საკმაოდ ხშირად გვხვდებიან ისეთი ნარკომანები, რომელთაც ოპიატების დიდი დოზებით მიღების შედეგად დიდი ხნის, ზოგჯერ რამდენიმე წლის მანძილზე უფეთარდებთ ეიფორიის მდგომარეობა, აგრეთვე გავითვალისწინეთ, რომ დღელამის განმავლობაში 2 გრამზე მეტი მორფიუმის ფხვნილის მიღების შემთხვევები პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება, უნდა ვაღიაროთ, რომ დ. დ. ფედოტოვი სწორად ხსნის ტოლერანტობისა და აბსტინენციის ურთიერთქმედების ხასიათს ოპიუმის ჯგუფის ნარკომანიების დროს.

ამგვარად, ტოლერანტობა, რომელიც საშუალოდ ვითარდება მორფიუმის 10—12-ჯერ მიღების შემდეგ, სწრაფად იზრდება არა მარტო აბსტინენციის აღმოცენებისა და ზრდის, არამედ გარკვეული ხნის განმავლობაში, ეიფორიის მომგვრელი ეფექტის შენარჩუნების, ზოგჯერ კი გაძლიერების ფონზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპიომანის ცხოვრებაში ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგება ისეთი პერიოდი, როდესაც მისთვის ოპიატები დაკარგავენ ეიფორიის მომგვრელ ეფექტს, მაგრამ ხშირად ეს ხდება დიდი ხნის, ზოგჯერ კი რამდენიმე წლის განმავლობაში ოპიატების სისტემატიური და დიდი რაოდენობით მიღებისას.

გაზრდილი ტოლერანტობის განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღების სიხშირესთან.<sup>7</sup> ტოლერანტობა სწრაფად ვითარდება ნარკოტიკულ ნივთიერებათა რეგულარული ხმარების დროს და პირიქით — ნარკოტიკების არარეგულარულად, ეპიზოდურად მიღების შემთხვევაში შესაძლოა საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტოლერანტობა მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს. მაგ., პროფ. ვ. ვ. ბორინევიჩის აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც ოპიომანი 15 წლის განმავლობაში, იშვიათად ეწეოდა ოპიუმს და დოზის გაზრდის გარეშე იღებდა საჭირო ეფექტს.<sup>8</sup> აღნიშნული ფაქტორების გარდა ტოლერანტობის განვითარების სისწრაფე დამოკიდებულია აგრეთვე პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებებზე, რომელთა განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. საჭიროა აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანიზმის ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიმართ წინააღმდეგობის ზრდა ავადმყოფურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან შხამი, რომელსაც ადამიანი იღებს, იწვევს მის მიმართ „...განსაზღვრული სახის უჯრედების განსაკუთრებულ მდგრადობას და ამასთან ერთად უკარგავს მათ სხვა ფუნქციების შესრულების ან სხვა გავლენათა მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარს... ამის გამო მიჩვევა არის არა უნივერსალური, არამედ სპეციფიკური და უკავშირდება განსაზღვრულ ორგანოებს, უჯრედებს ან მხოლოდ განსაზღვრულ ფუნქციებს. არაფიზიოლოგიური გამოიწვევებისადმი შეგუება არის რაღაც პათოლოგიური მოვლენა, შეჩვევა არის ავადმყოფობა“.<sup>9</sup>

<sup>6</sup> იხ. დ. დ. ფედოტოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

<sup>7</sup> იხ. ვ. ვ. ბორინევიჩის დასახ. ნაშრომი, გვ. 49; ა. მ. მაკარიძე, ნარკომანიები, თბილისი, 1964, გვ. 73 და სხვა.

<sup>8</sup> იხ. ვ. ვ. ბორინევიჩის დასახ. ნაშრომი, გვ. 51—53.

<sup>9</sup> იხ. Э. Иоэль, Лечение наркоманий, Одесса, 1930, გვ. 15—16.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღების შეწყვეტის შემდეგ გაზრდილი ტოლერანტობის მოვლენები თანდათან ქრებიან, ამიტომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ ამა თუ იმ ნარკოტიკის ხმარების განახლების შემთხვევაში ადრინდელმა დოზამ ადამიანის სიკვდილიც კი შეიძლება გამოიწვიოს. ეს იცინა გამოცდილმა ოპიომანებმა და როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ნარკოტიკების მიღებისაგან თავის შეკავების შემდეგ ანახლებენ მათ ხმარებას, იჩენენ სათანადო სიფრთხილეს დოზის შერჩევისას.


იმ მავნე შედეგთა შორის, რომლებიც თან სდევნენ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკური დამოკიდებულების განვითარება, რაც ნარკომანის მიერ ნებაყოფლობით თუ იძულებით ნარკოტიკული ნივთიერების მიღებისაგან თავის შეკავების შემთხვევაში აბსტინენციის მოვლენების სახით ვლინდება.

აბსტინენციის მდგომარეობაში ნარკომანი ისეთ ძლიერ სულიერ ტანჯვას განიცდის, რომ ხშირად საბოლოოდ ჰკარგავს ადამიანის სახეს, თუმცა არა ყოველი ნარკოტიკული ნივთიერება იწვევს ისეთი სახის შეჩვევას, რომელიც მისი მიღებისაგან თავის შეკავების შემთხვევაში თანაბრად ძლიერ აბსტინენციის მოვლენების განვითარებაში მქადავდება. აბსტინენციის სიძლიერე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა დოზებზე და მიღების სისწირეზე, პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებებზე. „ყველაზე ძლიერი აბსტინენციური მოვლენები ვითარდება ჰეროინუმის ხმარების შედეგად, მეორე ადგილზე დგას მორფინი და პანტოპონი ვენაში შეყვანის დროს, შემდეგ მორფინი კუნთში და კანქვეშ შეყვანის შემთხვევაში, შედარებით სუსტია პრომედოლი და მორფინის მაგვარი მოქმედების სხვა სინთეტიკური პრეპარატები, კიდევ უფრო სუსტია ოპიუმი მოწვევის ან ჩაყლაპვის შემთხვევაში, დასასრულს კოდეინი, დიონინი და სხვა მათი მსგავსი პრეპარატები“.<sup>10</sup>

საბჭოთა კავშირში ჰეროინუმის წარმოება და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენება მთლიანად აკრძალულია. ამ პრეპარატს არ იყენებენ აგრეთვე ნარკომანები. ამის გამო აბსტინენტური სინდრომის აღწერას დაიწყებთ მორფიუმის აბსტინენციით. მორფიუმის აბსტინენცია ვითარდება მისი მიღებიდან 5—6 საათის გასვლის შემდეგ და, ისევე როგორც სხვა ნარკომანიების დროს, წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმზე მორფიუმის მოქმედების შეწყვეტის შედეგს.

აღსანიშნავია, რომ ნათლად გამოხატული მორფიუმის აბსტინენცია ადამიანს ამ ნარკოტიკული ნივთიერებისადმი ავადმყოფური მისწრაფების მონად აქცევს. ხშირად ქრონიკული მორფინისტები მორფიუმს იღებენ აბსტინენციის კუპირების, ე. ი. ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტისაგან გათავისუფლების ერთადერთი სურვილით.

„აბსტინენციის დროს განსაკუთრებით ძლიერად ვლინდებიან ვეგეტატიური აშლილობანი: გულისცემა, ოფლიანობა, ლორწოვანის ჰიპერსეკრეცია, მთქნარება, ცხვირის ცემინება, ხველა. პულსი ხშირი და სუსტია, თვალის გუგები ფართოვდება, ხმა ხრინწიანი ხდება, მისი ტემპრი იცვლება. აბსტინენციის დროს მწვაგდება უკვე არსებული დაავადებები... ძვლებსა და კუნთებში ჩნდება... ტკივილი, რომელსაც ზოგჯერ ქავილის ხასიათი აქვს, რაც ავადმყოფს უკიდურესად ძლიერ ტანჯვას აყენებს... იგი მუდმივ მოძრაობს, ყვირის, კვნესის, ტრიალებს ლოვინში, დარბის პალატაში, პერსონალს ემუდარება მისცენ მორ-



ფიუმი ან მისი შემცვლელი პრეპარატი... აღინიშნება მადის დაკარგვა, გულისრევა, პირღებინება, ტკივილი მუცლის არეში, ფაღარათი... თითქმის ყველა ავადმყოფს დასჩემდება უძილობა, რაც დიდხანს გრძელდება აბსტინენციის სხვა მოვლენათა შეწყვეტის შემდეგაც... ავადმყოფები დაჟინებით მოითხოვენ საავადმყოფოდან გაწერას... თუ არ გაწერენ, აცხადებენ შიშშილს, არღვევენ რეჟიმს, თავს ესხმიან პერსონალს, ამტვრევენ ჭურჭელს, ფანჯრის მინებს, უკიდურესად აგრესიულები ხდებიან. ამასთან ერთად შეიპყრობთ აპატია, ნაღვლიანი განწყობილება, შიში“.<sup>11</sup>

აბსტინენციის მდგომარეობაში მორფინისტები ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა ხელში ჩაიგდონ მორფიუმი ან რომელიმე სხვა ნარკოტიკული პრეპარატი. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ათავსებენ ხრიკებს მიმართავენ.

დაახლოებით მსგავსი მოვლენები ვითარდება ოპიუმის ჭგუფის სხვა ნარკოტიკული პრეპარატების მიღებისაგან თავის შეკავების შემთხვევაში.

ამგვარად, აბსტინენციის მოვლენები ყველაზე ძლიერად არის გამოხატული მორფიუმისა და ოპიუმის ჭგუფის სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების დროს. რაც შეეხება სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ისინიც საკმაოდ ძლიერ აბსტინენტურ მოვლენებს იწვევენ მათი მიღებისაგან თავის შეკავების შედეგად. აბსტინენციური მოვლენები სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ ნივთიერებათა მიღებისაგან თავის შეკავების დროს განსხვავებულ კლინიკურ სურათს იძლევიან. ჩვენ აქ მათ დაწვრილებით არ განვიხილავთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების სოციალურად მნიშვნელოვან თვისებათა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს მათ თვისებას გამოიწვიოს ადამიანის ორგანიზმის მათდამი ისეთნაირი მიჩვევა, რომელსაც აუცილებლობით მოსდევს აბსტინენციის მოვლენათა განვითარება ნარკოტიკების მიღებისაგან თავის შეკავების შემთხვევაში. სწორედ აბსტინენციის მოვლენათა განვითარება წარმოადგენს ნარკომანთა მხრივ ნებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობისაგან თავის არიდების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. ძლიერი აბსტინენციის მოვლენების განვითარებით აიხსნება ნაწილობრივ აგრეთვე ის, რომ ნარკომანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური დეგრადაციის და ზნეობრივი დაცემის ისეთ სტადიას აღწევს, რაც არანარკომანისათვის, ინტელექტუალურად და ზნეობრივად ნორმალური ყოველი ადამიანისათვის სცილდება ლოგიკური შეფასების ჩარჩოებს.

დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნარკოტიკული ნივთიერებების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ისეთ შედეგს, როგორცაა ფსიქოლოგიური დამოკიდებულების განვითარება ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარების ინდივიდუალურად და სოციალურად მნიშვნელოვან შედეგათა შორის, ჩვენი ღრმა რწმენით, ფსიქიკური დამოკიდებულების განვითარებას მეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, ვიდრე ფიზიკური დამოკიდებულების განვითარებას, რადგან ფიზიკური დამოკიდებულებისაგან ნარკომანის განკურნება ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ მკურნალობის სპეციალური კურსის ჩატარების გზით პრაქტიკულად ყოველი ნარკომანი შეიძლება განთავისუფლდეს ფიზიკური დამოკიდებულებისაგან, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით

<sup>11</sup> იხ. **И. В. Стрельчук**, Клиника и лечение наркоманий, М., 1956, გვ. 267—269, **ა. მ. შაკაროძე**, ნარკომანიები, თბილისი, 1964, გვ. 45 და სხვ.

ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შესახებ, რისგანაც ადამიანი შეიძლება შრავალი წლის განმავლობაში ვერ განთავისუფლდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური დამოკიდებულების პრობლემის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, იგი ნაკლებად არის დამუშავებული. დღეისათვის ჩვენ არა მარტო არ ვიცით ფსიქოლოგიური დამოკიდებულებისა-გან პიროვნების განთავისუფლების რადიკალური საშუალებები, არამედ არა ვგაქვს მეცნიერულად სარწმუნო შეხედულება ამ მოვლენის ფსიქოლოგიური და სოციალ-ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ. ამიტომ ჩვენი ფსიქოლოგებისა და სოციალ-ფსიქოლოგების ვალია სათანადო ყურადღება დაუთმონ ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების კვლევას, რაც საბოლოო ანგარიშში უსათუოდ დიდ წვლილს შეიტანს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ნარკოტიკული ნივთიერებების ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების ზემოდ განხილული შედეგებით არ ამოიწურება მისი ხმარების სოციალურად მავნე ხასიათი. ნარკოტიკული ნივთიერებების სისტემატური ხმარება იწვევს ორგანიზმის სწრაფ დასუსტებას, მთელი რიგი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების მოშლას, შრომის უნარის დაქვეითებას ან დაკარგვას და ა. შ., რასაც უეჭველად მოსდევს სოციალურად მავნე შედეგები, რადგან დამატებით სიძნელეებს ქმნის ნარკომანთა მკურნალობისა და ხელახალი აღზრდის საქმეში. ნარკოტიკების სისტემატური ხმარების ამ მავნე შედეგებს ჩვენ შევეხებით სხვადასხვა ჯგუფის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების საკითხის განხილვისას.

ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელთა ხმარება ამჟამად მეტნაკლებად გავრცელებულია, ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფში შედიან მორფიუმი და ოპიუმის ყაყაჩოსაგან წარმოებული სხვა პრეპარატები, აგრეთვე მორფიუმის მავარი მოქმედების სინთეტიკური პრეპარატები, მეორე ჯგუფს შეადგენენ ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები, მესამეს, — ბარბიტურატები და სხვა საძილე პრეპარატები, მეოთხე ჯგუფში კი ერთიანდებიან ნივთიერებები, რომლებიც მიიღებიან ინდური, სამხრეთ მანჯურიის და ზოგიერთი სხვა ჯიშის კანაფისაგან.

პირველი ჯგუფის ნივთიერებებს განეკუთვნებიან: ოპიუმი, მორფიუმი, პანტაპონი, ომნოპონი, კოდინი, გიდროკოდონი, ტეკოდინი, დიონინი, პრომედოლი და სხვა. ამ ჯგუფის ნარკოტიკულ ნივთიერებათა შორის ყველაზე ძლიერია ჰეროინუმი, რომელიც ნარკოტიკული მოქმედებით დაახლოვებით 10-ჯერ აღემატება მორფიუმს.<sup>12</sup>

ამგვარად, პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან რიგი ნატურალური ანუ ოპიუმის ყაყაჩოსაგან დამზადებული და სინთეტიკური პრეპარატებისა, რომელთა გამოყენება დღეისათვის მეტნაკლებად გავრცელებულია. მათ შორის წამყვანი ადგილი მორფინიზმს უჭირავს. მართალია, ნარკომანები ხშირად მიმართავენ სხვა ოპიატებსაც, მაგრამ მათ იყენებენ არა როგორც ძირითად, არამედ დამატებით ან მორფიუმის შემცველ ნარკოტიკებს. ამგვარად, ძირითად ნარკოტიკულ ნივთიერებას, რომელსაც ხშირად მიმართავენ ნარკომანები, წარმოადგენს მორფიუმი, და ამის შესაბამისად ოპიუმის ჯგუფის ნარკომანებიდან ყველაზე მეტად მორფინიზმია გავრცელებული, თუმცა უმრავლეს შემთხვევებში მორფი-

<sup>12</sup> იხ. დ. დ. ფედოტოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

ნისტები მორფიუმთან ერთად ფართოდ იყენებენ დანარჩენ ოპიატებს, აგრეთვე სხვა ჯგუფის ნარკოტიკულ პრეპარატებს, მაგალითად, საძილე საშუალებებს, ცენტრალური ნერვიული სისტემის სტიმულატორებს და ა. შ. მორფიუმით ასეთი გატაცება ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ იგი წარმოადგენს ოპიუმის ძირითად ალკალოიდს და იძლევა ნათლად გამოხატულ ნარკოტიკულ ეფექტს. ყოველივე ამის გამო ჩვენ შემოვიფარგლებით იმ შედეგთა კომპლექსის აღწერით, რომელიც მოსდევს მორფიუმის სისტემატურ გამოყენებას.

ჩვენს დროში ნარკომანები 1—5 პროცენტთან კონცენტრაციის მორფიუმის ხსნარს იღებენ ვენაში, კუნთში ან კანქვეშ, ხოლო იშვიათ შემთხვევაში სვამენ კიდევაც. გამოცდილი მორფინისტები ამჯობინებენ ვენაში გაიკეთონ მაღალი კონცენტრაციის მორფიუმის ხსნარი, მაშინ როდესაც დამწყები მორფინისტები ძირითადად კუნთში ან კანქვეშ იკეთებენ მცირე კონცენტრაციის მორფიუმის ხსნარს. მორფიუმს სვამენ იშვიათ შემთხვევებში, თუ არა აქვთ საშუალება ინექციის გზით შეიყვანონ იგი ორგანიზმში.

ზემოთ ჩვენ უკვე განვიხილეთ ადამიანის ორგანიზმზე მორფიუმის ზემოქმედების ძირითადი შედეგები, ამიტომ გამეორებათა თავიდან ასაცილებლად ამ საკითხებს აღარ დაგუბრუნდებით.

მორფიუმის და ოპიუმის ჯგუფის სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების ერთჯერად მიღებასაც შეიძლება მოჰყვეს მეტად მძიმე შედეგები, თვით სიკვდილიც კი. მძიმე შედეგები შეიძლება დადგეს სუფთა სამედიცინო მორფიუმის დიდი რაოდენობით მიღების შედეგად, მაშინ როდესაც მორფინისტებისათვის პრაქტიკულად მიუწვდომელია ასეთი მორფის შოვნა, რადგან სპეკულანტები სარეალიზაციო მორფიუმს დიდი რაოდენობით მინარევებს უკეთებენ, ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის მის ტოქსიკურობას.

მორფიუმის დიდი დოზის ან ფალსიფიცირებული პრეპარატის ერთჯერადი მიღების შედეგად სიკვდილის შემთხვევები სინამდვილეში მნიშვნელოვნად უფრო ხშირია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ოპიატებით მძიმე მოწამვლის ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი სიკვდილს გადაარჩა, ძალზე ხშირად შეიძლება განვითარდეს ისეთი გართულებები, როგორცაა მხედველობის ან მეტყველების უნარის დაკარგვა, დამბლა და სხვადასხვა ორგანოთა ფუნქციონირების ისეთი მყარი მოშლილობა, რომელთაც შეუძლიათ იგი სრულ ინვალიდობამდე მიიყვანონ. ყოველივე ამას თავის მხრივ მოსდევს რიგი მძიმე შედეგებისა არა მარტო მოცემული პიროვნებისათვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და სხვა ახლობლებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის.

ამას გარდა, ოპიატების ხმარებას მძიმე შედეგები მოსდევს ხოლმე იმის გამო, რომ მორფინისტები და სხვა ოპიომანები ხშირად ინექციას იკეთებენ „...სათანადო სიფრთხილის გარეშე, არ აკეთებენ ნემსისა და შპრიცის სტერილიზაციას, ხშირად ნემსს იკეთებენ პირდაპირ ტანსაცმელში... ისინი მორფიუმის ხსნარს თვალზომით აკეთებენ ხოლმე საღმე საპირფარეოში და ამისათვის ხმარობენ არასტერილურ წყალს“.<sup>13</sup> იმ გართულებებს, რომლებიც შეიძლება განვითარდნენ ნარკოტიკების ზემოქმედებით დასუსტებულ ორგანიზმში ინფექციის შეჭრის შედეგად, აგრეთვე მოსდევს ხოლმე მძიმე შედეგები, რაც ზოგჯერ სიკვდილითაც კი თავდება.

<sup>13</sup> იხ. მ. მ. სტრელჩუკის დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

მორფიუმისა და სხვა ოპიატების სისტემატური ხმარების შედეგად ვითარდება ორგანიზმის ფიზიკური და ნერვული დაძაბუნება, რაც გამოიხატება ძლიერ სიგამხდრეში, ფიზიკურ სისუსტეში, მოთენთილობაში. ეს მოვლენები საბოლოო ანგარიშში ოპიომანებს ფიზიკური და გონებრივი შრომისათვის უვარგისად აქცევენ. ოპიატების სისტემატური გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის სქესობრივ უნარს და საბოლოო ანგარიშში მიყვავართ სრულ იმპოტენტობამდე, რასაც თავის მხრივ მოსდევს მთელი რიგი უარყოფითი შედეგებისა, როგორცაა ოჯახური კომფლიქტები და ოჯახის რღვევა, სქესობრივი გაუქუღმართება და ა. შ.<sup>14</sup>

დასასრულს, მორფიუმისა და სხვა ოპიატების ხანგრძლივი ხმარება ერთის მხრივ იწვევს პიროვნების მკვეთრ დაქვეითებას, ინდივიდუალობის დაკარგვას, ნიველირებას, მეორეს მხრივ კი, — ყველა ოპიომანისათვის ხასიათის საერთო, ტიპური თვისებების ჩამოყალიბებას. როგორც სპეციალურმა დაკვირვებამ ცხადჰყო, ქრონიკულ ოპიომანთა დიდი ნაწილი ხასიათის ბევრი თვისებით ძალზე ჰგავს ერთმანეთს. ზოგჯერ ოპიომანთა მისწრაფებები, აზრები და რეაქციები იმდენად სტერეოტიპურია, რომ შესაძლებელია მათი წინასწარი გამოცნობა.

ნარკომანიის ცნობილი საბჭოთა მკვლევარი, პროფ. ვ. ვ. ბორინევიჩი მიუთითებს, რომ „ოპიომანიების განვითარებას თან ახლავს ავადმყოფის ინტერესთა წრის პროგრესული შევიწროვება, მისი ფსიქიკური მოქმედების შინაარსის გაღარიბება. შრომა და მასთან დაკავშირებული მღელვარება და სიხარული, პოლიტიკური მოვლენები, ლიტერატურა, ხელოვნება, ადამიანებთან ურთიერთობა, სხვა ადამიანთა, საბოლოო ანგარიშში ოჯახისა და საკუთარი ბედიც კი მას აღარ აინტერესებს, არ აღელვებს. ამასთან ერთად, საქმე მართო ის კი არ არის, რომ ნარკოტიკის შოვნისადმი მისწრაფება გამოდევნის ყველა დანარჩენ მისწრაფებებსა და ინტერესებს. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ავადმყოფს გააჩნია საკმაო სახსრები და გზები ოპიუმის შექენისათვის, ინტერესთა ეს შევიწროვება ძლიერდება ნარკომანიის განვითარებასთან ერთად და შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც ემოციური გულქვაობა. საერთო გაუხეშება აღენიშნება იმ ავადმყოფებსაც, რომლებიც ნარკომანიის განვითარებამდე გულისხმიერებით, უსამართლობისადმი შეურიგებლობით გამოირჩეოდნენ. ნარკომანად ქცევის შემდეგ ისინი მშვიდად შესცქეროდნენ ახლობელთა უბედურებას, ცოლის მწუხარებას, ბავშვების ავადმყოფობას. მათ არ აღელვებდათ დანაშაული და უსამართლობა... ნარკომანი გულგრილია არა მართო ახლობელთა საქმეებისადმი, არამედ საკუთარი ინტერესებისადმიც. მას არ აღელვებს საჭუშაოს დაკარგვა, მისთვის უცხოა თავმოყვარეობა“.<sup>15</sup>

რასაკვირველია, პროფ. ვ. ვ. ბორინევიჩის ეს სიტყვები ყოველ ოპიომანს არ შეეხება და ზოგიერთი მათგანე დიდხანს ინარჩუნებს ნორმალური პიროვნების თვისებებს, ადამიანების მიმართ თანაგრძნობასა და ჭირში დახმარების აღმოჩენის სურვილს (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პრაქტიკაში შევხვდით არა ერთსა და ორ ასეთ ოპიომანს), მაგრამ მთლიანობაში ისინი კარგად ახასიათებენ ოპიატების ბოროტად გამოყენების შედეგად პიროვნების დაქვეითებისა და გა-

<sup>14</sup> იხ. მ. თ. გურევიჩის დასახ. ნაშრომი, გვ. 256, ე. იოელის დასახ. ნაშრომი, გვ. 11—13 და სხვ.

<sup>15</sup> იხ. ვ. ვ. ბორინევიჩის დასახ. ნაშრომი, გვ. 117—118.

უხეშების საერთო კანონზომიერებას, რაც ნარკომანიის უარყოფით სოციალურად მნიშვნელოვან შედეგთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხანგრძლივი ხმარება იწვევს სხვა უარყოფით შედეგებსაც. სახელდობრ, ადამიანს უქვეითდება ნებისყოფა, თავისი მდგომარეობის კრიტიკული შეფასების უნარი და ა. შ. ოპიატების ჯგუფის ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბოროტად გამოყენების ამ შედეგებს, რასაკვირველია, აქვს დიდი სოციალური მნიშვნელობა, რადგან აძნელებს, ცალკეულ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის ოპიომანთა განკურნებასა და ხელახალ აღზრდას და ა. შ. მიუხედავად ამ საკითხების აქტუალობისა, ჩვენ აქ მათზე დაწვრილებით არ შეეჩერდებით. არ განვიხილავთ აგრეთვე ოპიატების ტკივილგამაყუჩებელი მოქმედების საკითხსაც, რადგან მას ძირითადად სამედიცინო პრობლემად მივიჩნევთ, თუმცა, როგორც სათანადო კვლევამ ცხადყო, ოპიომანთა განსაზღვრული ნაწილი თავდაპირველად მიმართავს ოპიატების ხმარებას სწორედ ტკივილის გაყუჩების მიზნით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნიან ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორები, როგორცაა კოკაინი, კოფეინი, ფენამინი, პერვიტინი და სხვა. ამ ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვან და ძლიერ ნარკოტიკულ ნივთიერებას წარმოადგენს კოკაინი, რომელიც სამხრეთამერიკული მცენარის კოკისაგან მზადდება. კოკის ფოთლებს სამხრეთამერიკის მკვიდრნი უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. ამ ფოთლების ღებვა თავდაპირველად ხსნის დაღლილობას, ამცირებს შიმშილის შეგრძნებას, აუმჯობესებს გუნებაწყობასა და ზრდის შრომისუნარიანობას.<sup>16</sup>

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კოკაინიზმმა ევროპაში ფართო გავრცელება პპოვა. სსრ კავშირში კოკაინიზმი 20-იან წლებში იყო გავრცელებული დღეისათვის იგი, როგორც ნორკომანიის განსაკუთრებული ფორმა, ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ გვხვდება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ოპიომანები კოკაინს ხმარობენ ოპიატებთან ერთად ან მათ მაგივრად.

კოკაინის ერთჯერადი მიღების შემდეგ ვითარდება ალკოჰოლური თრობის მსგავსი მდგომარეობა, რომელიც მძიმე შემთხვევებში შესაძლებელია სიკვდილითაც კი დამთავრდეს.<sup>17</sup>

კოკაინის ხმარება ავადმყოფურ შეჩვევას საკმაოდ სწრაფად იწვევს. კოკაინიზმის დროს კარგად არის გამოხატული როგორც ტოლერანტობის, ისევე აბსტინენციის მოვლენები. აბსტინენციის მოვლენები ვლინდება საერთო სისუსტეში, თავის ტკივილში, უსიამოვნო შეგრძნებებში სხეულის სხვადასხვა ნაწილებსა და ორგანოებში.

კოკაინიზმის ნიადაგზე ხშირად ვითარდება თავისებური ფსიქოზი, რომელიც წააგავს ალკოჰოლურ თეთრ ცხელებას. ასეთ მდგომარეობაში კოკაინისტებს უვითარდებათ მხედველობითი, სმენითი და შეხებითი შეგრძნების ჰალუცინაციები. „ავადმყოფებს ესმით ლანძღვა და მუქარა, ხედავენ უამრავ მოძრავ პატარა ზომის ცხოველებს, ხანძარს და ა. შ. განსაკუთრებით დამახასიათებელია შეხებითი შეგრძნების ჰალუცინაციები: ავადმყოფებს აწუხებთ კანის ქავილი, ნემსით ჩხვლეტა, კანქვეშ შეიგრძნობენ მატლებს, ტილებს, ბაღლინჯოებს და ა. შ. ეს შეგრძნება იმდენად არასასიამოვნოა, რომ ზოგჯერ ავადმყოფები ცდი-

<sup>16</sup> იხ. მ. ო. გურევიჩის დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

<sup>17</sup> იხ. ი. ვ. სტრელჩუკის დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

ლობენ მოიშორონ მოჩვენებითი მწერები, რისთვისაც იჭრიან კანს. ამავე დროს აღინიშნება დევნითი ბოღვა: მათზე მოქმედებენ ელექტროდენით, ისინი უნდა დაიჭირონ, დააპატიმრონ. ასეთ მდგომარეობაში ავადმყოფები შესაძლებელია აგრესიულნი გახდნენ მოჩვენებითი მტრების მიმართ ან სცადონ თვითმკვლელობა“.<sup>18</sup>

კოკაინიზმს საკმაოდ სწრაფად მივყავართ პიროვნების საერთო გაუხეშებად, დეგრადაციამდე. კოკაინისტები „...თავს ანებებენ საქმიანობას, უსულგულოდ ეკიდებიან ოჯახს, აღარ აქცევენ ყურადღებას თავიანთ გარეგნობას. მათ ახასიათებთ მატყუარობა, გულჭკობა, ეგოიზმი. კოკაინისტები ეჭვიანები და ძალზე გულფიცხები არიან. უბრალო საბაზი მათში ძლიერ მრისხანებას იწვევს“.<sup>19</sup>

ამგვარად, კოკაინის ბოროტად გამოყენების შედეგად ისეთი მოვლენები ვითარდება, რომელთაც სოციალურად მავნე შედეგები მოსდევს. მართალია, დღეისათვის კოკაინიზმი, როგორც ნარკომანიის დამოუკიდებელი ფორმა, პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ოპიატების სიძვირის პირობებში არ არსებობს მისი ზრდის საფრთხე.

კოფეინიზმი დღეისათვის ძირითადად თეიზმით ანუ ჩაის ძალზე მაგარი ნაყენის, „ჩიფრის“ ხმარებით ვლინდება. კოფეინის ან მისი შემცველი საკვები პროდუქტების, ჩაისა და ყავის დიდი დოზით სისტემატურმა და ხანგრძლივმა გამოყენებამ მიჩვევა იცის, მაგრამ მას ისეთი აშკარად გამოხატული ხასიათი არა აქვს, როგორც მიჩვევას კოკაინიზმის დროს.<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ, ჩვენი მონაცემებით, დღეისათვის საქართველოს სსრ-ში კოფეინომანია იშვიათად გვხვდება, თუმცა „ჩიფირიზმი“ ფართოდ არის გავრცელებული ქრონიკულ ნარკომანთა შორის, განსაკუთრებით საპატიმრო ადგილებში. საქმე ისაა, რომ ქრონიკული ნარკომანები „ჩიფირსა“ და მაგარ ყავას ძირითადად ხმარობენ სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა არქონის შემთხვევაში როგორც მათ შემცველებს და არ მიიჩნევენ ნარკოტიკულ საშუალებად. ყოველივე ამის გამო კოფეინომანია თავისი მნიშვნელობით, რასაკვირველია, არ შეიძლება დავუტოლოთ სხვა ნარკომანიებს.

ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა სტიმულატორთა ხმარება და მითუმეტეს ბოროტად გამოყენება პრაქტიკაში ძალზე იშვიათად გვხვდება, ამიტომ მათ განხილვას აქ არ შევუდგებით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მესამე ჯგუფს ქმნიან ბარბიტურატები და სხვა საძილე საშუალებები, სახელდობრ, ბარბამილი, ეტამინალ-ნატრიუმი, ბარბიტალ-ნატრიუმი, ნოკსირონი და სხვა.

ბარბიტურატებისა და სხვა საძილე საშუალებების სისტემატური ხმარება იწვევს ტოლერანტობის მნიშვნელოვან ზრდას. ნარკომანები დღე-ღამეში საშუალოდ იღებენ 10—20 ტაბლეტს ანუ ნორმალურ დოზაზე რამდენჯერმე მეტს. „ამ საშუალებათა დიდი დოზით მიღება იწვევს ალკოჰოლური თრობის მსგავსი მდგომარეობის განვითარებას. სახელდობრ, აღვზნებას, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევას, ბარბაცს, მეტყველების მოშლას, რასაც საბოლოო ანგა-

<sup>18</sup> იხ. მ. თ. გურვეჩის დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

<sup>19</sup> იხ. Судебная психиатрия, М., 1965, გვ. 303.

<sup>20</sup> იხ. Г. В. Столяров, К вопросу о кофеинomanии (теизме), Труды 1-го Московского ордена Ленина медицинского института им. И. М. Сеченова, т. XXVII, М., 1963, гв. 31—32.





რიშში მოსდევს საერთო მოთენთილობა და ძილი. აბსტინენციის მდგომარეობაში აღინიშნება უძილობა, მოუსვენრობა, შიში, გახშირებული გულისცემა და გულსისხლძარღვოვანი სისტემის ფუნქციონირების სხვა დარღვევები... ქრონიკული ბარბიტურატული ტოქსიკომანიის დროს ვითარდება... აპათია, მეხსიერების, ყურადღების დაქვეითება, პროფესიული საქმიანობის უნარის დაკარგვა, იმპოტენცია. ავადმყოფები ამორალურები, მატყუარები, გულგრილები ხდებიან, პარაზიტული ცხოვრებისავენ მიისწრაფიან.<sup>21</sup>

აღსანიშნავია, რომ ბარბიტურატებისა და სხვა საძილე საშუალებების ბოროტად გამოყენება, როგორც ნარკომანიის დამოუკიდებელი ფორმა, პრაქტიკაში შედარებით იშვიათად გვხვდება. ამასთან ერთად, ოპიომანები ძალზე ხშირად ხმარობენ მათ ოპიატების არქონის შემთხვევაში აბსტინენციის კომპონენტების, აგრეთვე თავისებური ეიფორიის გამოწვევის მიზნით. ამ პრეპარატებს ეპიზოდურად ხმარობენ აგრეთვე ჰაშიშის (ანაშის, პლანის) მწვევლები.

დასასრულს, ნარკოტიკულ საშუალებათა დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნიან ინდური და ზოგიერთი სხვა ჯიშის კანაფისაგან დამზადებული ნივთიერებები, რომელთაც ჰაშიშს, ანაშას, პლანს, მარიხუანას უწოდებენ.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ინდური, აგრეთვე სხვა ჯიშის კანაფისაგან დამზადებული არცერთი ნარკოტიკული პრეპარატი სამედიცინო პრაქტიკაში არ გამოიყენება, ამიტომ მათი დამზადება კანონით აკრძალულია და სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

ჰაშიშს უმრავლეს შემთხვევებში ეწვეიან. ჰაშიშის საზომ ერთეულად ნარკომანები თვლიან „ბაშს“, რომელიც წონით დაახლოებით 2 გრამია და წარმოადგენს საშუალო დღიურ დოზას. ჰაშიშს შემდეგნაირად ხმარობენ: ერთ „ბაშს“ 2—4 ულუფად ყოფენ, პაპიროსიდან, უფრო იშვიათად უფილტრო სიგარეტიდან, გამოიღებენ თამბაქოს, ურევენ მას ერთ ულუფა (ყარგონზე „მასტირკა“) ჰაშიშში და ნარევს კვლავ გილზში აბრუნებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰაშიშში წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ ნარკოტიკულ ნივთიერებას, რომლის ხანგრძლივი ხმარება მთელ რიგ მძიმე შედეგებს იწვევს. საქმეში ჩაუხედავ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს ჰგონია, რომ ჰაშიშის წვევა არ იწვევს ინდივიდისა და საზოგადოებისათვის მძიმე შედეგებს. საინტერესოა, რომ ჰაშიშის წვევა ტოლერანტობის გაზრდას არ იწვევს. კიდევ მეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰაშიშის ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ტოლერანტობა შესაძლებელია კიდევ შემცირდეს. რაც შეეხება აბსტინენციის მოვლენებს, ისინი შედარებით უფრო გვიან ვლინდებიან, ვიდრე ოპიატების ხმარების დროს და სხვაგვარად მიმდინარეობენ. როგორც პროფ. ი. ვ. სტრელჩუკი მიუთითებს, „აბსტინენცია ქრონიკული ჰაშიშიზმის დროს უმნიშვნელოა<sup>22</sup> და გამოიხატება თავის ტკივილში, უძილობაში, შიშში, გაზრდილ ნერვულ აღგზნებაში, ტირილში, გულის არეში უსიამოვნო შეგრძნებაში და გულმკერდის ღრუს „სიცარიელის“ შეგრძნებაში, ოფლიანობაში, მადის დაქვეითებაში და ა. შ.“<sup>23</sup>

ჰაშიშის სისტემატური ხმარების შედეგად ვითარდება მოთენთილობა, აპათია, მეხსიერება ჩლუნგდება, აღინიშნება ექვიანობისადმი მიდრეკილება, ზოგჯერ კი ვითარდება ფსიქოზები.<sup>24</sup>

<sup>21</sup> იხ. დ. დ. ფედოტოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

<sup>22</sup> თუ მას შევადარებთ აბსტინენციას ოპიომანიების დროს. (ა. გ.).

<sup>23</sup> იხ. ი. ვ. სტრელჩუკის დასახ. ნაშრომი, გვ. 297.

<sup>24</sup> იხ. В. М. Банщикова, Т. А. Невзорова, Психиатрия, М., 1969, გვ. 134.

მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ჰუგო გლიაზერი მიუთითებს, რომ „ზიანი, რომელსაც ადამიანს ჰაშიში აყენებს, ძალზე დიდია. ჰაშიში ანადგურებს სხეულს, ხოლო მისდამი ავადმყოფური მისწრაფება სულიერ სიცარიელეს იწვევს“.<sup>25</sup>

ადამიანის ორგანიზმზე ჰაშიშის მავნე ზემოქმედების პრობლემის განხილვისას განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ნარკოტიკის ხმარების შედეგად ფსიქოზების განვითარების საკითხი. როგორც დ. დ. ფედოტოვი მიუთითებს „ჰაშიშიზმის სახიფათო გამოვლინებას წარმოადგენენ მწვავე ფსიქოზები, რომლებიც ვითარდებიან ინტოქსიკაციის უმაღლეს სტადიაზე“.<sup>26</sup>

ამ პრობლემის მკვლევარი დ. ხ. კაზიევა დიდი მასალის განზოგადების საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „შიზოფრენია, რომელიც ვითარდება ჰაშიშით ორგანიზმის ხანგრძლივი მოწამვლის შედეგად, კლინიკური თავისებურებებით ხასიათდება“.<sup>27</sup>

ფსიქიკური აშლილობანი, რომლებიც ჰაშიშის ხანგრძლივი ხმარების შედეგად ვითარდებიან, მძიმე შედეგებით ხასიათდებიან როგორც თვით ნარკომანების, ისე გარშემო მყოფთათვის და კიდევ უფრო ამძიმებენ ჰაშიშიზმის სოციალურ საშიშროებას.

ჰაშიშიზმის სოციალურ საშიშროებას ზრდის აგრეთვე ის გარემოება, რომ მორფინისტებისა და პოლინარკომანების მნიშვნელოვანი ნაწილი ნარკომანის „კარიერას“ სწორედ ჰაშიშის წევით იწყებს.

ამგვარად, ადამიანის ორგანიზმზე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედება მთელ რიგ ისეთ შედეგებს იწვევს, რომლებიც ნარკომანიას, გარდა ინდივიდუალური უბედურებისა, დიდ სოციალურ ბოროტებად აქცევენ. ეს გარემოება გვიკარნახებს ნარკოტიკებისა და ნარკომანიის სერიოზული მეცნიერული კვლევის, მისი თავიდან აცილებისა და აღკვეთის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების მთელი კომპლექსის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობას.


თბლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკრეტული სოციოლოგიის კათედრაზე ჩვენს მიერ განხორციელდა ნარკოტიკების ვრცელი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა. ექვსი წლის მანძილზე შეგროვდა, მექანიზირებული წესით დამუშავდა და განზოგადდა დიდი მოცულობის ინფორმაცია. სახელდობრ, სპეციალური ვრცელი პროგრამით გამოკითხულ იქნა ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებლები. ინფორმაციის მექანიზირებული დამუშავებისა და განზოგადების საფუძველზე შესაძლებელი გახდა რიგი ისეთი კანონზომიერებების დადგენა, რომლებიც საქართველოს სსრ-ში ნარკოტიკების დღევანდელ განვითარების სხვადასხვა მხარეებს ახასიათებენ. გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა ნაწილი პრაქტიკაში უკვე დაინერგა და სათანადო დადებითი ნაყოფიც გამოიღო.

ამ სტატიაში ჩვენ მიზანშეუწონლად ვცანით ნარკოტიკების კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება მათი დიდი მოცულობისა და სპეციფიკურობის გამო. ეს მასალები უახლოეს ხანში გამოქვეყნდება.

<sup>25</sup> იხ. **Гуго Глязер**, *Драматическая медицина*, М., 1965, გვ. 108.

<sup>26</sup> იხ. დ. დ. ფედოტოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

<sup>27</sup> იხ. **Д. Х. Казиева**, *Хроническая гашишная интоксикация и шизофрения*, *Вопросы психоневрологии*, Сборник, выпуск № 3, Баку, 1966, გვ. 35.



# ანგისაზოგადოებრივი, პარაზიტიული ცხოველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

## 3. ბერძენიური,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე

საქართველოს სსრ კონსტიტუცია თვითივე მოქალაქეს ავალდებულებს დაიცვას, განუხრელად შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას, აქტიურად ჩაებას შრომითს საქმიანობაში, დაიცვას შრომის დისციპლინა და პატივისცემით მოეპყრას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩაბმულია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში და აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის შექმნაში. იცავს კანონს და პატივისცემით ეპყრობა სოციალისტური ცხოვრების წესებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ცალკეული პირები, რომლებსაც არ სურთ პატიოსნად შრომა. მართალია, ასეთ პირთა რაოდენობა უმნიშვნელოა, მაგრამ თავიანთი ანტისაზოგადოებრივი მოქმედებით ისინი მავნე გავლენას ახდენენ მერყევე ადამიანებზე და ხშირად მათ სისხლის სამართლის დანაშაულისკენ უბიძგებენ.

სტატისტიკური მონაცემებით სისხლის სამართლის, მათ შორის მძიმე კატეგორიის დანაშაულის დიდი ნაწილი იმ პირთა მიერ არის ჩადენილი, რომლებიც წლების განმავლობაში არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში და ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან.

შრომისადმი ასეთი დამოკიდებულების აღსაკვეთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 14 მაისს მიიღო ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ სრულწლოვან შრომისუნარიან მოქალაქეებს, რომლებსაც არ სურთ პატიოსნად, თავისი უნარის შესაბამისად იშრომონ, იძულებით მიიყვანენ შინაგან საქმეთა ორგანოებში და ოფიციალურად გააფრთხილებენ, რომ 15 დღის ვადაში მოეწყონ სამუშაოზე.

თუ ისინი ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ მაინც არ მოეწყობიან სამუშაოდ, მათ შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოები მასალებს გადასცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა გადაწყვეტილებით პირები, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, სამუშაოდ იგზავნიან იმ საწარმოებში (მშენებლობებზე), რომლებიც განლაგებულია მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რაიონში, ავტონომიური ოლქის ან რესპუბლიკის ფარგლებში.

იმ საწარმოთა (მშენებლობათა) ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაც ასეთი პირები იგზავნიან, ვალდებული არიან მოაწყონ ისინი სამუშაოზე, გასწიონ მათთან აღმზრდელი მუშაობა და ყველაფერი იღონონ საწარმოებში მათი დამაგრებისათვის. საწარმოს (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია ამ პირთა სამუშაოდან დათხოვნის ყველა შემთხვევა

3 დღის ვადაში აცნობოს იმ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება მათი შრომითი მოწყობის შესახებ.

იმ მოქალაქეებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, გამოავლენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც მათ განკარგულებაში არსებული მასალების, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე. მასალებისა და განცხადებების შემოწმება 10 დღის ვადაში უნდა მოხდეს.


რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას იმ პირთა სამუშაოზე გაგზავნის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ შრომას, კონტროლს უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

თუ პირი, რომელიც ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, ბოროტად არიდებს თავს პარაზიტული ცხოვრების შეწყვეტის და შრომითი მოწყობის თაობაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას, წარმოების (მშენებლობის) ადმინისტრაცია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს ამ პირის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად. ეს მუხლი კი ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით, ხოლო თუ პირი გასამართლებული იყო ამავე ქმედობისათვის, და მინც განაგრძობს პარაზიტულ ცხოვრებას ისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესრულების შემოწმებამ ცხადყო, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად შეამცირა პარაზიტულ ელემენტთა რიცხვი, მაგრამ ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების დადგენილებები აყენებს საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ყველა აღმასრულებელ კომიტეტს არა აქვს დაწესებული ქმედითი კონტროლი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ასეთ პირთა ჩაბმისათვის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რის შედეგადაც სამუშაოდ გაგზავნილი მოქალაქენი, ხშირად, არ ცხადდებიან საწარმოებსა და დაწესებულებებში, ანდა მოკლე ხანში თვითნებურად სტოვებენ სამუშაოს. მაგალითად, ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებამ შრომითი მოწყობის აუცილებლობის შესახებ გააფრთხილა 104 კაცი, საქალაქო საბჭოს აღმასკომს განსახილველად წარუდგინა მასალები 62 კაცზე, აღმასკომის გადაწყვეტილების შესრულებას თავი აარიდა 42-მა კაცმა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხშირად არღვევენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებელ პირთა სამუშაოდ გაგზავნასთან დაკავშირებული მასალის განხილვის წესს, მათ შორის განხილვის დადგენილ 10-დღიან ვადას. მაგალითად, რუსეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მხოლოდ 5 თვის შემდეგ განიხილა ე. სტრელნიკოვას სამუშაოდ გაგზავნის საკითხი: აქვე 5-6 თვის განმავლობაში უმოძრაოდ იყო 17 მოქალაქის საქმე, ხოლო 4 მოქალაქისა — დაიკარგა. განხილვის ვადები უხეშად არის დარღვეული ასევე ბოლნისის, მარნეულის, ხაშუ-



რის და სოხუმის რაიონულ, ბათუმის საქალაქო და სხვა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

ზოგჯერ მასალის ზერელე შესწავლისა და ფორმალური განხილვის შედეგად აღმასკომების გადაწყვეტილებით სამუშაოდ იგზავნება ისეთი მოქალაქე, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა არ შეეხება. მაგალითად, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სამუშაოდ გაიგზავნა მოქ. პ. ხლებოვსკი, რომელსაც მხოლოდ ერთ თვალში ჰქონდა შენარჩუნებული მხედველობა და ისიც 10 პროცენტით; ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომმა სამუშაოდ გაგზავნა 8 ქრონიკული ალკოჰოლიკი, ნაცკლად იმისა, რომ ისინი გაეგზავნა იძულებითი მკურნალობისათვის და სხვ.

საწარმოებისა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯეროვან ზომებს არ იღებენ აღმასკომის გადაწყვეტილებით გაგზავნილ მოქალაქეთა სამუშაოზე დასამაგრებლად. ორგანიზებული არ არის მათთვის პროფესიების შესწავლა, არ ტარდება აღმზრდელითი ღონისძიებები. უფრო მეტიც: ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელი ფიქტიურ ცნობებს იძლევა ამ კატეგორიის მოქალაქეთა შრომითი მოწყობის თაობაზე და აღმასრულებელ კომიტეტს არაფერს ატყობინებს ასეთ პირთა სამუშაოდან თვითნებური წასვლის შესახებ. მაგალითად, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მთავარგაზის № 2 კანტინაში სამუშაოდ გაგზავნილ დ. როგავას კანტორის უფროსმა გ. ნარსიამ მისცა ცნობა მუშაობის დაწყების შესახებ, მაშინ როდესაც იგი განაგრძობდა პარაზიტულ ცხოვრებას, იმ პერიოდში ჩაიღინა დანაშაული და ამჟამად იძებნება. აქვე, ენგურჰესის მშენებლობაზე, გაიგზავნა 5 კაცი, რომლებიც სამუშაოზე არ გამოცხადდნენ, მაგრამ ისინი ამისათვის კანონის შესაბამისად არ დაუსჯიათ. ანალოგიური ფაქტებია სამტრედიის, ქარელის და მარნეულის რაიონებში, ქ. თბილისში, ბათუმსა და რიგ სხვა ქალაქსა და რაიონში.

ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ წარმოება-დაწესებულებების იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან შრომითი მოწყობის შესახებ აღმასკომის გადაწყვეტილების შესრულებას. აღმასკომისა და საბჭოს სესიის განსახილველად იშვიათად შეაქვთ ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, ფართოდ არ იყენებენ საბჭოების დეპუტატებს, მუდმივ კომისიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ფართო აქტივს.

შემოწმებით აგრეთვე დადგინდა, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგჯერ ადგილობრივი ორგანო არ იჩენს სათანადო ინიციატივას, არ ახორციელებს ქმედით ღონისძიებებს პარაზიტული ელემენტების დროულად გამოვლინების და შრომით საქმიანობაში მათ ჩაბმისათვის, ხოლო ზოგიერთი პროკურორი არ ანხორციელებს ჯეროვან საპროკურორო ზედამხედველობას ბრძანებულების მოთხოვნათა შესასრულებლად.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პარაზიტულ ელემენტებად ითვლებოდნენ ის პირები, რომლებიც ოთხი თვის და მეტი ხნის განმავლობაში საპატიო მიზეზის უქონლად არსად არ მუშაობდნენ.

ამრიგად, დაწესებული ვადა ასეთ კატეგორიის პირებს შესაძლებლობას აძლევდა ოთხი თვის განმავლობაში თავი აერიდებინათ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის და განეგრძოთ პარაზიტული ცხოვრება.

გარდა ამისა, ასეთი პირები, ხშირად თვალისახვევის მიზნით, მუშაობას იწყებდნენ ხანმოკლე დროით, რათა ისევ მალე მიეტოვებინათ შრომითი საქმიანობა.

ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, როდესაც მშენებლობებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სოფლის მეურნეობას ათასობით მუშახელი სჭირდება ამ დიდი და საპატიო ამოცანის შესასრულებლად, ყოვლად მოუთმენელია, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შრომობენ და არ ქმნიან მატერიალურ დოვლათს.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ბრძოლა უსაქმურებისა და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამა წლის 24 იანვარს მიიღო დადგენილება, რომლითაც, თუ მოქალაქე სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, პარაზიტულ ელემენტად ჩაითვლება. უფრო მეტიც: დადგენილებით, პარაზიტულ ელემენტებად მარტო ის პირნი კი არ ჩაითვლებიან, რომლებიც არ მოეწყენენ სამუშაოდ შინაგან საქმეთა ორგანოების ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ, არამედ ისინიც, რომლებმაც ასეთი გაფრთხილების შემდეგ დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მუშაობის დაწყებიდან 6 თვის გავლამდე საპატიო მიზეზის უქონლად თავი დაანებეს სამუშაოს და 15 დღის განმავლობაში არ მოეწყვენ ახალ სამუშაოზე.

ზემოაღნიშნული დადგენილებები ცხოვრებაში განხორციელება უდავოდ ხელს შეუწყობს შრომისუნარიან მოქალაქეებს ჩაებან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც მათ, ისე მთელ ჩვენს საერთო საქმეს.

## სანარმოო ვაკეპაფიზი და მისგან ნარმოვლბარი ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი საკითხი

ო. კიკვიძე.

სახალხო მეურნეობაში საწარმოო ტრავმატიზმის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობა საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სამწუხაროდ ზოგიერთი საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილკოში უსაფუძვლოდ აჭიანურებს წარმოებაში ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტას, ართულებს და დაბრკოლებას უქმნის მოქალაქეებს მათი კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილებაში. ამის გამო სასამართლოების მსჯელობის საგნად იქცევა ისეთი საქმეები, რომლის გადაწყვეტაც უშუალოდ წარმოებაში დავას არ იწვევს.

ამას ადგილი აქვს კერძოდ იმის გამო, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ან ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უარს ამბობს უბედური შემთხვევის შესახებ ფორმა H—1-ის შედგენაზე, ან იგი უხარისხოდ დგება. ფორმა H—1 კი უბედური შემთხვევის ფაქტის პირველადი იურიდიული დოკუმენტია და მისი დანიშნულება ზიანის ანაზღაურებაში მეტად მნიშვნელოვანია.

აქტის შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხის გაცემას, იმის შესახებ გაიარა თუ არა დაზარალებულმა ინსტრუქტაჟი და სწავლება მუშაობის უშიშროების მეთოდების შესახებ (მე-12 პუნქტი). დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე უბედური შემთხვევის გარემოებებისა და მიზეზების დაწვრილებით აღწერას და საამქროს ადმინისტრაციის მიერ ზომების მიღებას მათი აღმოფხვრისათვის (აქტის მე-14 პუნქტი).

ნაცვლად იმისა, რომ აქტში დაწვრილებით იქნას ვადმოცემული უბედური შემთხვევის გარემოებები, პრაქტიკაში ხშირად აქტის მე-14 პუნქტში მოკლედ არის ნათქვამი, რომ დაზარალებულმა ამა თუ იმ დაზვასთან, აპარატთან, ელექტროძრავასთან, ან ტვირთის გადაზიდვის დროს მიიღო სხეულის გარკვეული ხარისხის დაზიანება, რაც რა თქმა უნდა ვერ ასახავს იმ გარემოებებსა და მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს უბედური შემთხვევა.

იმ მიზნით, რომ არ გამოძღვანდეს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების ფაქტი, ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი არ აღრიცხავს შემთხვევებს, არ ადგენს ფ. H—1 აქტებს, არ ახდენს მომხდარი შემთხვევის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევას. ეს უმათვრესად იმით აიხსნება, რომ წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები (საამქროს, უბნის, სახელოსნოს უფროსები) და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობა, რომლებსაც ევალებათ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფა, ცდილობენ თავიდან აიცილონ ეს პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოში მათივე ბრალით

მომხდარ უბედურ შემთხვევასთან. გარდა ამისა ზოგჯერ აქტის შედგენისგან თავს იკავებენ იმ მოსაზრებით, რომ შეინარჩუნონ პრემიები (ყოველწლიური, კვარტალური ან ყოველთვიური).

მაგალითად, რკინიგზაზე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო მემანქანის თანამემწე მ. ა. თევზაძემ მიიღო ფსიქიური ტრავმა. იგი კვლავ განაგრძობდა მუშაობას, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს (სამქროს ბრიგადირად). დაზარალებულ თევზაძეს აქტის შედგენა არ მოუთხოვია, იგი არც ადმინისტრაციას შეუდგენია, ხოლო შემდეგ, როცა იგი განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან მიღებული ტრავმის გამო (1964 წლის აპრილში), მან როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდმა ადმინისტრაციისაგან მოითხოვა სათანადო ფორმა H—1 აქტის შედგენა. ამ მოთხოვნაზე თევზაძემ უარი მიიღო და ზარალიც არ აუნაზღაურეს მას. ცხადია, რომ თევზაძის სარჩელი სალოკომოტივო დეპოსთან ზარალის ანაზღაურების შესახებ ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ საფუძვლიანად სცნო და აღნიშნა, რომ ტრავმას ადგილი ქონდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.<sup>1</sup>

ამრიგად, სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციამ უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნა. ჯერ ერთი, მათ დაფარეს მნიშვნელოვანი ფაქტი უბედური შემთხვევის შესახებ და თავისი ინიციატივით დროულად არ შეადგინეს აქტი ფ. H—1, რითაც დაზარალებული დატოვეს ზარალის ანაზღაურების გარეშე, ამის გარდა, კატეგორიულად უარყვეს (დიდი ხნის გავლის შემდეგ) დაზარალებულის თხოვნა აქტის შედგენაზე, რის უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

ისმის კითხვა — ვინ უნდა დააწესოს კონტროლი საწარმოში შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის კანონმდებლობის მოთხოვნების ზუსტად განსახორციელებლად?

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 57-ე მუხლის თანახმად, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ეკისრება შრომის ჯანსაღი და უსაშიშრო პირობების უზრუნველყოფა. ადმინისტრაცია ვალდებულია დაწეროს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისა და ჰიგიენური პირობების უზრუნველსაყოფად.<sup>2</sup>

თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოქ. გ. მ. მაზაევს მარჯვენა თვალში მოხვდა რკინის ნაწილაკი. შემთხვევასთან დაკავშირებით წარმოების ადმინისტრაციამ შეადგინა ფ. H—1-ი, რომელშიც შემდგენაირად არის აღწერილი უბედური შემთხვევის მიზეზები: „აღნიშნული ოპერაციის შესრულებისას მისაკავშირებელი რკინის თავების გადაჭრის დროს მოხსლტა რკინის თავის ნაწილი და მოხვდა თვალში, რის შედეგადაც დაუზიანდა მარჯვენა თვალი. მუშაობაში უშიშროების დაცვისათვის აუცილებელი იყო მუშას გაეკეთებინა სათვალე, მაგრამ იმის გამო, რომ სათვალე არ აღმოჩნდა, სამუშაო უსათვალოდ შესრულდა. მაზაევს არაფერი უღონია უშიშროების დაცვისათვის“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ. ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი. საქმე № 2/1381 — 1965 წ.

<sup>2</sup> სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 57-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1970 წ. № 4, გვ. 82.

<sup>3</sup> იხ. სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 2/753—63 წ. (ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა).



ცხადია, რომ შედგენილი აქტის შინაარსი არ მიუთითებს მომხდარი უბედური შემთხვევის ობიექტურ მიზეზებზე, რადგან მასში არ არის აღნიშნული, თუ ვის მიერ უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი მაზაევი სპეცსათვალთ. თავისთავად გასაგებია, რომ დაზარალებული მოკლებული იყო იმის საშუალებას, რომ ელონა რამე უშიშროების უზრუნველსაყოფად, რადგან ამ ზომების მიღება ევალებოდა ფაბრიკის ხელმძღვანელობას.

ადმინისტრაციის მიერ უბედური შემთხვევის მიზეზის ასეთი აღწერა მიზნად ისახავს მთლიანად აიცილოს ის სერიოზული პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მას შემთხვევასთან დაკავშირებით და ცდილობს უბედურ შემთხვევაში ბრალი დასდოს თვით დაზარალებულს.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შედგენილ დასკვნაში საქართველოს პროფსაბჭოს ტექნიკურმა ინსპექტორმა საესებით მართებულად მიუთითა, რომ „უბედური შემთხვევა მოხდა თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის ხელმძღვანელობის ბრალით, რადგან ამხ. გ. მაზაევი (დაზარალებული) არ იყო უზრუნველყოფილი დაცვითი საშუალებით — სპეცსათვალთ, რის გამოც დაკარგა მან მარჯვენა თვალი და ამიტომ პასუხისმგებლობა ზარალის ანაზღაურებისათვის უნდა დაეკისროს თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციას“.<sup>4</sup>

თუმცა ყველა საფუძველი არსებობდა დაზარალებულ მაზაევისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, მას მაინც უკანონოდ უარი ეთქვა.

სასამართლომ სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილა და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკას დააკისრა გ. მ. მაზაევის სასარგებლოდ ერთდროულად 125 მან. და 40 კაპ., ხოლო ყოველთვიურად 11 მანეთისა და 40 კაპიკის გადახდა. მოპასუხესვე დაეკისრა საქმის წარმოების ხარჯები: იურიდიული კონსულტაციის სასარგებლოდ — 25 მანეთი და სახელმწიფო ბაჟის თანხა — 33 მანეთი.

ამრიგად, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკამ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების გარდა განიცადა დამატებით ზარალი 58 მან., რასაც ასცდებოდა, თუ კი ადმინისტრაცია და საფაბრიკო კომიტეტი ადგილზე საკითხის განხილვისას დააკმაყოფილებდნენ დაზარალებულის კანონიერ მოთხოვნას.

მსგავსი გარემოებები დაედო საფუძვლად გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს 1964 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებას ს. ვ. მათიაშვილის აღძრულ საქმეზე სარჩელისა გამო — სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მიერ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

აი რა პასუხი გასცა დაზარალებულს მეურნეობის ადმინისტრაციამ: „დირექცია თანახმაა მხოლოდ მიეცეს პენსია, მაგრამ განსხვავებაზე და სხვა ხარჯებზე უარი ეთქვას“.<sup>5</sup>

დირექციის პასუხი გასაკვირია, რადგან არაფრით არ არის დასაბუთებული. ამას გარდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის უფლებებში საერთოდ არ შედის პენსიის დანიშვნის ან არ დანიშვნის საკითხი და დირექტორის თანხმობას „დაზარალებულისათვის პენსიის მიცემაზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

<sup>4</sup> იხ. (საქმე № 2/753—63 წ.) გადაწყვეტილება.

<sup>5</sup> იხ. გარდაბნის რაიონის სახ. სასამართლოს 1969 წლის არქივი. საქმე № 2/298.

ღირექცია მოვალე იყო დაესაბუთებინა დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა.

სასამართლომ დააკმაყოფილა მათიამგილის სარჩელი და სამგორის საჯიმე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობას დააკისრა წარმოებასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად — განსხვავება პენსიასა და ხელფასს შორის ყოველთვიურად 47 მანეთი და 24 კაპიკი. მოპასუხესვე გადახდა საქმის წარმოების ხარჯები იურიდიული კონსულაციის სასარგებლოდ 50 მანეთი და სახ. ბაჟი 64 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამრიგად, სახელმწიფო ორგანიზაციას, გარდა აუცილებელი ხარჯებისა, დამატებით მოუფიდა ზარალი 114 მანეთი.

სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი უპრინციპობა იმ ნაწილში, რომ მან დაზარალებულის სარჩელი იცნო და განაცხადა: „მოსარჩელე მუშაობდა ჩვენს ორგანიზაციაში და წარმოების ბრალით მიიღო დაზიანება. თანახმა ვართ. კანონის ფარგლებში რაც ეკუთვნის, გადავუხადოთ“.<sup>6</sup>

სახელმწიფო ფულადი თანხების საგრძნობი რაოდენობით დახარჯვაზე მეტყველებს სახალხო სასამართლოების მიერ განხილული ბევრი საქმის (წარმოებასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ) სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1968—1969 წლებში განხილულ 39 საქმეზე თავისი გადაწყვეტილებებით ორგანიზაციებს, გარდა ზიანის ასანაზღაურებელი აუცილებელი თანხებისა, დამატებით დააკისრა 1272 მანეთისა და 44 კაპიკის (საქმის წარმოების ხარჯები და სახელმწიფო ბაჟის თანხები) გადახდა,<sup>7</sup> ხოლო ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებებით 1968 წელს განხილულ მართო 22 საქმეზე (მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ორგანიზაციებს დაეკისრათ 2371 მანეთის და 18 კაპიკის გადახდა).<sup>8</sup>

ცხადია, რომ საწარმოები და ორგანიზაციები ასეთ ზარალს არ განიცდიან თუ კი ადმინისტრაცია, საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტი მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ სერიოზული მნიშვნელობის საქმეს.

შექმნილი გარემოება დღის წესრიგში აყენებს საკითხს, რომ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას და საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტს გამოერიცხოთ შესაძლებლობა იმისა, რომ საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გაწხილვისას არ მიიჩნიონ „სადავოდ“ ისეთი საფუძვლიანი მოთხოვნები, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით სადავო არ არის.

ჩვენ საჭიროდ ვთვლით, რათა მიღებულ იქნას ნორმატიული აქტი, რომლითაც დაწესდება საწარმოსა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილკომისათვის ისეთი ნორმები, რომლებიც გარკვეულად განსაზღვრავენ საფუძვლს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების სამართლებრივი თვალსაზრისით სადავოდ ცნობისა და მისი სახალხო სასამართ-

<sup>6</sup> იხ. იგივე საქმე (სხდომის ოქმი).

<sup>7</sup> იხილეთ გარდაბნის რ-ნის სახალხო სასამართლოს 1968-69 წ.წ. არქივი. (წარმოებასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეები).

<sup>8</sup> იხ. ქ. თბილისის 1 მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1968 წლის არქივი (საქმეები წარმოებასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ).

ლო განხილვის აუცილებლობის შესახებ. ამასთან ერთად ნორმები უნდა ითვალისწინებდეს პერსონალურ პასუხისმგებლობის გაძლიერებას იმათ მიმართ, ვინც უსაფუძვლოდ უგულვებელყოფს მშრომელთა კანონიერ მოთხოვნებს, საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. გარდა ამისა, ნორმატიული აქტი უნდა აკისრებდეს პერსონალურ პასუხისმგებლობას საწარმოს ხელმძღვანელებს, პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილკომებსა და სხვა თანამდებობის პირებს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის ფაქტების დაფარვისათვის. ამავე აქტით პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ორგანიზაციის იურისკონსულტებს წარმოებასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ განსახილველ განცხადებებზე უკანონო დასკვნების შედგენისათვის. ამასთან ერთად საჭიროა მიეცეთ სახალხო სასამართლოებს სახელმძღვანელო მითითება, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწარმოსა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების მხრივ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანისას ზარალის ანაზღაურებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმის შესახებ მოახდინონ სათანადო რეაგირება. კონკრეტულ შემთხვევაში მათ გამოიტანონ საჭირო განჩინებანი, რითაც გაფრთხილებული იქნან შესაბამისი საწარმოსა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია და პროფკავშირის ადგილკომები იმ ზარალის შესახებ, რომელიც განიცადა მათმა ორგანიზაციებმა სასამართლოში უდავო საქმეების უსაფუძვლოდ გამოგზავნასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი პროკურატურის ზედამხედველობის გაძლიერებისათვის.

ამ ღონისძიებათა გატარება ხელს შეუწყობს საწარმოო ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მისი წარმომშობი მიზეზების ლიკვიდაციას და სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით დახარჯვას.

## ავტოსაგრანსპორტო დანაშაულთა საქმეები საქართველოს სსრ სსსამართლო პრაქტიკაში

ჯ. ბაზულაშვილი

უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოს სსრ მოსამართლეთა უმრავლესობას მართებულად ესმის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე, 241<sup>1</sup>-ე, 141<sup>2</sup>-ე და 243-ე მუხლებში გათვალისწინებული ნორმები. ამ დანაშაულთა განხილვა კანონის სრული შესაბამისობით წარმოებს. ავტოსაგზაო შემთხვევათა ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით სასამართლოები ახორციელებენ სწორ დასჯითს პოლიტიკას: დიდი ზრომაა გაწეული (კომპეტენციის ფარგლებში) ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის. მაგრამ მინც გვხვდება ცალკეული ნაკლოვანებებიც:

1. ზოგიერთი სასამართლო ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოსდევს, მცდარ აურიდიულ შეფასებას აძლევს. სახელდობრ, იმის მაგივრად, რომ იგი დააკვალიფიციროს სსკ-ს 241-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აკვალიფიცირებს; მაგალითად: საბრალოდბო დასკვნით. ბ. მხილებული იყო საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. გამოირკვა, რომ მას 1972 წლის 10 მარტს ტრაქტორ „ბელორუსის“ მისაბმელით ხალხი გადაყავდა კოლმეურნეობის ერთი ფართობიდან მეორეში. აღმართზე ასვლისას ამოვარდა სიჩქარეთა კოლოფის ვადამრთველი და ტრაქტორმა მისაბმელიანად უკან იწყო დაგორება. ბ-მ თავის დროზე არ გააჩერა მანქანა, რის გამოც იგი გადაბრუნდა მისაბმელთან ერთად. ავარიის შედეგად დაზიანდა მისაბმელზე მჯდომი ორი მოქალაქე. ერთი მძიმედ, მეორე კი — მსუბუქად.

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ ბ-ს ქმედობა სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გადააკვალიფიცირა ამავე კოდექსის 115-ე მუხლის პირველ ნაწილზე (სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით) და მიუთითა, რომ ბ-ს ქმედობის სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით დაკვალიფიცირება უმართებულოა, რამდენადაც იგი შემთხვევის დროს კოლმეურნეობის ფართობში მოძრაობდა და არა ქუჩეზეა და გზებზე!

ასეთი მსჯელობა სწორი არ არის. ქმედობა ავტოსატრანსპორტო დანაშაულად ითვლება და პირი პასუხს აგებს 241-ე მუხლით, სულ ერთია, სად დაარღვია მან ტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესები: გზატკეცილზე, ქუჩაში, რკინიგზის გადასასვლელზე, ეზოში, მინდვრის გზაზე თუ საწარმოს ტერიტორიაზე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. საქმე № 153, 1972 წ., ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

<sup>2</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წ. 6 ოქტომბრის № 11 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, მუხ. მე-6),

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებით, სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ან მფლობელი, რომელმაც მოქმედი წესების დარღვევით საჭე დაუთმო წინასწარი შეცნობით მთვრალ პირს, აგრეთვე პირს, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება ან საერთოდ არა აქვს ასეთი უფლება ანდა არა აქვს მოცემული სახის ტრანსპორტის მართვის უფლება, თუ ამ მოქმედებამ გამოიწვია კანონში აღნიშნული შედეგები, პასუხს აგებს რსფსრ სსკ-ს 211<sup>2</sup> (საქართველოს სსრ სსკ-ს 241<sup>2</sup>-ე — გ. ბ.) მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლებით.

ამ განმარტების მიუხედავად, ცალკეული სასამართლო დასახელებულ შემთხვევებს მიანიც სსკ-ს 241-ე მუხლით აკვალიფიცირებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონსა და პლენუმის დადგენილებას. მაგალითად:

ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 27 ივლისის განაჩენით ბ-ს და კ-ს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით. ბ-ს მიესაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ოთხი წლით ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება. კ-ს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ ბ. დამნაშავედ ცნო იმისათვის, რომ მთვრალმა მასზე გაპიროვნებული სატვირთო ავტომანქანა სამართავად გადასცა ასევე მთვრალ არასრულწლოვან კ-ს. გზაზე მანქანით მოძრაობის დროს ამ უკანასკნელმა განავითარა დიდი სიჩქარე (80 კმ. საათში), ამიტომ მანქანის ძარბაზე მყოფმა მგზავრებმა კაბინაზე დაუბრაბუნეს; ხმაურის გაგონებაზე კ-მ მანქანა უეცრად დაამუხრუჭა, რის გამოც მანქანა გადაბრუნდა. ავარიის შედეგად დაიღუპა ერთი მგზავრი, სამმა კი მიიღო სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება<sup>3</sup>.

სასამართლო ვალდებული იყო ბ-სთვის მსჯავრი დაედო, სსკ-ს 241<sup>2</sup>-ე მუხლით, რადგანაც მან უხეშად დაარღვია ტრანსპორტის ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესები. მანქანა სამართავად გადასცა პიროვნებას, რომელიც მთვრალი იყო და არ ჰქონდა მართვის უფლება. ბ-ს ქმედობის არასწორმა იურიდიულმა შეფასებამ განაპირობა მისი უსაფუძვლოდ მკაცრად დასჯა, კერძოდ, თუ საქ. სსრ სსკ-ს 241<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად იგი უნდა დასჯილიყო მაქსიმუმ ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მას 241-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით, ე. ი. 3 წლით მეტი.

3. ზოგიერთი სასამართლო მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა, თუ მას შედეგად მოჰყვა მხოლოდ იმ პირის სხეულის დაზიანება, ვინც დაარღვია წესები, არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას და პირმა არ შეიძლება პასუხი აგოს საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლით; მაგალითად: ლ.-მ 1970 წლის 3 ოქტომბერს ავტომანქანა „ვაზ-452“-ის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის წესები და დაეჯახა ასევე მოძრაობის წესების დარღვევით მომავალ ავტომანქანას. ავარიის შედეგად მან მიიღო ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 15 იანვრის განაჩენით ლ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხ-

3 იხ. საქმე № 115, 1972 წ., ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლოს აქტივი.

ლის მეორე ნაწილით და მიუსაჯა ერთი წლით გამასწორებელი სამუშაოები, სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით. მასვე ჩამოართვა ერთი წლის ვადით ტრანსპორტის მართვის უფლება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ იმსჯელა ამ საქმეზე და მართებულად გააუქმა ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ლ-ს ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.<sup>4</sup>

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს 241-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ნორმა — კონკრეტული საფრთხის შექმნა ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით.

ზოგიერთ სასამართლოს სწორად არ ესმის ეს შემადგენლობა, რის გამოც შეცდომები მოსდის ქმედობის 241-ე მუხლის ამ ნაწილით კვალიფიკაციის დროს; მაგალითად:

ე. დამნაშავედ იქნა ცნობილი იმისათვის, რომ მასზე გაპიროვნებული სატვირთო ავტომანქანით 1972 წლის 7 ივნისს ქ. თბილისიდან სოფელ სხულონში ჩამოვიდა უნებართვოდ, საგზურის გარეშე. აქ იგი დათვრა და უკან დაბრუნებისას ავტომანქანა დააჯახა გზაზე მიმავალ ორ მოქალაქეს. ავარიის შედეგად ერთი დაზიანდა ნაკლებად მძიმედ, მეორე კი — მსუბუქად.<sup>5</sup>

ლენინგორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის პირველი ავისტოს განაჩენით ე-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა რვა თვით თავისუფლების აღკვეთა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების თანახმად, აღნიშნული სასჯელი შეეცვალა პირობით, შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

აღნიშნული განაჩენი ღმობიერების გამო პროკურატურამ გააპროტესტა.


სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ პროტესტი უარყო და ე-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ-ს 241- მუხლის მეორე ნაწილიდან პირველ ნაწილზე. სასჯელად განუსაზღვრა ერთი წლით შრომა გასწორების სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე, ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვით. კოლეგიის აზრით, სასამართლოს ე. დამნაშავედ უნდა ეცნოთ იმისათვის, რომ იგი უფროსის ნებართვის გარეშე წამოვიდა ქ. თბილისიდან ლენინგორის რაიონის სოფელ სხულონში, სადაც დათვრა და სიმთვრალეში მანქანის მართვის დროს მანქანის ფრთა წამოსდო ღობეს, რითაც საფრთხე შეუქმნა ძარაზე მჯდომ მგზავრებს (ს. ფ. 184—185).

კოლეგიის მიერ ქმედობის გადაკვალიფიცირება სსკ-ს 241-ე მუხლის პირველ ნაწილზე იმის გამო, რომ მსჯავრდებული მთვრალი მართავდა მანქანას და ფრთით წამოედო ღობეს, არ შეესაბამება წინასწარი შეცნობით აღმინათა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზული საფრთხის შექმნას. საქმიდან არ ჩანს, შეეძლო თუ არა ამ შემთხვევას გამოეწვია სათანადო მძიმე

4 იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1971, № 2, გვ. 24.

5 იხ. საქმე № 25, 1972 წ., ლენინგორის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

6 სასამართლო უფლებამოსილი არ იყო ე-ს მიმართ გამოეყენებინა აღნიშნული ბრძანებულება, რამდენადაც მისი გამოყენება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ პირს მისჯილი აქვს თავისუფლების დკვეთა ერთიდან სამ წლამდე.



შედეგები. გარდა ამისა, კოლეგიას არ შეეძლო ე-ს მოქმედება დაეკვალიფიცირებინა სსკ-ს 241-ე მუხლის პირველი ნაწილით იმ აშკარა და უდავო გარემოების გამო, რომ ეს ნორმა, კანონის თანახმად, მხოლოდ მაშინ გამოიყენება, თუ დამნაშავეს ადრე მსგავსი დარღვევისათვის დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი და მან კვლავ გაიმეორა იგი პირველი დარღვევიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულის შესახებ კი საქმის მასალებში არაფერია ნათქვამი.

6. ქმედობის ავტოსატრანსპორტო დანაშაულად ცნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეული მატერიალური ზარალის მნიშვნელობის სწორ განსაზღვრავს.

მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი შეფასებითი კატეგორიაა.

კანონმდებელი საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილში არ განმარტავს, თუ რა ღირებულების ქონება უნდა ჩაითვალოს ასეთად, საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის მიხედულებასზე დამოკიდებული. სასამართლო ორგანოები განსაზღვრავენ, ჩაითვალოს თუ არა მოცემული კონკრეტული ზარალი მნიშვნელოვანად და შესაბამისად, აგოს თუ არა პირმა პასუხი სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მოსამართლეებს არასწორად ესმით საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული შემადგენლობა, რის გამოც შეცდომებს უშვებენ ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს, ეს შეცდომები შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

ა) როდესაც ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეულია მხოლოდ მატერიალური ზარალი ეს შემთხვევა წარმოადგენს, ასე ვთქვათ, 241-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულ შემადგენლობის ტიპურ სახეს. დარღვეულია გარკვეული წინდახედულობის ნორმა, სახეზეა მატერიალური ზარალი, არის მიზეზობრივი კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და მავნე შედეგს შორის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანი.

სასამართლოები არა თუ არ მსჯელობენ იმაზე, მატერიალური ზარალი მნიშვნელოვანია თუ არა, არამედ მატერიალური ზარალის ოდენობასაც კი არ ადგენენ და ისე სჯიან პირს საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით; მაგალითად:

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 22 დეკემბრის განაჩენით გ-ს მსჯავრი დაედო სსკ 241-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე შეეცვალა პირობით. გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ 1972 წლის 27 აგვისტოს ქ. თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მასზე გაპიროვნებული ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესაბამისი მოთხოვნები და ავტომანქანა გადააბრუნა. ავარიის შედეგად დაზიანად მანქანა, რითაც სახელმწიფოს მოუვიდა 2663 მან. და 65 კაბ. ზარალი.

სამსჯავრო სხდომაზე დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენელმა

მოითხოვა აღნიშნული თანხის შემცირება, რამდენადაც მანქანის ზოგიერთი დეტალი ვარგისი აღმოჩნდა ექსპლოატაციისათვის და ბევრი აღდგენითი სამუშაო მძღოლმა შეასრულა.

სასამართლომ არ გაიზიარა დაზარალებული მხარის ეს მოთხოვნა და ისე, რომ არ დაუდგენია მატერიალური ზარალის ზუსტი ოდენობა, გ-ს მსჯავრი დასდო, განაჩენში მიუთითა, რომ: „აღნიშნული ქმედობა სწორად არის დაკვალიფიცირებული საქარათველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით მის მართვის ქვეშე მყოფ ავტომანქანაზე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენების ნიშნით, რომლის მთლიანი ღირებულება საბოლოოდ დაზუსტებული ვერ იქნა, რის გამოც დაზარალებული ორგანიზაციის მოთხოვნა სამოქალაქო ნაწილში დატოვებული უნდა იქნეს ღიად“<sup>7</sup>.


საკითხის გადაწყვეტის ასეთი პრაქტიკა მანკიერია. იგი არც კანონს შეესაბამება და არც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის № 11 დადგენილებას, რომლის მე-9 მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ: „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეების განხილვის დროს, რომლებიც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გამოწვევის, სატრანსპორტო საშუალებათა ნაგებობათა, ტვირთის და ა. შ. წახდენასთან ან დაღუპვასთან დაკავშირებით დაკვალიფიცირებულნი არიან რსფსრ სსკ-ს 211-ე მუხლის პირველი (საქარათველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე — ჯ. ბ.) ნაწილით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, სასამართლოები განაჩენში არ უნდა შემოიფარგლონ ზოგადი მითითებით, რომ დამნაშავის მიერ გამოწვეულია არსებითი მატერიალური ზარალი, არამედ უნდა აღნიშნონ ზარალის კონკრეტული ოდენობა, და მოტივები, რომელთა მიხედვით იგი მიჩნეულ იქნა არსებითად“.

ბ) სასამართლო შეცდომათა ცალკე კატეგორიას მიეკუთვნება შემთხვევები, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით კანონში მითითებულ სხვა მავნე შედეგებთან ერთად (დაზარალებულის სიკვდილი ან სხეულის დაზიანება) სახეზეა მატერიალური ზარალიც, ე. ი. როდესაც საქმე გვაქვს ერთი ქმედობით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთა სიმრავლესთან. ასეთი ქმედობა სასამართლოების მიერ კვალიფიცირდება 241-ე მუხლის იმ ნაწილით, რომელიც ყველაზე მძიმე შედეგს ითვალისწინებს. თუ მაგალითად ავარიის შედეგად მძიმედ დაზიანდა მოქალაქე და მასთან ერთად სახეზეა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, ქმედობას აკვალიფიცირებენ არა დანაშაულთა ერთობლიობით, არამედ მხოლოდ 241-ე მუხლის ერთი ნაწილით, სახელდობრ მესამე ნაწილით.

სასამართლოებს ასეთ პირობებში აქცენტი გადააქვთ სხეულის მძიმე დაზიანებაზე (ან დაზარალებულის სიკვდილზე) და მსჯელობის საგნად არ აქცევენ მატერიალური ზარალის ფაქტს, ანდა მიუთითებენ მხოლოდ მატერიალური ზარალის ოდენობას და არ განიხილავენ, არის თუ არა იგი მნიშვნელოვანი. ყოველივე ეს, საბოლოოდ და უარყოფითად მოქმედებს სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე და ხელს უწყობს დაუსაბუთებლად ღმობიერი განაჩენის გამოტანას.

<sup>7</sup> იხ. საქმე № 341, 1972 წ., ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლის არქივი.





მაგალითად:

ხოზის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 15 ნოემბრის განაჩენით პ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა თავიფულების აღკვეთა ორი წლის ვადით, სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ამავე ვადით ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება.

სამსჯავრო გამოძიებით დადგინდა, რომ 1969 წლის 13 აგვისტოს პ-მ მასზე გაპროცესებული ავტობუსის მართვის დროს სოფ. ქვემო ქვალონის ტერიტორიაზე დაარღვია მოძრაობის წესები: მანქანა გადაიყვანა გზის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, დაეჯახა ხრემის გროვას და გადავარდა წყლის საწრეტ არხში. ავარიის შედეგად მძიმედ დაშავდა ერთი მგზავრი, ხოლო დანარჩენებმა მანქანიდან დროზე ამოსვლით უშველეს თავს. ავტობუსს გაუჩნდა ცეცხლი და მთლიანად დაიწვა ამით სახელმწიფო დაზარალდა 4852 მანეთითა და 73 კაპიით<sup>8</sup>.

საქმეზე გამოტანილი განაჩენიდან არ ჩანს, თვის თუ არა სასამართლო მატერიალურ ზარალს მნიშვნელოვნად და ითვალისწინებს თუ არა მას სასჯელის დანიშვნის დროს.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის სასამართლო ვალდებულია დაწვრილებით განიხილოს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეული ისეთი დანაშაულებრივი შედეგი, როგორცაა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენება.

ერთიანი ქმედობით გამოწვეულ მავნე შედეგთა სიმრავლეში მისი არსებობა სასამართლოს უკარნახებს, სხვა შედეგებთან ერთად, ზუსტად განსაზღვროს მისი ოდენობა და უპასუხოს კითხვაზე, თვის თუ არა მას მნიშვნელოვნად. სასამართლომ მთლიანად ქმედობა უნდა განიხილოს როგორც გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე და შესაბამისად მკაცრად დასაჯოს დამნაშავე.

გ) მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალად კანონი გულისხმობს ფაქტიურ ზარალს და არა ანაცდენ გამორჩენას. მაგალითად, მანქანის დაზიანების შემთხვევაში მატერიალური ზარალის გამოანგარიშება ხდება დაზიანებული ნაწილების აღდგენის საფასურის მიზიდვით და მხედველობაში არ მიიღება ის ზარალი, რაც მისმა მესაკუთრემ (ვთქვათ ავტომეურნეობამ), მანქანის მწყობრიდან გამოსვლით განიცადა, მაგალითად ვერ შეასრულა მგზავრების გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის გეგმა და ა. შ.

ზოგიერთ სასამართლომ ავიწყდება ეს და ხშირად მატერიალური ზარალის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს ანაცდენ გამორჩენასაც; მაგალითად:

სოხუმის სახალხო სასამართლომ განაჩენით თ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით. თ. დამნაშავედ იქნა ცნობილი იმისათვის, რომ სიმთვრალეში სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია გზაჯვარედინზე გავლის წესი და დაეჯახა ელექტრონის ბოძს, ავარიის შედეგად დაზიანდა როგორც ავტომანქანა, ისე ბოძი. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 950 მანეთი. სასამართლომ აღნიშნული თან-

<sup>8</sup> იხ. საქმე № 56, 1972 წ., ხოზის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

ხა მნიშვნელოვნად სცნო, ისე, რომ ფაქტიურ ზარალთან ერთად მხედველობაში მიიღო მანქანის მოცდენით მიყენებული ზარალი — 480 მანეთი.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი თ-ს მიმართ უცვლელად დატოვა. თ-ს საქმე გაპროტესტდა აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რომელმაც მართებულად მიუთითა დაშვებულ შეცდომაზე. გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და საქმე გადასცა სხვა შემადგენლობას ხელახალი განხილვისათვის.

სოხუმის სახალხო სასამართლომ მოახდინა გადაანგარიშება, ზემოხსენებულ 250 მანეთს გამოაკლო ანაცდენი გამორჩენა 480 მან. და საბოლოოდ თ-ს მსჯავრი დადო საქ. სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით<sup>9</sup>.

დ) სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სასამართლოები, ზოგჯერ გაუმართლებელ სიმკაცრეს იჩენენ და საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით სჯიან პირებს, რომელთა წინდახედულობის ნორმების დარღვევით უმნიშვნელო მატერიალური ზარალია გამოწვეული: მაგალითად:

ბ. და ს. დამნაშავედ იქნენ ცნობილი იმისათვის, რომ მათზე გაპიროვნებული სატვირთო ავტომანქანებით მოძრაობის დროს დაარღვეეს წინდახედულობის წესები (ერთმა გასწრების, მეორემ კი მოხვევის) და დაეჯანყნენ ერთმანეთს. ავარიის შედეგად ორივე მანქანა დაზიანდა. მატერიალურმა ზარალმა 204 მანეთი შეადგინა.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 15 სექტემბრის განაჩენით ბ-სა და ს-ს მსჯავრი დაედო სსკ 241-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრათ ჯარიმა 80—80 მანეთი. განაჩენში — ვკითხულობთ: „სასამართლო თვლის, რომ 204 მანეთის ზარალი, რომელიც გამოწვეულია ბრალდებულთა ბრალის შედეგად, არ არის დიდი თანხა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან ზარალად და ბრალდებულები დაისჯონ სისხლის სამართლის წესით“ (ს. ფ. 116).<sup>10</sup>

სასამართლო არ განმარტავს, თუ რა თავისებურებით ხასიათდება ეს „კონკრეტული შემთხვევა“, რომელმაც იგი აიძულა აღნიშნული პირები დამნაშავეებად ეცნო. მსგავსი საქმეები პრაქტიკაში ერთეული არ არის, რაც იმაზე მიგვიჩივებს, რომ სასამართლოებმა ვერ შეიმუშავეს ერთიანი მყარი კრიტერიუმი განსაზღვრული საკითხის სწორად გადაჭრისათვის.


ვფიქრობთ, საჭიროა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განუმარტოს სასამართლოებს საორიენტაციო თვლადი თანხა, რომლის ქვევითაც მიზანშეწონილად არ უნდა ჩაითვალოს პირის პასუხისმგებებაში მიცემა. სსკ-ს 241-ე მუხლის მეორე ნაწილით მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გამოწვევისათვის.

ამ საკითხის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების დაცვას, ამ კატეგორიის საქმეზე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის შემუშავებას.

7. საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლით გათვალისწინებული მავნე შედეგების მიზეზი ზოგჯერ ორი ან მეტი მძღოლის მოქმედებაა. სასამართლო ვალდებულია დაწვრილებით გამოიკვლიოს ავტოავარიაში მონაწილე ყველა პირის

<sup>9</sup> საქმე № 41, 1972 წ., ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს არქივი.

<sup>10</sup> იხ. საქმე № 81, 1972 წ., სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.



ქმედობის მართლიწინაღმდეგობის საკითხი და არ დაკმაყოფილდეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ იმ მძღოლის მიცემით, რომლის დანაშაულებრივმა მოქმედებამაც გადაწყვეტი როლი შეასრულა მძიმე შედეგის განხორციელებაში.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახვა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ზოგიერთი სასამართლო არ იცავს კანონის მოთხოვნას სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ. გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მძღოლის მიმართ გამოაქვს კერძო განჩინება ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენების შესახებ, იმის მაგივრად, რომ დააყენოს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი; მაგალითად:

მძღოლმა ყ-მ მასზე გაპიროვნებული მისაბმელიანი თვითმცლელის მართვის დროს ქ. ფოთში № 5 სვლაგეზის ავტობუსის გაჩერებასთან მდებარე გზაჯვარედინთან მიახლოვებისას, დაარღვია მოძრაობის წესები, გადააჭარბა სიჩქარეს, არ გამოიჩინა ყურადღება გარემო პირობებისადმი, გზა გადაუჭრა ლანჩხუთიდან ფოთში მიმავალ ავტობუსს, რომელსაც მ. მართავდა, და თავისი მანქანის ძარის უკანა ნაწილით დაეჯახა მას. ავარიის შედეგად დაზიანდნენ ავტობუსში მსხდომი მგზავრები.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 15 სექტემბრის განაჩენით ყ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება ავტობუსის მძღოლის მ-ს ადმინისტრაციული წესით დასჯის თაობაზე. განჩინებაში ვკითხულობთ — რომ:

„ლანჩხუთის რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა მ-მ, თავის მხრივ, გამოიჩინა უყურადღებობა გარემო პირობების ცვლილებებისადმი, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტობუსი, მოწმეების: ოვსენიკოვას, ვარაზიოვას, სიმონოვას, ფედოროვას და ოსკინას ჩვენებით, გზაჯვარედინის გავლისას მიყავდა გადაჭარბებული სიჩქარით, რამაც თავის მხრივ თავისებურად განაპირობა დამღვარი შედეგი. მ-ს რომ შეენელებინა სიჩქარე გზაჯვარედინის გავლისას და იმ დროს, როცა მას გზა გადაუჭრა ყ-მ და ავტობუსით მიედო მარცხნივ ავარიის აღნიშნული შედეგი არ დადგებოდა“ (ს. ფ. 215).<sup>11</sup>

სასამართლოს მსჯელობა მ-ს მოქმედების შესახებ სავსებით მარტბულია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქედან მცდარი დასკვნებია გამოტანილი. იმის მაგივრად, რომ სასამართლოს ემსჯელა მ-ს სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით პასუხისგებაში მიცემაზე, ადმინისტრაციული სასჯელის მოთხოვნით შემოიფარგლა.

ზოგიერთი სასამართლო ავტოსატრანსპორტო დანაშაულად მიიჩნევს და სჯის ისეთ ქმედობას, რომელიც უკიდურესი აუცილებლობითაა ჩადენილი. მაგალითად:

კ. 1972 წლის 2 ივნისს ოჩამჩირეში იყო სტუმრად ვიშლოვის ოჯახში. ის იყო საუბრებზე ორი ჭიქა ღვინო დალიეს, რომ მეზობელი ოჯახიდან შემოესმათ

<sup>11</sup> იხ. საქმე № 90, 1972 წ., ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს არქივი

ქალის კვილი. აღმოჩნდა, რომ ქალი ფეხმძიმედ ყოფილიყო და მშობიარობის შეტევები დასწყებოდა. საჭირო იყო მისი წაყვანა საავადმყოფოში, მაგრამ საამისოდ ტრანსპორტი არ იყო (ეს ხდება სოფელში, საიდანაც შეუძლებელი იყო სასწრაფო დახმარების გამოძახება). იქვე იყო მეზობლის ავტომანქანა „მოსკვიჩი“, მაგრამ მისი მართვის მცოდნე არავინ იყო.

როდესაც შეკრებილმა მეზობლებმა გაიგეს, რომ კ-მ იცოდა მანქანის მართვა, სთხოვეს ფეხმძიმე ქალის წაყვანა საავადმყოფოში. მან უარი თქვა, რადგანაც მართვის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული სიმთვრალეში ტრანსპორტის მართვისათვის. ბოლოს ჭირისუფლების დაყენებით თხოვნაზე ველარაფერი გააწყო და დათანხმდა, მით უმეტეს, რომ თვითონაც ებრალებოდა ავადმყოფი.

კ. ვზაზე ავტონისპექციამ დააკავა იმის გამო, რომ იგი მთვრალი იყო და არ ჰქონდა მანქანის მართვის უფლება. ავტონისპექტორმა თვითონ წააყვანა მელოგინე ქალი საავადმყოფოში იმავე მანქანით.

ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით კ. დამნაშავედ სცნო სსკ-ს 241<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე აღნიშნული სასჯელი შეუცვალა პირობით — შრომაში სავალდებულო ჩაბმით<sup>12</sup>.

კ-ს მსჯავრდება ვფიქრობთ სწორი არ არის. მართალია მის მოქმედებაში არის სსკ-ს 241<sup>1</sup>-ე მუხლით (სატრანსპორტო საშუალებათა მართვა ნასვამ მდგომარეობაში) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ იგი ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.

კ. არჩევანის წინაშე იდგა ან კანონი უნდა დაერღვია (მთვრალი დამჯდარიყო საჭესთან) და დახმარება გაეწია მძიმე მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის, ან თავი უნდა შეეკავებინა და საფრთხეში ჩაეგდო ადაციანის სიცოცხლე.

მან სავესებით სწორი გამოსავალი მოიხსნა და კანონი დაარღვია, რათა ავადმყოფის სიცოცხლე გადაერჩინა. ამ ფონზე მისი დარღვევა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცილებული ზიანი.

კ-ს მოქმედება ზუსტად შეესაბამება საქართველოს სსრ სსკ-ს მე-16 მუხლს და მან არ შეიძლება პასუხი აგოს მითითებული დანაშაულისათვის.

ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესების დანაშაულებრივი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გადაწყვეტისას სასამართლოები გულდასმით არ იკვლევენ ქმედობის სუბიექტურ მხარეს. ძნელია მოიძებნოს განაჩენი, სადაც მითითებული იყოს, თუ გაუფრთხილებლობითი ბრალის რომელი სახით, დანაშაულებრივი თვითმედოვნებით თუ დაუდევრობითაა გამოწვეული კონკრეტული მავნე შედეგი. ავტოსატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტურ მხარეს სასამართლოები ძირითადად იმაზე მითითებით ამოწურავენ რომ „მძლოლმა არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება“, „ვერ შე-

<sup>12</sup> იხ. საქმე № 355, 1972 წ., ქუთაისის სახალხო სასამართლოს არქივი.

„რჩია სათანადო სიჩქარე“, „ვერ უზრუნველყო მანქანის უსაფრთხო მართვა“ და ა. შ.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორად არ უნდა ჩაითვალოს.

1. სასამართლოს მითითება მხოლოდ იმაზე, რომ „მძღოლმა არ გამოიჩინა ყურადღება“, „ვერ უზრუნველყო მანქანის უსაფრთხო მართვა“ და სხვა არ იძლევა დამდგარ შედეგთან პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ნათელ სურათს, ამან შეიძლება უხეში შეცდომების დაშვებამდე მიგვიყვანოს. სახელდობრ, არაა გამორიცხული, რომ დამნაშავე მოქმედებდეს ევენტუალური განზრახვით, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან ახლოს დგას დანაშაულებრივ თვითმედლოვნებასთან. ამ ორი სხვადასხვა ფსიქიკური, სტრუქტურის მქონე ქცევის შეუფასებლობას კი შეიძლება შედეგად ის მოჰყვეს, რომ უფრო მძიმე დანაშაული, მაგალითად, განზრახი მკვლელობა, სასამართლომ ავტოსატრანსპორტო დანაშაულად ჩათვალოს და სხვა; მაგალითად:

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ე-ს მსჯავრი დედო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება.

სამსჯავრო გამოძიებით დადგინდა, რომ 1972 წლის 28 თებერვალს ე. მანქანით იმყოფებოდა სტუმრად. აქ მან მიიღო ალკოჰოლი და მეგობრების თხოვნით ახლა სხვა ოჯახში მივიდა, სადაც კვლავ განაგრძო სმა.

ე. იმდენად დათვრა, რომ აღარ შეეძლო ავტომანქანის მართვა, რაზეც სუფრის წევრებმა გაათრთხილეს და თხოვეს არ დამჯდარიყო საჭესთან. მიუხედავად ამისა, მან აამუშავა მანქანა და მეგობრებთან ერთად წამოვიდა. გზაზე მოძრაობისას მას მანქანა მიყავდა ზიგზაგებით (ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ) ბოლოს თავი ვერ გაართვა მის მართვას და მანქანა გადაავდო გზიდან მარცხნივ წყლის საწრეტ არხში. ავტომანქანა არხიდან ამოიყვანეს. შიგ მკვლამთაგან არავინ დაზიანებულა. გაიარეს თუ არა გარკვეული მანძილი ე-მ კვლავ გადაავდო იგი არხში (ამჯერად მარჯვენა მხარეს). მგზავრებიდან კვლავ არავინ დაზიანებულა. მათ (მგზავრებმა) ამოიყვანეს მანქანა არხიდან და კატეგორიულად გააფრთხილეს მძღოლი, აღარ გაეგრძელებინა გზა. ამასთან წაართვეს გასაღებიც. ე-მ გასაღები მაინც დაიბრუნა და ისევ შეეცადა მანქანის წაყვანას. მგზავრებმა ნახეს, რომ იგი თავისას არ იშლიდა, ჩამოვიდნენ მანქანიდან და ფეხით გაუდგნენ გზას. ე-მ მანქანა აამუშა და დაძრა. მანქანის ზიგზაგურად მართვის დროს იგი დაეჯახა გზის მარჯვენა მხარეზე მდგომ მოქალაქეს, გადაუარა ზედ და მიიმალა.<sup>13</sup>

სხვა მაგალითი.

ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ა-ს მსჯავრი დადო საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე და 243-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ა. დამნაშავედ ცნეს იმისათვის, რომ კარლ მარქსის სახელობის მოედნიდან, დროებითი გამოყენების მიზნით, გაიტაცა მგზავრებით სავსე ტროლეიბუსი. ა. მთვრალი იყო, არ იცოდა ტროლეიბუსის მართვა, და ამასთან ერთად ყრუ-მუნჯიც გახლდათ. მარჯანიშვილის სახელობის მოედნის მიმართულებით მოძრაობის დროს, ა-მ განავითარა დიდი სიჩქარე, მიდიოდა ზიგზიგურად, და-

13 იხ. საქმე № 79, 1972 წ., წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი

არღვია მოძრაობის წესების მე-4 და 22-ე მუხლების მოთხოვნები, ტროლეიბუსი აიყვანა ტროტუარზე, დაეჯახა გამვლელ მოქალაქეს და მძიმედ დაზიანა. ამის შემდეგ განაგრძო ზიგზაგური სვლა და ტროლეიბუსით შეეგარდა ატელიეს შენობაში. თუმცა იმ დღეს ატელიეში ხალხი მუშაობდა, ბედად არავინ დაზიანებულა<sup>14</sup>.

სამსჯავრო გამოძიებაზე ა-მ განმარტა, რომ დაინახა გაჩერებული ტროლეიბუსი, ისარგებლა მძღოლის არყოფნით, მიუჯდა საჭეს და ფიქრობდა მიეყვანა იგი „დინამოს“ სტადიონამდე. ამასთან ერთად დასძინა, რომ არ იცის ტროლეიბუსის მართვა, კაბინაში აწვალებდა „რადაციებს“, რომლებიც ჩაერთო და დაძრეს მანქანა.

როგორც ზემოხსენებული შემთხვევების კვალიფიკაციიდან ჩანს, სასამართლო ამ ქმედობებს გაუფრთხილებლობით: ჩადენილად თვლის. მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს აზრით მითითებულ პირებს ქმედობა ჩადენილი აქვთ დანაშაულებრივი თვითომედოვნებით. მაგრამ საკითხავია, არის თუ არა აქ დანაშაულებრივი თვითომედოვნება?

ცნობილია, რომ დანაშაულებრივი თვითომედოვნება მართო ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროების შეგნებით არ ამოიწურება, თვითომედოვნების დროს დამნაშავეს არა თუ არ უნდა მავნე შედეგის დადგომა, პირიქით, იგი დარწმუნებულია, რომ არ დაუშვებს მას და მხოლოდ ამიტომ თანხმდება წინდაჩედულობის ნორმის დარღვევაზე; დამნაშავე იმედს ამყარებს გარკვეულ კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთაც მისი აზრით შეუძლიათ თავიდან ააცილონ მავნე შედეგები. როდესაც პირი ამ შედეგების თავიდან აცილების იმედს არ ამყარებს გარკვეულ გარემოებებზე ან დარწმუნებული არ არის, რომ მოცემული გარემოებები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ მავნე შედეგების დადგომას, საქმე გვაქვს არა დანაშაულებრივ თვითომედოვნებასთან, არამედ ევენტუალურ განზრახვასთან, რამდენადაც აქ მავნე შედეგების აცილების საკითხი ილბალზეა მიტოვებული.

მოტანილი მაგალითებიდან ძნელია იმის დაჯერება, რომ დამნაშავეები ე. და ა. დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ მავნე შედეგების თავიდან აცილებაში.

საინტერესოა, რის იმედი უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც იმდენად მთვრალია, რომ უნარი არ შესწევს ნორმალურად მართოს მანქანა, მიჰყავს ზიგზაგებით, რითაც უხეშად არღვევს მოძრაობის წესების არსებით მოთხოვნას — „მოძრაობის დროს დაიკავოს გზის მარჯვენა მხარე“. თუმცა ე-მ ორჯერ გადაადგო მანქანა არხში და ამით სერიოზული საფრთხე შეუქმნა შიგ მსხდომ ზგზავრებს (რომლებმაც რამდენჯერმე გააფრთხილეს) ის მაინც აგრძელებს მანქანის მართვას და სასიკვდილოდ აზიანებს ქვეითად მოსიარულეს!

ამ შემთხვევაში სუბიექტის ინდიფერენტული დამოკიდებულება მართლწესრიგით დაცული ღირებულებებისადმი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით.

ასევე შეიძლება ითქვას ა-ს მიმართაც.

მისი ჩვენებებიდან ირკვევა, რომ იგი არ ზრუნავს (თუნდაც ქარაფშუტულად) შესაძლო მავნე შედეგების თავიდან აცილებისათვის, პირიქით, სრულიად გულგრილიადაა განწყობილი კანონით დაცული ობიექტებისადმი. სხვანაირად

<sup>14</sup> იხ. საქმე № 160, 1972 წ., ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.



როგორ შეიძლება შეფასდეს ა-ს მითითება, რომ როცა დაინახა გაჩერებულ ტროლეიბუსს და ნახა რომ მძღოლის ადგილზე არავინ იყო, მოუხდა მისი წაყვანა. მიუხედავად საჭეს და ფიქრობდა წასულიყო „დინამოს“ სტადიონამდე.

ა.-ს ჩანაფიქრის ანალიზი გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდია მძიმე შედეგების დადგომის შესაძლებლობა და რამდენად უმნიშვნელოა (თითქმის ნულამდეა დაყვანილი) მათი თავიდან აცილების შანსი.

განა შეიძლება მთვრალი, ყრუ-მუნჯი ადამიანი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ტროლეიბუსის მართვაზე, ხელს ჰკიდებდეს ხალხით საცხე მანქანის მართვას ქალაქის ცენტრში (გაცხოველებული მოძრაობის მქონე ქუჩაზე), დიდი სიჩქარით მიჰყავდეს მანქანა, და დარწმუნებული იყოს, რომ თავიდან აიცილებს შესაძლო მავნე შედეგებს? ვფიქრობთ, რომ არა. აღნიშნულ შემთხვევაში სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ა-ს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ითვალისწინებდა მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ გულგრილად იყო განწყობილი მათდამი ანუ მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით.

2. საქართველოს სსრ სსკ-ს 241-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარის გამოკვლევისას სასამართლოები ზოგჯერ მეორე უკიდურესობაში ვარდებიან, სახელდობრ, სჯიან პირს ისე, რომ არ ადგენენ. ჰქონდა თუ არა მას ბრალი მავნე შედეგის მიმართ.

დანაშაულებრივი დაუდევრობა ესაზღვრება მავნე შედეგების არაბრალეულ დადგომას ანუ კაზუსს, რისთვისაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მძღოლს ერთი შეხედვით შეიძლება მართლაც დარღვეული ჰქონდეს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესები, მაგრამ ეს ჩადენილი იყოს ისეთ რთულ სიტუაციაში, როდესაც მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა მძიმე შედეგების დადგომა. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ წინდახედულობის ნორმის დარღვევის ფაქტის დადგენა, როგორც ამას სასამართლო პრაქტიკა მიმართავს, არ არის საკმარისი პირის მსჯავრდებისათვის; აუცილებელია, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდეს თავიდან აიცილნოს მავნე შედეგი.

ამ მხრივ ინტერესს იწვევს შემდეგი მაგალითი:

თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1972 წლის 7 დეკემბრის განაჩენით ჩ-ს მსჯავრი დაედო სსკ-ს 241-ე მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

სამსჯავრო გამოძიებით დადგინდა, რომ ჩ. მასზე გაპიროვნებული ტრაქტორ „ბულდოზერის“ ციცხვით დაქოქვის მიზნით აწვებოდა ღ-ს ტრაქტორ-მტვირთავს ციცხვზე. ორივე ტრაქტორის მოძრაობის დროს ღ. ჩავარდა თავისი მანქანის მარჯვენა მუხლუხის ქვეშ და სასიკვდილოდ დაზიანდა<sup>15</sup>.

ჩ-ს რომ უხეშად აქვს დარღვეული წინდახედულობის მოთხოვნები, ეს დავას არ იწვევს. ის და დაზარალებული ვალდებულნი იყვნენ ტრაქტორის დასაქოქად ასეთ პირობებში გამოიყენებინათ დრეკადი ან ხისტი გადასაბმელი. ამასთან ერთად მიეღოთ სხვა გამაფრთხილებელი ზომები. ჩ-ს მოქმედების მართლწინააღმდეგობა გარკვეულია, მაგრამ საკითხავია, მიუძღვის თუ არა მას ბრალი ღ-ს სიკვდილში?

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ტრაქტორ-მტვირთავის ციცხვი თავისი

სიდიდით მთლიანად ფარავდა ტრაქტორის კაბინას. რომელზედაც ის იყო დამაგრებული. ამიტომ ჩ-ს არ შეეძლო დაენახა, თუ რა ზღვებოდა ციცხვს მიღმა საერთოდ და კერძოდ ღ-ს ტრაქტორის კაბინაში. შემთხვევის წინ (ეს ხდება ქვის კარიერზე) ტრაქტორებმა აღნიშნულ მდგომარეობაში გაიარეს ათი მეტრი, რომლის დროსაც ღ. თავის კაბინიდან გადმოსვლისას ჩავარდა თავისი ტრაქტორის მუხლუხებში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩ. დაზარალებულის ტრაქტორს მითითებული ხერხით ქოქავდა სისტემატურად თითქმის ერთი თვის განმავლობაში. ღ-ს ტრაქტორის კაბინის კონსტრუქცია გამორიცხავს მოძრაობის დროს რაიმე ბიძგების გამო მძღოლის გადმოვარდნას.

განსასჯელ ჩ-ს არ დაუნახავს და არც შეეძლო დაენახა, თუ როგორ აპირებდა ღ. მიმავალი მანქანის კაბინიდან გადმოსვლას. ამასთან, მას არც შეეძლო გაეთვალისწინებინა მანვე შედეგის დადგომა, ვინაიდან მსგავსი პროცედურა გრძელდებოდა მთელი თვის განმავლობაში და ყოველთვის მშვიდობიანად მთავრდებოდა. ამჭერადაც, ღ-ს რომ არ გამოეჩინა უხეში გაუფრთხილებლობა (არ დაეპირებინა მოძრაობაში მყოფი ტრაქტორიდან გამოსვლა), ბუნებრივია არაფერი არ მოხდებოდა.

ამრიგად, თუ ჩ-ს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას საზოგადოებრივად საშიში შედეგები მოჰყვებოდა, მას პასუხი არ უნდა ეგო მითითებული დანაშაულისათვის, რამდენადაც აქ საქმე გვაქვს უბედურ შემთხვევასთან.



## ბრალდებულის სახით პასუხისმგებელი მიხედვით სახით, საფუძვლისა და მომენტის საკითხისათვის

გ. მონანიანი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სისხლის სამართალწარმოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის ინსტიტუტის სწორ გაგებას და ამასთან ერთად მისი საფუძვლისა და მომენტის განსაზღვრას.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხებზე გამოთქმულია ორი მოსაზრება. ავტორთა ნაწილის აზრით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წარმოიშობა „ბრალდებულის სახით, პირის პასუხისმგებლობაში მიცემასთან დაკავშირებით“,<sup>1</sup> სხვების აზრით კი — „გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტიდან“.<sup>2</sup> ამ მოსაზრებებს არ შეიძლება დავეთანხმოთ, რამდენადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განპირობებულია დანაშაულის ჩადენის ფაქტით, რომელიც წარმოშობს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს, მათ შორის სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის უფლებამოვალეობებს. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს თვალსაზრისი, რომლის თანახმად ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემა წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის პირველდაწყებით აქტს, პრაქტიკული რეალიზაციის პირველ ნაბიჯს, მაშინ როდესაც პირის იურიდიული მოვალეობა — სისხლის სამართლებრივი წესით აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისათვის — წარმოიშობა მისი ჩადენის ფაქტთან ერთად.<sup>3</sup> აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მარტო იმ პირს კი არ ეკისრება, რომელსაც სასამართლოს განაჩენით უკვე დაენიშნა სასჯელის ღონისძიება, არამედ იმასაც, ვინც ბრალდებულის მდგომარეობაშია, პასუხს აგებს საბჭოთა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების წინაშე ინკრიმინირებული ქმედობისათვის.<sup>4</sup> ამის დამადასტურებელია, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს წინასწარი პატიმრობის ჩათვლას, თუმცა არ

<sup>1</sup> Я. М. Браинин. Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве. «Юридическая литература». 1963 г., стр. 27. Б. А. Галкин. Советский уголовно-процессуальный закон. «Юридическая литература». 1963 г., стр. 13.

<sup>2</sup> Н. И. Загородников. О пределах уголовной ответственности. «Советское государство и право». 1967 г., стр. 44. Р. Д. Рахунов. Участники уголовно-процессуальной деятельности по советскому праву. «Юридическая литература». 1960 г., стр. 61—62. В. Г. Смирнов. Правоотношения в уголовном праве. «Правоведение». 1961 г., № 3, стр. 96.

<sup>3</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. Курс советского уголовного права. Том. III. Издательство «Наука». 1970 г., стр. 7; М. С. Строгович. Курс советского уголовного процесса. Том. I. Издательство «Наука». 1968 г., стр. 89; Ф. Н. Фаттуллин. Обвинение и судебный приговор. Издательство Казанского университета. 1961 г., стр. 23.

<sup>4</sup> აქ და შემდეგ მხედველობაშია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული ტექსტში.

შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა „პროცესუალურად ფორმდება ბრალდების წარდგენის აქტით“.<sup>5</sup> ეს შეხედულება ეწინააღმდეგება კანონს, რამდენადაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად პირი ბრალდებულად მას შემდეგ ითვლება, რაც გამოძიებელი გამოიტანს მოტივირებულ დადგენილებას მისი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დაუშვებლობას თუ არა კანონით დადგენილ საფუძვლით და წესით. რაც შეეხება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თვით საფუძვლის ცნებას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ხსნის მის არსს და შინაარსს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ, თუ მოიპოვება საკმაო დამამტკიცებელი საბუთები, რაც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის, გამოძიებელს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ეს საკითხი საგამომძიებლო ორგანოების პრაქტიკაში ყოველთვის სწორად არ წყდება, რასაც თვალნათლივ ადასტურებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ სასამართლოებში მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობიდან გამართლებულ იქნა 1,2--1,7 პროცენტი.

ამ საკითხზე არ არის ერთიანი აზრი იურიდიულ ლიტერატურაშიც. ერთნი ფიქრობენ, რომ „უფრო კონკრეტულად, ვიდრე ეს გაკეთებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოცემულ ნორმაში, კანონმდებელს არ შეუძლია დაახასიათოს ბრალდების წარდგენისათვის საკმარისი მონაცემები“;<sup>6</sup> მეორენი კი ფიქრობენ, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის საფუძველი გავებული უნდა იქნეს ორი აზრით: 1) სისხლის სამართლებრივი აზრით, რაშიც გულისხმობენ დანაშაულის შემადგენლობას; და 2) პროცესუალური აზრით, სადაც მხედველობაშია მიღებული მტკიცებულებათა გარკვეული ერთობლიობა; და ბოლოს, მესამეთა ფიქრით, მოქმედი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონების არსიდან გამომდინარე მტკიცებულებათა ერთობლიობა ერთიანია ყველა დანაშაულისათვის და კანონის შესაბამის მუხლში შეიძლება უფრო ზუსტად იქნეს განმარტებული, ვიდრე ამჟამად“.<sup>7</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა უფრო მეტი სხვადასხვაობა სუფევს ამ მტკიცებულებათა მოცულობის საკითხზე, რომლებიც აუცილებელია ბრალდების წარდგენისას მათი საკმარისად ცნობისათვის. ამასთან, ამ შეხედულებათა აზრი განსაკუთრებით გასაგები ხდება, როდესაც მათი მომხრეები ლაპარაკობენ იმ დამამტკიცებელი საბუთებით შექმნილ შინაგან რწმენაზე, რომლებიც, საფუძვლად ედება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას. მაგალითად, ჯერ კიდევ ახალი კანონმდებლობის მიღებამდე და მას შემდეგაც ბევრი პრო-

<sup>5</sup> Н. С. Лейкина. Личность преступника и уголовная ответственность. Издательство Ленинградского университета. 1968 г., стр. 32.

<sup>6</sup> В. М. Савицкий. Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием. «Юридическая литература». 1959 г., стр. 189; Л. М. Карнеева. Привлечение в качестве обвиняемого. Госюриздат. 1962 г., стр. 5; Н. В. Жоин и Ф. Н. Фаткуллин. Предварительное следствие. «Юридическая литература». 1965 г., стр. 184.

<sup>7</sup> Н. Я. Блоков. Привлечение в качестве обвиняемого и диспос обвиняемого при расследовании преступных нарушений правил охраны труда и техники безопасности. «Вестник МГУ» 1967 г., № 6, стр. 33.

ცესუალისტი ამტკიცებს, რომ ბრალდების წარდგენისას საქმარისია ვივარაუდოთ ბრალდებულის ბრალეულობა,<sup>8</sup> გვქონდეს სააღბათო,<sup>9</sup> სრულად სააღბათო,<sup>10</sup> დასაბუთებულად სააღბათო,<sup>11</sup> უმადლესი ხარისხით სააღბათო<sup>12</sup> ან მაქსიმალურად სააღბათო<sup>13</sup> შინაგანი რწმენა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ. მაგრამ არცერთ მათგანს არ შეიძლება დავეთანხმოთ, რამდენადაც საკითხის ასეთი გადაწყვეტა პრაქტიკაში მიგვიყვანს დაუსაბუთებლად მოქალაქეთა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე,<sup>14</sup> რადგან აღბათობა, რა ხარისხითაც არ უნდა იყოს იგი გამოსახული, ყოველთვის ვარაუდია, რომელიც იძლევა (თუმცა შეიძლება ნაკლები ხარისხით) საწინააღმდეგო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. დანაშაულის გამოძიება კი არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ჭეშმარიტების არცოდნიდან ან არასაკმარისი ცოდნიდან ნამდვილად ცოდნამდე.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველია ის მონაცემები, რომლებიც მოწმობენ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობას (სსსკ 108-ე მუხლი) და იმ გარემოებების არარსებობას, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას (სსსკ მე-5 მუხლი) და რომელთა უტყუარობა პროცესის ამ სტადიაზე საგამომძიებლო მოქმედებათა საშუალებით არ მოწმდება (სსსკ 110-ე მუხლი). ამიტომ ეს საფუძველები ქმნიან მხოლოდ განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის არსებობის აღბათობის დასაბუთებულ ვარაუდს. აღბათობა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება წინასწარი გამოძიების სტადიაშიც, მაგრამ არა როგორც ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის საფუძველი და მითუმეტეს საბრალდებო დასკვნის შედგენისათვის. იგი მხოლოდ მიუთითებს საით უნდა წარიმართოს საქმის შემდგომი გამოძიება, რის შედეგადაც შეიძლება დადგინდეს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ ნავარაუდევ ხდომილებას. გამოძიების მიზანი სწორედ ის არის, რომ სააღბათო ცოდნიდან გადავიდეთ ნამდვილ ცოდნაზე. ამ აღბათობიდან საბოლოო და ნამდვილი ჭეშმარიტების შემეცნების გზაზე, მტკიცების პროცესის ერთ-ერთ საფეხურზე, მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმების და შეფასებრ) გზით გამოძიებელი ადგენს მათს გარკვეულ ერთობლიობას, რასთან დაკავშირებითაც წამოიჭრება

<sup>8</sup> М. С. Строгович. Учение о материальной истине в уголовном процессе. Издательство АН СССР. 1947 г., стр. 236; Г. М. Миньковский. Окончание предварительного расследования и право обвиняемого на защиту. Госюриздат. 1957 г., стр. 20.

<sup>9</sup> В. А. Стремовский. Предварительное расследование. Госюриздат. 1958 г., стр. 116.

<sup>10</sup> М. А. Чельцов. Советский уголовный процесс. Госюриздат. 1962 г., стр. 274.

<sup>11</sup> А. А. Пионтковский. К вопросу о теоретических основах советской криминалистики. «Советская криминалистика на службе следствия». Выпуск VI. 1955 г., стр. 17; З. М. Онищук. Следователь в советском уголовном процессе. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук. Харьков. 1964 г., стр. 14.

<sup>12</sup> об. Л. М. Корнеева. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук на тему: «Привлечение к уголовной ответственности по советскому праву», М., 1970 г., стр. 33.

<sup>13</sup> об. Л. Г. Крупаткин. Оценка доказательств в стадии предварительного расследования в советском уголовном процессе. Ученые записки ХЮИ. Выпуск 9. 1957 г., стр. 7; Н. Н. Полянский. К вопросу о презумпции невинности в советском уголовном процессе. «Советское государство и право». 1949 г., № 9, стр. 60.

<sup>14</sup> ზოგჯერ ამგვარად წყდებოდა ეს საკითხი წინათ. სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების წარმოების დროებითი წესების 36-ე მუხლში მაგალითად ნათქვამი იყო, რომ იმ ვარაუდის საკმარისი საფუძველების არსებობისას, რომ გამოსაძიებელი დანაშაული ჩადენილია ეჭვმიტანილი პირის მიერ გამოძიების მწარმოებელი ადგენს დადგენილებას მის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

საკითხი ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემისათვის დამამტკიცებელი საბუთების საკმარისობის შესახებ.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში გამოთქმულია სხვა, საწინააღმდეგო თვალსაზრისიც. მაგალითად, ი. ლ. ივანოვი წერს, რომ „გამომჩიებელს უნდა ჰქონდეს ისეთი სრული მონაცემები, რომელიც მისცემდა ბრალდებულების სახით პასუხისმგებაში მიცემის საფუძვლის არსებობის შესახებ ნამდვილი და არა სააღბათო დასკვნის საფუძველს“, <sup>15</sup> ხოლო მ. ლ. იაკუბი იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის მომენტში „მართებულია ანალოგიის გატარება გამომჩიებლის რწმენასა და პროკურორის რწმენას შორის.“ <sup>16</sup> მაგრამ საკითხის ამდგავარ გადაწყვეტას არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ აიგივებს ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის და საბრალდებო დასკვნის შედგენის საფუძვლებს. როგორც სწორად აღნიშნა ა. მ. ლარინმა, „ასეთი მოსაზრება აზრს უკარგავს ბრალდების წარდგენას, ბრალდებულის დაკითხვას და მის მოსაზრებათა შემოწმებას, საქმის გარემოებების გამოკვლევაში ბრალდებულის აქტიურ მონაწილეობას, როგორც ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის საშუალებას და დაცვის უფლების გარანტირებას.“ <sup>17</sup>

ბუნებრივია, ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის საფუძვლის ცნების განმარტებისათვის ორი ზემოთ მოყვანილი მოსაზრებიდან, რომლებშიც ორი უკიდურესობაა მოცემული საკითხის გადაწყვეტისას, არცერთის გამოყენება არ შეიძლება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე და მე-60 მუხლების შესაბამისად მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ბევრი გარემოება უნდა დამტკიცდეს, მაგრამ ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემისას უნდა დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობა. სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. ამასთან ამ გარემოებების არსის შესახებ გამოძიების ან მტკიცების სხვა სუბიექტების დასკვნები უნდა მოწმობდეს მათ სააღბათო მნიშვნელობას, რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის თანახმად არცერთი უდანაშაულო არ უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებაში. ეს დასკვნები არ შეიძლება მოწმობდეს გარემოებების ნამდვილ დადგენასაც, რადგან ჭეშმარიტებას არა აქვს ხარისხები, იგი ყოველთვის მოწმობს საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ ანუ ამომწურავ დადგენას, მაშინ როდესაც ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამოძიება გრძელდება, მათ შორის იმ გარემოებების ნაწილში, რომლებიც ადასტურებს დანაშაულის შემადგენლობის არსებობას. შემეცნების ასეთი ხარისხი უნდა დადგინდეს გამოძიების დამთავრების მომენტისათვის, ხოლო ბრალდების წარდგენისას, მას ადგილი აქვს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში. ეს გათვალისწინებულია სისხლის

<sup>15</sup> Ю. Л. Иванов. Воспитательное воздействие советского предварительного следствия. Издательство МГУ. 1967 г., стр. 38; В. А. Претузова. Заключение эксперта как доказательство в советском уголовном процессе. Госюриздат. 1959 г., стр. 29.

<sup>16</sup> «Вестник МГУ». 1961 г., № 2, стр. 75.

<sup>17</sup> А. М. Ларин. Проблемы расследования в советском уголовном процессе. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. М., 1970 г., стр. 24.

სამართლის საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლში. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში რიგი გარემოებანი შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ „რამდენადაც ეს ცნობილია გამოძიებისათვის“. გამოძიების ამ ნაწილში ალბათობის და ნამდვილობის კატეგორიები არ უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის ყველა შემთხვევაში ეს არ გამოორიცხავს საქმის იმ დადგენილი გარემოებების სისწორეში რწმენის აუცილებლობას, რომლებიც მითითებულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში, რასაც აშკარად მოწმობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის საფუძველს წარმოადგენს დამამტკიცებელ საბუთთა ისეთი ერთობლიობა, რომელიც გამოძიებელს საფუძვლიანად არწმუნებს განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის არსებობაში.

ამრიგად, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის საფუძველი შეიძლება შეცნობილ იქნეს მოქმედი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე ამ საკითხის მთლიანად გამოკვლევის შედეგად. იგი უნდა მოწმობდეს დანაშაულის შემადგენლობის არსებობას და უნდა დადგინდეს მტკიცებულებათა იმ განსაზღვრული ერთობლიობით, რომლებიც საფუძვლიანად არწმუნებენ მტკიცების სუბიექტებს მათი დასკვნების სისწორეში. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რეალიზაციის პირველ საფეხურად მიჩნევაში, ვლინდება, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის ინსტიტუტების ურთიერთკავშირი.

ლიტერატურაში ხშირად ხდება დავის საგანი გამოძიების მიერ პირის ბრალეულობის დადგენის საკითხი. ამასთან, ასეთი შესაძლებლობის უარყოფისას ხშირად მიუთითებენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს, რომ არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაულებად დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ ეს გადაწყვეტილი არ არის სასამართლოს განაჩენით.<sup>18</sup>

ჩვენის აზრით, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის საფუძველი მოიცავს პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტასაც, რომელიც თუმცა წინასწარია, მაგრამ ამ პირობითაც დაფუძნებული უნდა იყოს საქმის ობიექტურ მონაცემებზე და არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ პირის (ორგანოს) მხოლოდ სუბიექტური მოსაზრება.<sup>19</sup> ასეთი დასკვნის მართებულობას მოწმობს მაგალითად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 და 59-ე მუხლები. ამასვე მოწმობს სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ დებულების მე-17 მუხლიც. ამიტომ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ჭეშმარიტება მართო სასამართლოში კი არ დგინდება, არამედ წინასწარ გამოძიებაშიც. მაგრამ საქმეზე საბრალდებო დასკვნა არ არის სახელმწიფოს სახელით პირის დანაშაულებად ცნობის აქტი.<sup>20</sup> მით უმეტეს, ასეთი აქტი არ შეიძლება იყოს დადგე-

<sup>18</sup> Р. Д. Рахунов. Предъявление обвинения и допрос обвиняемого. «Социалистическая законность». 1963 г., № 4, стр. 41.

<sup>19</sup> И. И. Малхазов. Важная гарантия социалистического правосудия. Ростов-на-Дону. 1961 г., стр. 22.

<sup>20</sup> И. Д. Перлов. «Зачем корить зеркала». «Известия» № 37 от 14 февраля 1965 г.; П. М. Давыдов. Основание привлечения лица в качестве обвиняемого. Сборник научных трудов Свердловского юридического института. Выпуск 8. 1968 г., стр. 208 — 210.

ნიღება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, თუმცა მასშიც გამომძიებელი გამოსთქვამს თავის რწმენას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც სასამართლო განხილვის დროს დადგინდება გარემოებანი, რომ დანაშაული ჩადენილია პირის მიერ, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ არის, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.<sup>21</sup> ამასთან დაკავშირებით დგება გამომძიებლისათვის ამ განმარტების სავალდებულობის საკითხი. უ. ოჩილოვი მაგალითად, ფიქრობს, რომ, „თავისი იურიდიული მნიშვნელობით სასამართლოს განჩინებას... აქვს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების ძალა... მას სავალდებულო ძალა აქვს პროკურატურის ორგანოებისათვის, გამომძიებლის და მოკვლევისათვის.“<sup>22</sup>


ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან იგი ეწინააღმდეგება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესს. ჩვენი აზრით ასეთ შემთხვევებში გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს სასამართლოს მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლი მას ავალდებულებს შეაფასოს მტკიცებულებანი თავისი შინაგანი რწმენით, ხოლო ეს მოწმობს იმას, რომ შემდგომში მას შეუძლია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ისე, რომ არ გამოიტანოს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს სხვა პირი, შეეცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია და ა. შ.<sup>23</sup>

საგამომძიებლო პრაქტიკაში ყოველთვის ერთნაირად არ წყდება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტის საკითხიც. ზოგიერთი გამომძიებელი ამას თვლის ერთერთ უკანასკნელ საგამომძიებლო მოქმედებად, მანამდე კი უმჯობესად მიიჩნევს დაკითხოს პირი მოწმის ან ეჭვმიტანილის სახით (ზოგჯერ სსსკ 121-ე ნუხლით გათვალისწინებული წესის საწინააღმდეგოდ მისი დაკავების გარეშე). სხვები, როგორც ჩანს იმის რიდით, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი დაემალება გამომძიებას და სასამართლოს, აპატიმრებენ მას ან მის გარეშე საჩქაროდ წარუდგენენ ბრალდებას, ე. ი. არსებითად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში აძლევენ პირს, რომელიც მხოლოდ ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ყველაფერ ამას მიგყევართ სოციალისტური კანონიერების დარღვევებამდე.

<sup>21</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლი სასამართლოს აძლევს იმის უფლებასაც შეუთრჩოს აღკვეთის ღონისძიება იმ პირს, რომლის მიმართაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ რომელსაც ბრალდება არ წარდგენია, რაც ჩვენის აზრით განსაზღვრული უნდა იყოს გარკვეული ვადით, ამასთან ერთად გადაწყდეს საკითხი ამ პირის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც როგორც ჩანს მიჩნეული უნდა იქნეს ეჭვმიტანილად.

<sup>22</sup> У. Очиллов. Привлечение в качестве обвиняемого в уголовно-процессуальном праве Узбекской ССР. Автореферат кандидатской диссертации. Ташкент. 1963 г., стр. 14 — 15.

<sup>23</sup> Н. В. Жогин. Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел. «Юридическая литература». 1968 г., стр. 138.



აზრთა ერთიანობა არ არის ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაშიც.<sup>24</sup>

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების უმრავლესობა, მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ მოიპოვება საკმაო დამამტკიცებელი საბუთები, რაც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის, გამომძიებელს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება ამ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. შესაბამისად ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოტანის მოქმედი, როგორც წესი, განისაზღვრება ამისათვის საკმარისი საფუძველების არსებობით.<sup>25</sup> მაგრამ ამასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდების წაყენებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში, ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევის მხედველობაში მიუღებლად. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაძლებლობას აძლევს გამომძიებელს იხელმძღვანელოს ტაქტიკური მოსაზრებებითაც, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და არა უმეტეს ორი დღელამისა.<sup>26</sup>

ვფიქრობთ, ამ საკითხების მართებულად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, პიროვნების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

<sup>24</sup> ურთიერთ გამომრიცხავი თვალსაზრისი ამ საკითხზე იხ.: Комментарий УПК Молдавской ССР. Издательство «Карта Молдаванескэ» Кишинев. 1966 г., стр. 131; Н. А. Акинча. Привлечение к уголовной ответственности и охрана прав обвиняемого в советском уголовном процессе. Сборник «Развитие прав граждан на современном этапе коммунистического строительства». Саратов, 1962 г., стр. 326.

<sup>25</sup> ესტონეთის სსრ სსსკ 121 მუხლი და უზბეკეთის სსრ სსკ 122 მუხლი ითვალისწინებენ გამომძიებლის მოვალეობას საკმარისი დამამტკიცებელი საბუთების არსებობისას „დაუყოვნებლივ“ გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

<sup>26</sup> დაახლოებით ასეა ეს საკითხი გადაწყვეტილი ნ. ვ. ჟოგინის მონოგრაფიაში

Прокурорский надзор за предварительным расследованием уголовных дел. «Юридическая литература» 1968 г., стр. 136)

(მაგრამ ამ თვალსაზრისიდან განსხვავებით იგი შესაძლებლად თვლის ტაქტიკური მოსაზრებებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის და არა ბრალდების წაყენების გადაღებას, ამასთან არ ასახელებს ზღვრულ ვადას.)

## კრიზისის დროს და ინფორმაციის თეორია

მ. შანტაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამგე

მეცნიერებისა და ტექნიკის მძაფრი წინსვლის ეპოქაში სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მეცნიერების განვითარების აუცილებელ პირობად იქცა. დღესდღეობით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართვის სისტემებს. მართვა ადამიანის პრაქტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მხარეა.

ცხადია, ასეთ პირობებში არ შეიძლება არ განვითარდეს აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებები, რომლებმაც ინფორმაციის დიდი ნაკადის გადაცემა უნდა უზრუნველყოს. ტელეფონის, ტელეგრაფისა და რადიოს გამოჩენამ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კაცობრიობის საჭიროება ამ დარგში. არანაკლებ სერიოზულ ამოცანად იქცა კავშირგაბმულობის ისეთი არხების კონსტრუირება, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მყარ გადაცემას არასაიმედო ელემენტების დახმარებით.

ეს პრობლემა უნდა გადაეჭრა იმ მეცნიერებას, რომელიც რ. შანტაძემ და კ. შენონმა შექმნეს და რომელსაც ინფორმაციის თეორია ეწოდება.

ამ მეცნიერების შესწავლის ობიექტებია: კავშირგაბმულობის არხში მიმდინარე მოვლენები, ინფორმაციის დამოკიდებულება ალბათობასთან, ტექსტის კოდირებისა და გაშიფრვის მეთოდები, ურთიერთობა ენის ან კოდის სიმბოლოებს შორის, შეტყობინების დაბრკოლებაგამძლეობა, სიჭარბე და ა. შ.

ინფორმაციის თეორიამ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ერთობ დიდი სამსახური გაუწია. იგი ქმედით იარაღად გადაიქცა, რომელსაც ადამიანი აქტიურად იყენებს თავის საინფორმაციო-ლოგიკურ საქმიანობაში, ხოლო ეს უკანასკნელი კი სულ უფრო კოლექტიური მოქმედების ხასიათს იღებს.

კავშირგაბმულობის თანამედროვე არხები ისევე საჭიროა კაცობრიობის კოლექტიური აზროვნების სწორი ფუნქციონირებისათვის, როგორც ნერვული ქსოვილი, რომელიც ტვინს შეგვრძნებებს აწვდის ინდივიდუალური აზროვნებისათვის.

შეტყობინების სწორი გადაცემის პრობლემების გადაწყვეტისას ინფორმაციის თეორიამ გამოიმუშავა ისეთი დებულებები, შექმნა ისეთი ცნებები, რომლებითაც სხვა მეცნიერებებიც დაინტერესდნენ.

ინფორმაციის თეორიისადმი გადაჭარბებულმა ყურადღებამ სავსებით საფუძვლიანად შეაშფოთა მისი შემქმნელები. კ. შენონი თავის სტატიაში — „ბანდვაგონი“ — წერდა: „ინფორმაციის თეორიის იდეებს იყენებენ სხვადასხვა სპეციალობის მოძღვრებანი... თავიანთი კერძო ამოცანების გადაწყვეტისას. ასე, მაგალითად, ინფორმაციის თეორიამ გამოყენება პოვა ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, თეორიულ ფიზიკაში, ეკონომიკაში, წარ-



მოების ორგანიზაციის თეორიაში და მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალსახე ღარგში. ერთი სიტყვით, ინფორმაციის თეორია, როგორც მდღერი მათრობელა სასმელი, ამჟამად ყველას თავბრუს ახვევს“. იგი სიფრთხილისაკენ მოუწოდებს ინფორმაციის თეორიით ზედმეტად გატაცების მომხრეთ და განაგრძობს: „ბუნების რამდენიმე საიდუმლოების ერთდროულად გახსნა ერთი და იმავე გასაღებით ძალიან იშვიათად ხდებაო“<sup>1</sup>. „რამდენიმე მაგიური სიტყვის საშუალებით, როგორცაა ინფორმაცია, ენტროპია, სიჭარბე..., შეუძლებელია ყველა გადაუჭრელი პრობლემის გადაჭრა“.

საყოველთაო ინტერესი ინფორმაციის თეორიისადმი შემთხვევითი არ არის. მისი მიმზიდველობა ძირითადად ინფორმაციის რაოდენობის გაანგარიშების მეთოდებში მდგომარეობს. ინფორმაციის თეორიის დებულებათა გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოსაყენებელია ეს მეთოდები სხვა მეცნიერებებში. სელექტური (გამორჩევითი) ასპექტის ფარგლებში ინფორმაცია განიხილება როგორც გარკვეული სიმბოლოებისა და შეტყობინების არჩევანი გადამცემზე არსებული სიმბოლოებისა და შეტყობინებების სიმრავლიდან, რაც უფრო დიდია ამ სიმრავლეთა ზომა, მით უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს არჩეული სიმბოლო თუ შეტყობინება.

კრიმინალისტიკაში ინფორმაციული შეტყობინება აგრეთვე სელექტურია. მართლაცდა ექსპერტ-კრიმინალისტთან შემოსული ინფორმაცია თავს იჩენს ამა თუ იმ საიდენტიფიკაციო ნიშნის არჩევისას (გამოჩენისას), რომელსაც გამოჩენის თავისი სისწორე აქვს. იგივე შეიძლება ითქვას დამნაშავეს ან დანაშაულის ნიშნების შესახებ, რომლებიც საძიებო-საინფორმაციო სისტემის მუშაობაში გამოიყენება ხოლმე.

ამ თვალსაზრისით კრიმინალისტიკას, ისე როგორც არცერთ სხვა მეცნიერებას, შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდევ ინფორმაციის თეორიის დებულებები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც შეტყობინების საიმედო მიღებას ემსახურება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინფორმაციის თეორიის უდიდესი დამსახურებაა ინფორმაციის რაოდენობრივი ზომის დადგენა, რის შედეგადაც ამ მეცნიერების ძირითადი ცნება — „ინფორმაცია“ ისეთ ოდენობად იქცა, რომელიც შეიძლება გაიზომოს.

„ინფორმაციის ოდენობის ერთეულად (ბიტ) მიღებულია ოდენობა, რომელიც გადაიცემა ტოლი ალბათობის მქონე ორ ალტერნატივას შორის ერთის შერჩევის დროს“<sup>2</sup>.

მართალია, არავითარი პრაქტიკული აზრი არა აქვს ცდას ბიტებში გაიზომოს მეცნიერულ აღმოჩენათა ღირებულება, მაგრამ ისეთი გაზომვა, რომელიც საექსპერტო გამოკვლევებში ტარდება საიდენტიფიკაციო ნიშნების ღირებულებათა შესადარებლად, სავსებით დასაბუთებული და კანონზომიერია.

ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კრიმინალისტიკა მიეკუთვნება ცოდნის იმ დარგს, სადაც უნდა გადაილახოს ინფორმაციის სელექტურ, სემანტიკურ (აზრობრივ) და პრაგმატიკულ (ღირებულებით) ასპექტებს შორის არსებული წინააღმდეგობა.

<sup>1</sup> К. Шеннон. Работы по теории информации и кибернетике. Изд. ИЛ, М., 1963, стр. 667.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 668.

<sup>3</sup> Н. Винер. Кибернетика. Изд. Советское радио. М., 1969, стр. 55.

კრიმინალისტიკას და ინფორმაციის თეორიას ერთმანეთს აახლოებს, ერთი მხრით, ინფორმაციული პროცესებისადმი ალბათობით — სტატისტიკური მიდგომა, მეორე მხრივ კი, ინფორმაციის გარდაუვალი დაკარგვის მოვლენა, რაც კავშირგაბმულობის ელექტრულ არხს და დანაშაულის ხდომილებისა და გამოძიების კავშირის არხს ახასიათებთ. ეს მომენტები იმაზე მიუთითებს, რომ ფართო ანალოგიების გატარება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის რაოდენობრივ მაჩვენებლებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მათი გამოყენების გზით ვიღებთ ინფორმაციის თვისობრივ და ფასეულ მახასიათებლებს.

სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ამავე პოზიციებიდან განვიხილოთ მტკიცებათა ფასეულობა, რადგან, როგორც ა. ა. ეისმანი წერს, არ არსებობს არავითარი „მტკიცებულებითი სტატისტიკა“ და ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებათა შეფასებას ალბათობის თეორიის სტატისტიკური აპარატით ვერ მივუდგებით. „სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების მათემატიკური მეთოდების გამოყენება შეუძლებელი და მიზანშეუწონელია, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად და უახლოეს მომავალშიც“<sup>4</sup>.

რაოდენობრივი მაჩვენებლების — ხელწერის, თითის ანაბეჭდების თავისებურებათა და ა. შ. საიდენტიფიკაციო მნიშვნელობა უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს ნიშნების შეფასებისას საექსპერტო გამოკვლევების დროს საიდენტიფიკაციო ამოცანების გადაჭრის შემთხვევაში. ეს ძალიან კარგად დასაბუთა ა. ი. ფალიაშვილი<sup>5</sup>.

ინფორმაციის ღირებულების, როგორც ალბათობათა ფუნქციის, განხილვისას მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ ის, რომ საქმე ეხება მხოლოდ მკაფიოდ შემოფარგლულ სიმრავლეთა ფარგლებში მყოფ ცნობებს, ხოლო ეს სიმრავლე კი შეიძლება იყოს მონაცემთა ერთობლიობა დამნაშავეზე და დანაშაულზე, მრავალი საიდენტიფიკაციო ნიშანი. ვასაგებია, რომ სიმრავლის ცნების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის გადაცემის პროცესების სწორი გაგებისათვის. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთეულის კავშირს სიმრავლესთან, რომლიდანაც ეს ერთეულია გამორჩეული. სიმრავლე მართავს ერთეული შეტყობინების მნიშვნელობას და ამიტომ გადაცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამ უკანასკნელის შინაგან თვისებას, მისი შეფასებისათვის კი საჭიროა მოცემულობათა მთელი იმ კომპლექსის ცოდნა, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს კავშირგაბმულობის არხებით. ამგვარად, თუ ჩვენ შეტყობინება გვაქვს, მაგრამ არ ვიცით სიმრავლე, რომლიდანაც ის არის გამორჩეული, შეტყობინება მოკლებულია აზრს<sup>6</sup>.

ეს გარემოება გულისხმობს მთელი რიგი ფაქტების შესწავლას იმ მიზნით, რომ დადგინდეს ცალკეული ფაქტის ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კრიმინალისტიკისათვის, რადგანაც კრიმინალისტიკა, სპეციფიკურ თავისებურებათა გამო, რომლითაც ის სხვა მეც-

<sup>4</sup> А. А. Эйсман. Сб. Вопросы кибернетики и право. Изд. Наука М., 1967, гз. 176.

<sup>5</sup> А. Я. Палиашвили. К вопросу о статистическом методе определения идентификационной ценности деталей папилярных узоров в дактилоскопической экспертизе. Сб. Вопросы криминалистики ЮЛ, М., 1963, гз. 201.

<sup>6</sup> У. Росс Эшби. Введение в кибернетику. ИЛ. М., 1959, гз. 177.

ნიერებებისაგან განსხვავდება, ვალდებულია ესა თუ ის ამოსავალი მრავალი შესაძლებელი ამოსავლიდან ამოირჩიოს.

ინფორმაციის თეორია სწავლობს დაბრკოლებებთან ბრძოლის მეთოდებს, სიგნალებს შორის არსებულ კორელაციურ კავშირს, შეტყობინებათა და ხმაურის გაურკვევლობას, ინფორმაციული სიგნალების ბუნებას და სხვა საკითხებს. რამდენადაც ამ თეორიაში განიხილება ინფორმაციის მოძრაობა კავშირგაბმულობის არხში, მისი ვადასვლა შეტყობინების ერთი სახიდან მეორეში და მისი გარდაქმნა, ამიტომ ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით „რეალური სამყაროს შესწავლა წარმოადგენს გარდამქმნელთა შესწავლას“<sup>7</sup>.

ინფორმაციის გარდაქმნა ან მკაცრად განსაზღვრულია, ან ალბათობის კანონებს ემორჩილება. შემთხვევათა ერთ რიგში გამოსავალი სიგნალების მნიშვნელობა შეიძლება წინასწარ და ძალიან ზუსტად იქნეს განსაზღვრული, სხვა შემთხვევაში — მხოლოდ მიახლოებით. ამგვარად, ნებისმიერი გარდამქმნელი, მათ შორის ადამიანის გონებაც, გამოსავალი სიგნალების ჯამს თავს ახვევს ან ფიქსირებული შეზღუდვების სისტემას ან ალბათობითი შეზღუდვების სისტემას.

ფიქსირებულ შეზღუდვებად შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკის, ქიმიის, სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა კანონი, რომლებიც ერთნაირად იჩენს თავს ცდის ნებისმიერი რაოდენობით გამეორებისას.

მაგრამ, ამასთან ერთად, ზოგ ბიოლოგიურ ცლაში შეუძლებელია შედეგის ცალსახა წინასწარმეტყველება, რადგან არ არის ცნობილი ყველა ის პირობა, რომელშიც ესა თუ ის მოვლენა მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენ ალბათობით შეზღუდვებზე ვლაპარაკობთ.

ადამიანის მოქმედებას წარმართავს მისთვის დამახასიათებელი ალბათობითი შეზღუდვები, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლება გარე ზემოქმედებისა და შინაგანი ფაქტორების გავლენით. ადამიანი ყველაზე რთული გარდამქმნელია და მისი მოქმედების კანონზომიერებანი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს კრიმინალისტიკისათვის.

სხვადასხვა მეცნიერებების მიერ კიბერნეტიკისა და ინფორმაციის თეორიის გამოყენებას საფუძვლად უდევს ანალოგიის მეთოდი: „სხვადასხვა ბიოლოგიური ნერვული ფუნქციების განხილვისას კიბერნეტიკა ეყრდნობა ფართო ანალოგიას მათემატიკურ მანქანასა და ცოცხალ ორგანიზმს შორის“<sup>8</sup>.

ფართო ანალოგიის გატარება შეიძლება კრიმინალისტიკაში და კავშირგაბმულობის ელექტრულ არხებში ინფორმაციულ შეტყობინებებს შორის, კავშირგაბმულობის ელექტრულ არხებსა და გნოსეოლოგიურ არხს შორის, რომელიც გამოძიებას დანაშაულის ხდომილებასთან აკავშირებს. ამიტომ შესასწავლია მონაცემების გადაცემის გასაუმჯობესებლად გამოყენებული ზოგიერთი მეთოდი და აგრეთვე მათი გამოყენების კანონზომიერება დანაშაულის გამოძიებაში ჩვენი მოქმედების წესების დამუშავებისას. ზოგი ეს მეთოდო შეიძლება გამოიყენოს კრიმინალისტიკამ. ეს იმით აიხსნება, რომ კრიმინალისტიკა დანაშაულის ხდომილების უშუალო მხილველი კი არ არის, არამედ აღადგენს ხოლმე მას. ამასთან დაკავშირებით შემეცნების პროცესი კრიმინალისტიკაში მთლიანად დამოკიდებულია შეტყობინების გადაცემის დროს ინფორ-

<sup>7</sup> С. Гольдман. Теория информации. ИЛ, М., 1957, гл. 359.

<sup>8</sup> И. Земан. Познание и информация. Изд. Прогресс, М., 1966, гл. 40.

მაციული სიგნალების დამახინჯების ხარისხზე. ეს კი იმას მოწმობს, რომ კავშირგაბმულობის არხების სანდოობისა და დაბრკოლებაგამძლეობის პრობლემას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

ინფორმაციის თეორიის სპეციალური თეორემების გარდა, რომლებიც ამ საკითხს წყვეტენ, დიდ ინტერესს იწვევენ ამ მეცნიერების სხვა ასპექტებიც. სუბიექტის აქტიური როლი ინფორმაციის მიღების პროცესში, ჩაკეტილი, არაცოცხალი სისტემების, რომლებშიც იზრდება განუსაზღვრელობა და იკლებს მოწესრიგებულობა გარდაქმნა ღია, ცოცხალ სისტემებად, რომლებშიც განუსაზღვრელობა იკლებს — ეს საკითხები არ შეიძლება არ აინტერესებდეს კრიმინალისტიკას.

შენონისეული ინფორმაციის თეორია საგანგებოდ არ შეისწავლის ინფორმაციულ შეტყობინებათა სემანტიკურ (აზრობრივ) მხარეს, რადგანაც მას აინტერესებს იმ სიგნალების ზუსტი მიღების საიმედოობა, რომლებიც კავშირგაბმულობის არხის შესასვლელში გადაიყვანა. ამასთან იგულისხმება, რომ გამოსასვლელში სიგნალების სწორი მიღება უზრუნველყოფს მთელი შეტყობინების საერთოდ სწორ მიღებას მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლად. საიმედო არხებისა და შეტყობინების საკმარისი სიჭარბის დროს ჩვენ მივიღებთ სარწმუნო ინფორმაციას დანაშაულის ხდომილების შესახებ.

კავშირგაბმულობის ელექტრულ არხებში მხოლოდ ინფორმაციის დაკარგვას აქვს ადგილი. ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით კრიმინალისტიკაშიც, რადგან მეცნიერულ ძიებას აქ ხელს უშლიან ცნობილი გარემოებანი, რომლებიც დანაშაულის გამოძიების პროცესში ჩნდება. ამასთან დაკავშირებით კრიმინალისტიკამ უნდა გამოიმუშაოს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ისეთი საიმედო მეთოდები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანენ ინფორმაციის დაკარგვას ან დამახინჯებას. მეცნიერი-კრიმინალისტიკების შრომები ამ დარგში ძვირფას რეკომენდაციებს გვაძლევენ. საგამომძიებლო მოქმედების მეთოდების განხილვა, აგრეთვე მტკიცებების შეფასება ინფორმაციის თეორიის პოზიციებიდან სახავენ ახალი მიდგომის შესაძლებლობას კრიმინალისტიკის მრავალი საკითხისადმი.

ინფორმაციის თეორია საშუალებას იძლევა დადგინდეს ნიშნების საინფორმაციო მნიშვნელობა, გამოსახულებათა მსგავსების ზომა და მათი სარგებლიანობის კრიტერიუმები.

ადამიანთა ურთიერთობის უნივერსალური საშუალება — მსოფლიოს ენები ინფორმაციის თეორიის მიერ განიხილება როგორც კოდირების სხვადასხვა სისტემა და ამ საფუძველზე განისაზღვრება სიჭარბისა და დაბრკოლებაგამძლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომლებიც, ჩვენი აზრით, წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მტკიცებათა საკმარისობის ფორმალიზაციის ამოცანის გადაჭრისათვის.

კრიმინალისტიკასა და ინფორმაციის თეორიაში საერთო მიზნებისა და მათი მიღწევის საერთო მეთოდების არსებობა აახლოვებს ამ მეცნიერებებს, შესაძლებელს ხდის დანაშაულის გამოძიების მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების დამუშავების დროს ინფორმაციის თეორიის დებულებათა ფართო გამოყენებას.



# საბჭოთა საქართველოს პირველი ნორმატიული აქტების განიხილვა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებისათვის

ლ. სურგულაძე

რევოლუციის პირველ ეტაპზე სოციალისტური სისხლის სამართლის ნორმები საქართველოში ერთბაშად არ შეიძლება ყოფილიყო სისტემატიზებული. თავდაპირველად ისინი ვაზნეული იყო სხვადასხვა, უმთავრესად არასისხლისსამართლებრივი ხასიათის აქტებში, რომელთაც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები გამოსცემდნენ ცალკეული საკითხების მოსაწესრიგებლად (კანონებში, დეკრეტებში, დადგენილებებში, მიმართებებში, ინსტრუქციებში, ბრძანებულებებში, ცირკულარებში და ა. შ.). მიუხედავად ამისა, ამ ნორმატიულ მასალაში საკმაოდ მკვეთრად აისახა სოციალისტური სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპები და განსაზღვრა სისხლის სამართლის ძირითადი ინსტიტუტები.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია ხსენებული პერიოდის სისხლის სამართლის ნორმების შემცველი მთელი ამ საკანონმდებლო მასალის დაჯგუფება იმ ურთიერთობების მიხედვით, რომლებსაც ისინი აწესრიგებდნენ. ავტორთა უმრავლესობა ამ მასალის სამწევროვანი დაყოფის მომხრეა. სამწევროვანი დაყოფის თანახმად პირველ ჯგუფში ის კანონები გაერთიანებული, რომლებიც საბჭოთა დამსჯელი ორგანოების შექმნას ითვალისწინებდა, მათ უფლება-მოვალეობასა და ფუნქციებს განსაზღვრავდა (დეკრეტები და დადგენილებები სასამართლოს, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის რეკრუბუნლების, საგანგებო-საგამოძიებო კომისიის, ძიების, მოკვლევის და დაპატიმრების წესის შესახებ და ა. შ.). მეორე ჯგუფს მიეკუთვნება წმინდა სისხლისსამართლებრივი ნორმების შემცველი აქტები, რომლებიც უშუალოდ ითვალისწინებდა საბჭოთა სა-

ხელმწიფოს საფუძვლების ხელყოფისა და სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევის (კონტრრევოლუციური შეთქმულებები, ამბოხებები, საბოტაჟი, ხულიგანობა, სპეკულაცია და ა. შ.) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. მესამე ჯგუფის აქტები იყო დეკრეტები და დადგენილებები სამეურნეო, სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის ზოგადი საკითხების შესახებ.<sup>1</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმულია სხვა შეხედულებაც. კერძოდ, ზოგიერთი ავტორის აზრით, ხსენებული აქტები ორ ჯგუფად უნდა დაიყოს, თანაც კანონთა პირველ ჯგუფს ის საკანონმდებლო აქტები უნდა მიეკუთვნოს, რომლებიც აწესრიგებდნენ სპეციალურად სისხლის სამართლის, სასამართლო წყობილების და პროცესის საკითხებს, ხოლო მეორე ჯგუფს — ყველა აქტი, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგს, მაგრამ ამავე დროს შეიცავდა მითითებას ამა თუ იმ ქმედობის დასჯადობაზე.<sup>2</sup>

ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილად და სწორად უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული აქტების არა სამწევროვანი, არამედ ორწევროვანი კლასიფიკაცია: აქტები, რომლებიც სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგად ან კერძო საკითხებს აწესრიგებდა, მაგრამ ამავე დროს სისხლისსამართლებრივ ნორმებსაც შეიცავდა, და მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ნორმების შემცველი კანონები. ეს დაყოფა მით უფრო მართებულია გვეჩვენება, რომ როგორც სამწევროვანი, ისე ორწევროვანი დაყოფის მომხრეები, აქტებს, რომლებიც საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნას, ამ დარ-

<sup>1</sup> А. А. Герцензон, Уголовное право. Общая часть. Изд-во ВЮА, 1948, стр. 81—82; История советского уголовного права. Юридическое изд-во Министерства юстиции СССР, М., 1948, стр. 56—58; П. Г. Мишукин, Очерки по истории советского уголовного права, М., 1954, стр. 133—134; Г. В. Швеков, Первый советский уголовный кодекс, изд-во «Высшая школа», М., 1970, стр. 18—19.

<sup>2</sup> Ш. С. Грингауз, Советский уголовный закон в период проведения Великой Октябрьской социалистической революции, жур. «Советское государство и право», 1940, № 4.

ვის ორგანოთა უფლებებს და ფუნქციებს განსაზღვრავდნენ, სახელმწიფო მშენებლობის სხვა საკითხებისაგან დამოუკიდებლად, ცალკე ჯგუფად გამოჰყოფენ, მაშინ როცა ეს საკითხი სახელმწიფო მშენებლობის ერთ-ერთი ნაწილია და ამ გაგებით მისი ცალკე გამოყოფაც აღარ არის საჭირო.

სისხლის სამართლის ნორმების შემცველი სხვადასხვა ხასიათის დეკრეტები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ ურთიერთობებს არეგულირებდნენ, ამავე დროს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის პროპაგანდის თავისებურ ფორმასაც წარმოადგენდნენ. „ჩვენი დეკრეტი არის მოწოდება მასებისადმი, მათი მოწოდება პრაქტიკული საქმისაკენ. დეკრეტები ინსტრუქციებია, რომლებიც მოუწოდებენ მასობრივი პრაქტიკული საქმისაკენ... დეკრეტების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ასწავლოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა იმ ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანებს, რომლებიც ყურს უგდებენ საბჭოთა ხელისუფლების ხმას.“<sup>3</sup> ეს პოლიტიკა რომ უფრო გასაგები გამხდარიყო მასებისათვის, დეკრეტებში ვადმოცემული ნორმის სტრუქტურას ერთგვარი თავისებურება ახასიათებდა. სახელდობრ, ამ ნორმათა უმრავლესობა იძლეოდა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დაწ-

ვრილებით დახასიათებას და მის პოლიტიკურ შეფასებას.<sup>4</sup>

საბჭოთა საქართველოს პირველი წლების საკანონმდებლო აქტები სისხლის სამართლის რეგორც ზოგადი, ისე განსაკუთრებული ნაწილის ნორმებს შეიცავდნენ. სწორედ ამ დეკრეტებში განისაზღვრა პირველად კანონის დროში, სივრცეში და პირთა მიმართ მოქმედების პრინციპები. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს რევოლუციური ტრიბუნალის 1921 წლის 9 ნოემბრის დადგენილება — მთავრობის აქტების ძალაში შესვლის წესის შესახებ.<sup>5</sup> დადგენილების თანახმად, კანონი ძალაში შესულად ითვლებოდა იმ დღიდან, როცა იგი გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში“, ხოლო ადგილებზე — ჟურნალის შესაბამისი ნომრის მიღებისთანავე<sup>6</sup> ამ საერთო წესიდან დადგენილება ითვალისწინებდა გამონაკლისს. კერძოდ — როცა თვით კანონში იყო უშუალოდ მითითებული მისი ძალაში შესვლის დრო.<sup>7</sup> იყო შემთხვევები, როდესაც კანონი ძალაში ტელეგრაფის მეშვეობით შედიოდა.<sup>8</sup>

ამრიგად, მოცემული პერიოდის საკანონმდებლო მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა დავსკვნათ, რომ კანონის ძალაში შესვლა სამი ხერხით ხდებოდა: „მოამბეში“ გამოქვეყნ-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 236—237.


<sup>4</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 14 მარტის ბრძანება — ყოფილი მემამულეების განკარგულებაში მყოფი ყველგვარი სიმდიდრის განადგურების აკრძალვის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 15); რევკომის 1921 წლის 16 მარტის ბრძანება — სახალხო ქონების დატაცების შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 17); საქართველოს რევკომის 1921 წლის 31 მარტის დეკრეტი — ჯარის ნაწილებში წერაკითხვის უტოლინარობის ლიკვიდაციის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 20); რევკომის 1921 წლის 10 აპრილის ბრძანება — მთავრობის ყველა დეკრეტის და დადგენილების ცხოვრებაში სისწორით გატარების შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 33); რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტი — ერთდროული საგანგებო სანიტარული გადასახადის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 112) და სხვ.

<sup>5</sup> ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 127.

<sup>6</sup> 1921 წლის აპრილიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბექდვით ორგანოს წარმოადგენდა ჟურნალი „მოამბე“. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა „ცენტრალური მთავრობის“ და სახალხო კომისარიატების ყველა დეკრეტი, ბრძანება, ცირკულარი და სხვა. ჟურნალი გამოსვლისთანავე ეგზავნებოდა ყველა მაზრის რევკომს, ადგილობრივ საბაიონო და სათემო რევკომისა და მაზრაში არსებული ორგანოებისათვის დასარიგებლად (იხ. „მოამბე“, 1921 წ., № 12, გვ. 10).

<sup>7</sup> იხ. საქ. რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის დეკრეტი — ამნისტიის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 11). რევკომის 1921 წლის 11 ივლისის დეკრეტი — საქართველოდან კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის სავანების გატანის აკრძალვის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 109). რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტი — ერთდროული საგანგებო-სანიტარული გადასახადის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 112), რევკომის 1921 წლის 8 აგვისტოს დეკრეტი — საზოგადოებრივ-საშიშ მოქმედებისათვის ბრალდებულ არასრულწლოვანთა კომისიის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 12) და სხვა.

<sup>8</sup> რევკომის 1921 წლის 26 მაისის და 7 ნოემბრის დადგენილებები — ამნისტიის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 56, 128).



ბით, თვით კანონში ვადის მითითებით და ტელეგრაფით.

კანონის უკუშალის შესახებ რაიმე მითითებას საქართველოს პირველი წლების დეკრეტები არ იძლევა. ასეთივე მდგომარეობა იყო რუსეთშიც. ის გარემოება, რომ რსფსრ-ის ორ დეკრეტში (სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი — მექრთამეობის შესახებ<sup>9</sup> და დეკრეტი — ლატარიის მოწყობის აკრძალვის თაობაზე,<sup>10</sup> პირდაპირ აღინიშნა მათი უკუშოქმედების შესახებ, იმის მანიშნებელია, რომ, როგორც წესი, დამამძიმებელ კანონს უკუშალა არ ეძლეოდა.

სივრცეში და პირთა მიმართ კანონის მოქმედების საკითხს იმთავითვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდებოდა საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საკითხებს.

ცნობილია, რომ საქართველოს, საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში შეეძლო დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა ურთიერთობანი დაემყარებინა უცხოეთის სახელმწიფოებთან. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 4 მარტის მიმართვაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თანახმაა სავაჭრო და პოლიტიკური ხასიათის შეთანხმებები დადოს უცხოეთის ქვეყნებთან. ამავე მიმართვის მიხედვით იგი ამ ურთიერთობებს ამყარებდა თავის საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატების მეშვეობით. რევკომის ნებართვით და მისივე შემდგომი დამტკიცებით.<sup>11</sup> ასე, მაგალითად, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე ლენინს ატყობინებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გერმანიასთან და რომ მოკლიან იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლობის ჩამოსვლას, რომელთაც აინტერესებთ სავაჭრო ხელშეკრულებები და კონცესიები.<sup>12</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით, თავისთავად ცხადია, რომ უკვე იმ პერიოდშივე დადებო-

და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხების გადაჭრის აუცილებლობა კანონის სივრცეში მოქმედების პრინციპების გათვალისწინებით.<sup>13</sup>

ჩვენს ხელთ არსებული ნორმატიული მასალა საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობა იმთავითვე აწესრიგებდა კანონის სივრცეში და პირთა მიმართ მოქმედების საკითხებს. კანონის მოქმედების ტერიტორიული პრინციპი აისახა საქართველოს რევკომის 1921 წლის 8 აგვისტოს დეკრეტში — უცხოელების შესახებ. დეკრეტით უცხოელების სამართლებრივი მდგომარეობა გათანაბრებული იყო საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობასთან: „უცხოელი სასამართლოს დაცვის უფლებით სარგებლობს საერთო წესით, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებში იგი ექვემდებარება მხოლოდ სასამართლოს და მის გადაწყვეტილებას, ან განიხინება“ (მუხ. 11).<sup>14</sup> საქართველოს რევკომის 1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილებაში — საქართველოს წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ქვემდებარეობის შესახებ,<sup>15</sup> პირდაპირ აღინიშნა, რომ თუ დანაშაული საქართველოს სსრ ტერიტორიაზეა ჩადენილი საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ, არასაქართველოს საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურის თანამონაწილეობით, საქმეს როგორც პირველ, ისე მეორეთა შესახებ განუყოფილევ განიხილავს საქართველოს სსრ უზენაესი რევოლუციური ტრიბუნალი ან სახალხო სასამართლო (მუხ. 3). ამ საერთო წესიდან ცოტა მოგვიანებით დაშვებული იქნა გამოწაკლისი. 1922 წლის აპრილში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულებით — საქართველოს სსრ მთავრობასთან მეოფ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულოს წარმომადგენლობის შესახებ, — სრული ექსტერიტორიალობის უფლება გავრცელდა დიპლომატიურ, ხოლო შეზღუდული — საკონსულ-

<sup>9</sup> CV, 1918, № 18, სტრ. 467.

<sup>10</sup> CV, 1918, № 98, სტრ. 1003.

<sup>11</sup> ე. შელოა, საქართველოს კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 138—139.

<sup>12</sup> ე. მერკვილაძე, „საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოს შექმნა საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 37.

<sup>13</sup> საგულისხმოა, რომ რუსეთის 1917—1918 წწ. კანონმდებლობა რაიმე ზოგადი ხასიათის მითითებებს კანონის სივრცეში და პირთა მიმართ მოქმედების თაობაზე არ შეიცავდა. გამოწაკლის წარმომადგენელა 1918 წლის დეკრეტი თავშესაფარის უფლების შესახებ. (იხ. ე. შევეკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22).

<sup>14</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 123.

<sup>15</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 157.

ლოს წარმომადგენლობაზე. ამავე დებულებებით განისაზღვრა დიპლომატიური და საკონსულოს წარმომადგენლობის შემადგენლობა და ფუნქციები.<sup>16</sup>

ამრიგად, საბჭოთა საქართველოს პირველი წლების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წარმოდგენილი იყო კანონის სივრცეში მოქმედების ტერიტორიული პრინციპის საწყისები. ამასვე ვერ ვიტყვით კანონის მოქალაქეობრივ პრინციპზე. მაგრამ, სწორედ იმ პირველი პერიოდის საკანონმდებლო მასალამ შექმნა გარკვეული საფუძველი, რომელზეც შემდეგ აიგო და განვითარდა სისხლის სამართლის კანონის მოქმედების რთული ინსტიტუტი.

\* \* \*

საბჭოთა საქართველოს პირველსავე საკანონმდებლო აქტებში დანაშაულად საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა იყო აღიარებული. დანაშაულის მატერიალურ ნიშანზე მითითებას შეიცავდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილება წითელი არმიის სამხედრო მსახურთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ქვემდებარების შესახებ. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ უზუნაეს რევოლუციურ ტრიბუნალს ექვემდებარება სამხედრო მსახურთა მიერ ჩადენილი დანაშაული... რაც აშკარა საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა წყობილებისათვის (მუხ. I პ. „ა“).<sup>17</sup> რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 აგვისტოს დეკრეტი ასე იყო დასათაურებული — საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებისათვის ბრალდებულ არასრულწლოვანთა კომისიის შესახებ.<sup>18</sup>

რევკომის 1921 წლის 10 აპრილის ბრძანებად დგენილებების, ბრძანებების და განკარგულებების ცხოვრებაში სისწორით გატარების შესახებ — აკისრებდა თანამდებობის პირებს გულდასმით მოესმინათ მოქალაქეთა საჩივრები საზოგადოებრივი მშვიდობისა და წესრიგისათვის ვნების მომთან მოქმედებასა ან ბოროტმოქმედებაზე<sup>19</sup> და სხვა.

იმთავივით დანაშაულად ითვლებოდა არა მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, არამედ უმოქმედობაც. მითითებებს დანაშაულ-

ლებრივ უმოქმედობაზე შეიცავს რევკომის 1921 წლის 20 აპრილის დადგენილება — ფოსტატელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის დარგის სპეციალისტთა რეგისტრაციის შესახებ.<sup>20</sup> ამ დადგენილების თანახმად, სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში მიეცემოდა ის პირი, ვინც არ გამოცხადდებოდა აღრიცხვაზე. რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტი — ერთდროული სანიტარული გადასახადის შესახებ — იმ პირთა დასჯას ითვალისწინებდა რევოლუციური კანონების სრული სიმკაცრით, ვინც არ ასრულებდა დეკრეტის მოთხოვნას და არ იხდიდა გადასახადს<sup>21</sup> დანაშაულებრივ უმოქმედობას შეეხებოდა აგრეთვე რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 აგვისტოს დეკრეტი — შარავით ტვირთისთვის ბეგარის შემოღების შესახებ.<sup>22</sup> აქაც — რევოლუციური დროის კანონით ისჯებოდა პირი, თუ იგი განერიდებოდა ბეგარის აღსრულებას და ა. შ.

სხნებელი პერიოდის საკანონმდებლო აქტებში ვხვდებით დანაშაულთა კლასიფიკაციის პირველ ცდას მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით. იმ პერიოდის კანონმდებლობაში ვხვდებით ტერმინებს: „მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული“, „უძიმესი დანაშაული“, „სასტიკი დანაშაული“.<sup>23</sup> საილუსტრაციოდ გამოვყავება საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი მიწის შესახებ. დეკრეტით სასტიკ დანაშაულად ცხადდებოდა ჩამორთმეული ან ჩამოსართმევი მამულის დაზიანება ან გაფუჭება (მუხ. მე-5).<sup>24</sup> რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 8 აგვისტოს დეკრეტი უცხოელების შესახებ — მიუთითებდა, რომ უცხოელის ბინის გაჩხრეკა და ქონების კონფისკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ იგი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს ჩაიდენს.<sup>25</sup> რევკომის 1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილებაში, რომელიც წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ქვემდებარების საკითხს განსაზღვრავდა, ნათქვამი იყო, რომ სამხედრო მსახურთა მიერ ჩადენილი „თანამდებობითი მძიმე დანაშაული“,

<sup>16</sup> „მოამბე“, 1922, № 33, გვ. 11—12.

<sup>17</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 157.

<sup>18</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 124.

<sup>19</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 33.

<sup>20</sup> იქვე, ს. 210, გვ. 257.

<sup>21</sup> იქვე, ს. 201, გვ. 112.

<sup>22</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 141.

<sup>23</sup> იქვე, ს. 210, გვ. 257.

<sup>24</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 29.

<sup>25</sup> იქვე, საქ. 201, გვ. 123.





როგორცაა საბოტაჟი, მექრთამეობა, სამსახურებრივი სიყალბე, მითვისება, გაფლანგვა, ხელისუფლების გადამეტება ან უმოქმედობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებით მავნე შედეგი, ექვემდებარება უზენაეს რევოლუციურ ტრიბუნალს (მუხ. I, 3, „გ“).<sup>26</sup>

ამგვარ მითითებებს მხოლოდ ტერმინოლოგიური ხასიათი არა ჰქონდა. ისინი სავსებით შეესაბამებოდა კანონმდებლის მისწრაფებას მოეხდინა დანაშაულთა კლასიფიკაცია მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით. სიმძიმის ხარისხის მიხედვით, დანაშაულთა დაჯგუფების ცდას შეიცავს აგრეთვე რევოლუციური ტრიბუნალების 1928 წლის 3 აპრილის დებულება.<sup>27</sup> აქ დანაშაული დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. კონტრრევოლუციური მოქმედება;
2. მოქმედება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას აშკარად უკარგავს ნდობას;
3. მიძიმე თანამდებობრივი დანაშაული;
4. მსხვილი სპეკულაცია; 5. დეზერტირობა და 6. ყველა დანარჩენი დანაშაული.

განსახილველი პერიოდის კანონმდებლობა დანაშაულის ცნების გარდა გადაცდომის ცნებასაც იცნობდა და ზოგჯერ მას დანაშაულისაგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებდა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში კანონმდებელი არ ატარებდა ზუსტ ზღვარს ამ ორ, თავისი ბუნებით განსხვავებულ მოვლენას შორის.

გადაცდომათა და შესაბამისი დისციპლინური სასჯელების დაწვრილებითი ჩამოთვლა მოცემულია საქართველოს რევკომის 1921 წლის 26 ნოემბრის დებულებაში — სამხანაგო-დისციპლინური სასამართლოების შესახებ.<sup>28</sup> გადაცდომაზეა დაპირაკი აგრეთვე საქართველოს რევკომის 1921 წლის 25 თებერვლის № 1 დეკრეტში ამნისტიის შესახებ,<sup>29</sup> 1921 წლის 8 დეკემბრის დეკრეტში — საყოველთაო შრომის

ბეგარის შესახებ,<sup>30</sup> დეკრეტში ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ<sup>31</sup> და სხვა.

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე თვეებში განისაზღვრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი საქართველოში. რევკომის 1921 წლის 8 აგვისტოს დეკრეტით,<sup>32</sup> დანაშაულის სუბიექტს, როგორც წესი, 18 წელს მიღწეული პირი წარმოადგენდა.<sup>33</sup> 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა საქმეებს იხილავდა არასრულწლოვანთა კომისია, რომელიც უფარდებდა მათ სამედიცინო-პედაგოგიური ხასიათის ღონისძიებებს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში (თუ არსებობდა ამისთვის სათანადო საფუძველი), კომისიას შეეძლო მიზანშეუწონლად მიეჩნია არასრულწლოვანის მიმართ სამედიცინო-პედაგოგიური ხასიათის ღონისძიების გამოყენება და საქმე გადაეცა განსახილველად სახალხო სასამართლოსათვის.

დანაშაულის სუბიექტის მეორე დამახასიათებელ ნიშანს შერაცხადობა წარმოადგენს. საქართველოს განსახილველი პერიოდის კანონმდებლობა რაიმე მითითებებს ამ საკითხზე არ შეიცავდა.<sup>34</sup> მიუხედავად ამისა, დანაშაულის სუბიექტს მხოლოდ გარკვეულ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი წარმოადგენდა. ასეთი მტკიცების საფუძველს ის საკანონმდებლო მასალა იძლევა, სადაც უხვად იყო გაბნეული ბრალის ფორმებისა და სახეებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაზედაც ცოტა ქვემოდ შეეჩერდებით. თავისთავად ცხადია, იქ, სადაც ბრალეული პასუხისმგებლობა აღიარებული, გამოცხადებულია ობიექტური შერაცხვა და აქედან შეურაცხ პირთა პასუხისმგებლობაც.

ხსენებული პერიოდის კანონმდებლობა შეიცავდა ნორმებს დანაშაულის სპეციალურ სუბიექტზე. ამ ნორმების მიხედვით, დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს წარმოადგენდა თანამდ-

<sup>26</sup> იქვე, საქ. 210, გვ. 157, § 11.  
<sup>27</sup> ორცსა, ფ. 517, ან. I, საქ. 422, გვ. 28—33.  
<sup>28</sup> ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 15, გვ. 36—36ა.  
<sup>29</sup> იქვე, საქ. 201, გვ. 11.  
<sup>30</sup> „მოამბე“, 1921, № 24, გვ. 1—2.  
<sup>31</sup> ორცსა, ფ. 284, ან. 1, საქ. 26, გვ. 18.  
<sup>32</sup> ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 124.  
<sup>33</sup> რსფსრ-ში 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით — არასრულწლოვანთა კომისიების შესახებ — პასუხისმგებლობის ასაკი 17 წლიდან იწყებოდა.  
<sup>34</sup> რსფსრ-შიც ამ საკითხზე რაიმე პირდაპირი დადგენილება არ არსებობდა. ერთადერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ამ საკითხს შეეხება, წარმოადგენდა რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სპეციალური ინსტრუქცია — სულით ავადმყოფთა შემოწმების წესის შესახებ, სადაც დაწვრილებით იყო განსაზღვრული სულით ავადმყოფობის შემოწმების წესი (იხ. CV, 1918, № 40, გვ. 515).

ბობის პირი,<sup>35</sup> სამხედრო მსახური,<sup>36</sup> განსაზღვრული პროფესიის მქონე პირი და ის პირი, რომელიც გარკვეულ საქმიანობას ეწეოდა.<sup>37</sup>

\* \* \*

ბრალის პრინციპმა თავიდანვე ჰპოვა საკანონმდებლო ასახვა. მართალია, განსახილველი პერიოდის კანონმდებლობაში არ არსებობდა ბრალის ერთიანი ცნება, ასევე არ იყო ზუსტად განსაზღვრული და ერთმანეთისაგან გამიჯნული ბრალის ფორმებიც, მაგრამ ბრალი იმთავითვე წარმოადგენდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მტკიცე საფუძველს, რაც აისახა იმ პერიოდის კანონმდებლობაში. კერძოდ, საქართველოს რევკომის 1921 წლის 4 მარტის ბრძანება მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნისა და წარმოება დაწესებულებების დახურვის აკრძალვის შესახებ, სასტიკ პასუხისმგებლობას აწესებდა ბრძანების ბრძანებულ გამოყენებისათვის.<sup>38</sup> ასევე რევკომის 1921 წლის 12 სექტემბრის დადგენილება — ყოველგვარი სატელეფონო ქონების და მასალის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ აპარატისა და მისი ნაწილების ბრძანებულბანსხიტი დაზიანებისათვის ითვალისწინებდა სასტიკ პასუხისმგებლობას.<sup>39</sup> რევკომის 1921 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება — შეპყრობილ პირთა დასამწყვდევ ადგილებში მიღების წესის შესახებ —

მოითხოვდა, რომ დადგენილებაში სისწორით ყოველიყო აღნიშნული დანაშაული, რომლის ჩადენაში ბრალდი ანუ გუმბანი ედებოდა დაპატიმრებულს.<sup>40</sup>

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1922 წლის ნოემბრის ბრძანებაში — ტყეების ცეცხლის გაჩენისაგან დაცვის შესახებ — აღინიშნა, რომ ვინც თავისი დაშლემორბიტი ხელს შეუწყობდა ცეცხლის გაჩენას ან ბანგებ გააჩენდა ცეცხლს — მიცემული იქნებოდა პასუხისგებაში.<sup>41</sup>

განსახილველი პერიოდის დეკრეტებში ვხვდებით მითითებებს აგრეთვე დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან მომენტზე — მიზანზე.<sup>42</sup> სახელდობრ, საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი — უცხო ქვეშევრდომების მიერ საქართველოს მოქალაქის უფლების მოპოვების თაობაზე, პირდაპირ აღინიშნა, რომ ასეთი უფლების მოპოვების მიზანი ბანზრბს ყალბი ცნობების წარდგინებისათვის დამანაშავენი მიეცემოდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.<sup>43</sup> საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტი, რომელიც ერთდროულ საგანგებო სანიტარულ დასახაღს შეეხებოდა — ითვალისწინებდა იმ პირთა რევოლუციური კანონების სრული სიმკაც-

<sup>35</sup> იხ. საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 2 მარტის ბრძანება — დაწესებულებების ბლანკებზე მისამართისა და ტელეფონის ნომრების აღნიშვნის შესახებ (ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 13, გვ. 5); შრომის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 11 მაისის დადგენილება — ნათესავების ერთად სამსახურის შესახებ“ („მოამბე“, 1921, № 9, გვ. 13); რევკომის 1921 წლის 22 სექტემბრის დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისა და სამსახურის დატოვების შესახებ“ („მოამბე“, 1921, № 18, გვ. 8); რევკომის 1921 წლის 10 აპრილის ბრძანება-დადგენილებების, ბრძანებების და განკარგულებების ცხოვრებაში სისწორით გატარების შესახებ (ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 33) და სხვ.

<sup>36</sup> რევკომის 1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილება — წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ქვემდებარეობის შესახებ (ორცა, ფ. 201, ან. I, საქ. 210, გვ. 157).

<sup>37</sup> რევკომის 1921 წლის 28 ნოემბრის დადგენილება — განათლების დარგში მომუშავეთა თავიანთ სპეციალურ სამუშაოზე დაბრუნების შესახებ (ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 140—143); 1921 წლის 20 აპრილის დადგენილება ფოსტა-ტელეგრაფისა და რადიო-ტელეგრაფის სპეციალისტთა რეგისტრაციის შესახებ (ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 257). 1921 წლის 24 აპრილის დადგენილება — სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტთა და ტექნიკოსთა მობილიზაციის შესახებ (ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 29); 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტი — გზათა სპეციალისტების აღრიცხვის შესახებ (ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 113) და სხვა.

<sup>38</sup> ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 6.


<sup>39</sup> ორცა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 105.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>41</sup> „მოამბე“, 1921, № 10, გვ. 6.

<sup>42</sup> უმრავლეს შემთხვევაში სწორედ დანაშაულის მიზანი წარმოადგენდა კონტრრევოლუციური და ზოგადსიხლისამართლებრივი დანაშაულის გამსახელებელ ერთდერთ ნიშანს.

<sup>43</sup> „მოამბე“, 1921, № 5, გვ. 1—2.



რით დასჯას ვინც ბოროტი მიზნით არ გადახდიდა გადასახადს.<sup>44</sup>

\* \* \*

ნორმებს დანაშაულის სტადიებზე საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა თავდაპირველად არ ითვალისწინებდა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ხსენებულ პერიოდში კანონმდებელს ერთნაირი პოზიცია ეკავა დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. საგულისხმოა, რომ 1917-1918 წლების რუსების კანონმდებლობა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილია ყველა ინსტიტუტის შესახებ ძალიან მდიდარ მასალას შეიცავდა. გამოწაკლილია მხოლოდ დანაშაულის განვითარების სტადიები. მხოლოდ ოთხივე დეკრეტი თუ ეხება ამ საკითხს, და აქაც დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულისათვის ერთნაირი პასუხისმგებლობა იყო დაწესებული.<sup>45</sup>

გაცილებით უფრო მრავლად გვხვდება ნორმები თანამონაწილეობაზე. ეს გასაგებიცაა: რევოლუციის გამარჯვების პირველ ეტაპზე კლასობრივი მტრები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირის გამოხრის მიზნით ქმნიდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს. იმხანად გამოცემულ დეკრეტთა უმრავლესობა შრომისა და სამხედრო დეზერტირობაში თანამონაწილეობის საკითხებს ეხებოდა. ასე მაგალითად, საქართველოს რევკომის რევოლუციური ტრიბუნალების 1921 წლის 3 აპრილის დებულებაში აღინიშნა, რომ რევოლუციური ტრიბუნალებს ექვემდებარებოდათ დეზერტირებისა და აგრეთვე წამქეზებელთა და დამფარველთა საქმეები.<sup>46</sup>

დანაშაულის წამქეზებლისა და ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე მითითებულია საქართველოს რევკომის 1921 წლის 22 სექტემბრის დადგენილებაში — მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისა და სამსახურის დატოვების შესახებ.<sup>47</sup> დეზერტირობის დამმარცხ და დამფარველს ისხენიებს რევკომის 1921 წლის 7 ნოემბრის დადგენილება ამნის-

ტიის შესახებ.<sup>48</sup> აგრეთვე 1921 წლის 28 ნოემბრის დადგენილება განათლების დარგში მომუშავეთა თავიანთ სამუშაოზე დაბრუნების შესახებ<sup>49</sup> და 1921 წლის 8 დეკემბრის დეკრეტი საყოველთაო შრომის ბეგარის შესახებ.<sup>50</sup> რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 25 დეკემბრის დადგენილებაში საქართველოს წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ქვემდებარების შესახებ აღნიშნული იყო, რომ რევოლუციურ ტრიბუნალებს ექვემდებარება დეზერტირების, მათი ხელის შემწყობთა, წამქეზებელთა და დამფარველთა საქმეები.<sup>51</sup>

განსახილველი პერიოდის კანონმდებლობაში ვხვდებით პირველ მინიშნებებს აგრეთვე დანაშაულის შემგებლობის ინსტიტუტზე. ამ მხრივ საინტერესოა რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტი, რომელიც გზათა მშენებლობის აღრიცხვას შეეხება. იგი ითვალისწინებდა იმ თანამდებობის პირის მკაცრ პასუხისმგებლობას, რომელიც დამალავდა მასთან სამსახურებრივად დამოკიდებულ რეკონსტრუქციაში გასატარებელ პირებს.<sup>52</sup> დანაშაულის განუცხადებლობაზეა ლაპარაკი აგრეთვე ორ ნორმატულ აქტში — საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 მარტის ბრძანებაში<sup>53</sup> და 1921 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებაში — ბანდიტიზმის მოსასობად სათანადო ღონისძიებების მიღების თაობაზე.<sup>54</sup> ბრძანების თანახმად, ყოველი მოქალაქე, რომელმაც იცოდა სახალხო ქონების დატაცებისა და გადაძალვის შესახებ, ვალდებული იყო განეცხადებინა ერთი კვირის განმავლობაში უახლოესი რაიონული კომუნდანტისათვის ამის შესახებ დადგენილება ავალბდა აგრეთვე ყოველ მოქალაქეს შეესრულებინა თავისი მოვალეობა და ეცნობებინა საქართველოს საგანგებო კომისიისათვის ბანდის შემადგენლობა, ადგილსამყოფელი, ზრახვანი და სხვა.

ჩამოთვლილი საკანონმდებლო მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ადრინდელ დეკრეტებში ჭერ კიდევ ზუსტად არ იყო განსაზღვრული თანამონაწილეობის ინსტიტუტი, ასევე ნათლად არ იყო გა-

<sup>44</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 112.

<sup>45</sup> CY, 1917, № 14, გვ. 202; CY, 1918, № 53, გვ. 628.

<sup>46</sup> ორცხა, ფ. 517, საქ. 422, გვ. 28—33.

<sup>47</sup> „მოამბე“, 1921, № 18, გვ. 8.

<sup>48</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 21; გვ. 128—128ა.

<sup>49</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 143—143ა.

<sup>50</sup> „მოამბე“, 1921, № 24, გვ. 1—2.

<sup>51</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 157.

<sup>52</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 113.

<sup>53</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 17.

<sup>54</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 115.

მიწეული ერთმანეთისაგან თანამონაწილეობის სახეები, და თვით თანამონაწილეობა შემცბლობისაგან. საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში დაშვებულა ყველა თანამონაწილის ერთნაირი პასუხისმგებლობის პრინციპი. დეკრეტებში ეს პრინციპი შემდეგი ფორმულით გამოიხატა: „დასჯებიან მთავარ დამნაშავეთა თანაბრად“, იმავდროულად დანაშაულები მონაწილეობის ხარისხის და ხასიათის მიხედვით სასჯელის ინდივიდუალიზაციის მოთხოვნა მათნ ჭერ კიდევ არ იყო საკანონმდებლო წესით განმტკიცებული.

\* \* \*

განსახილველ პერიოდში სასჯელის ძირითადი და განმსაზღვრელი მიზანი ექსპლოატატორული კლასებისა და მათი პარტიების წინააღმდეგობის დათრგუნვა იყო. მაგრამ ამასთანავე იმთავითვე მოქმედებდა სასჯელის მეორე — აღზრდა-გამოსწორების მიზანი.

სასჯელის ამ მიზანზე მითითებას შეიცავს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 11 ნოემბრის დადგენილება — იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებასთან განმანაწილებელი კომისიის დაარსების შესახებ. დადგენილებაში აღინიშნა, რომ კომისია იქნებოდა თავისუფლება-აღკვეთილ პირთა გასანაწილებლად იმ სათანადო დაწესებულებებს შორის, რომელთაც მიზნად აქვთ მათი გასწორება და გაწვრთნა.<sup>55</sup> გარდა ამისა, განმანაწილებელი კომისიის შემადგენლობაში წევრის უფლებითა შეიძლება მიწვეული ყოფილიყო პედაგოგი, ფსიქიატრი და პენიტენციური საკითხებით დაინტერესებული სხვა პირი.

ხსენებულ პერიოდში სისხლის სამართლის სანქციების უმრავლესობა აბსოლუტურად განუსაზღვრელი ხასიათისა იყო („დასჯოს რევოლუციური დროის კანონების სიმკაცრით“, „მიეცეს სასტიკი პასუხისგებაში“, „მიეცეს რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში“, „დასაჯოს რევოლუციური დროის კანონების მთელი სისასტიკით“ და ა. შ.). ამრიგად კანონი მხოლოდ აღიარებდა ამა თუ იმ მოქმედებას ან უმოქმედობას დანაშაულად და დასჯადად. ხოლო საკითხი სასჯელის სახისა და ზომის შესახებ სასამართლოს რჩებოდა გადასაწყვეტად. იმ დროის კანონმდებლობა იცნობდა აგრეთვე შედარებით განსაზღვრულ სანქციასაც. ამ შემთხვევაში მითითებული იყო მხოლოდ სასჯელის სახე. თითქმის არ გვხვდება აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები.

სასჯელის მიზნების შესაბამისად შემოღებული იყო სასჯელის სხვადასხვა სახეები, მაგრამ 1921 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებებს“ მიღებამდე სასჯელთა ერთიანი სისტემა საქართველოში არ ყოფილა. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა იყო რუსეთში. სასჯელთა სხვადასხვა სახეების ჩამოთვლას შეიცავდა რსფსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1917 წლის 18 დეკემბრის დადგენილება ბეჭდვითი სიტყვის რევოლუციური ტრიბუნალის შესახებ. სახელდობრ, აქ მითითებული იყო სასჯელის შემდეგი სახეები: ფულადი ჭარიმა, საზოგადოებრივი გაკიცხვის გამოცხადება, ყალბი მონაცემების უარყოფელი ცნობების მოთავსება თვალსაჩინო ადგილას, სპეციალური გამოცემის დროებითი ან სამუდამო შეჩერება, ტიპოგრაფიის ან გამომცემლობის ქონების კონფისკაცია.<sup>56</sup>

რევოლუციური ტრიბუნალების 19 დეკემბრის ინსტრუქცია ითვალისწინებდა სასჯელის შემდეგ სახეებს: ფულად ჭარიმას, თავისუფლების აღკვეთას, დედაქალაქებიდან, ცალკეული ადგილებიდან ან რუსეთის რესპუბლიკის საზღვრებიდან განდევნას, საზოგადოებრივი გაკიცხვის გამოცხადებას, ხალხის მტრად გამოცხადებას, ყველა ან ზოგიერთი პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევას, ქონების სექვესტრს ან კონფისკაციას, სავალდებულო-საზოგადოებრივ სამუშაოებს.<sup>57</sup>

სასჯელთა სხვადასხვა სახეებზე მითითებებს ვხვდებით იმ პერიოდის ცალკეულ დეკრეტებში. თუ ამ დეკრეტებში მოხსენიებულ სასჯელთა სახეებს ერთად მოვუყრით თავს, ასეთ სურათს მივიღებთ: უმაღლესი სასჯელია თავისუფლების აღკვეთა, შემდეგ მოდის იძულებითი სამუშაოები, ქონების კონფისკაცია, ფულადი ჭარიმა, საქართველოს სსრ ფარგლებიდან გასახლება, გარკვეული უფლებების ჩამორთმევა, პირობითი მსჯავრი.

რსფსრ-ში სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დაზვრეტა გათვალისწინებული არ ყოფილა. ეს ფაქტი ისე უნდა გავიგოთ, თითქოს რუსეთის აღნიშნული პერიოდის კანონმდებლობა სასჯელის ამ ღონისძიებას საერთოდ არ იცნობდა. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე რსფსრ-ში 1917 წლის 26 ოქტომბრის № 2 დეკრეტმა გააუქმა სიკვდილით დასჯა, მაგრამ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ აიძულა საბჭოთა ხელისუფლება კვლავ მიემართნა მისთვის, როგორც თავდაცვის აუცილებელი და ქმედითი საშუალებისათ-

<sup>55</sup> ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 130.

<sup>56</sup> CV, 1917, № 9.

<sup>57</sup> CV, 1917, № 1, გვ. 4.

ვის. უკვე 1918 წლის 16 ივნისს — იუსტიციის სახალხო კომისარიატის სპეციალური დადგენილებით „რევოლუციურ ტრიბუნალებზე გამოცემული ყველა ცირკულარის გაუქმების შესახებ“ — რევოლუციურ ტრიბუნალებს მიენიჭათ უფლება, გამოეყენებინათ სასჯელის ყველა ღონისძიება, მათ შორის სასჯელის უმაღლესი ღონისძიება-დახვრეტაც.<sup>58</sup> უფრო მეტიც, სრულიად რუსეთის განსაკუთრებული კომისია, რომელიც 1917 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა, იმავეთვის უფლებამოსილი იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენისათვის დაენიშნა სასჯელის უმაღლესი ღონისძიება. გარდა ამისა, ცნობილია, რომ რსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭომ რევოლუციის ბელადების წინააღმდეგ კონტრრევოლუციური თავდასხმების აღსაკვეთად 1918 წლის 5 სექტემბერს კონტრრევოლუციურ თერო ტერორს დაუბრძოლა წითელი ტერორი.<sup>59</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ განიხილავდა დახვრეტას, როგორც მუდმივსა და აბსოლუტურ ღონისძიებას. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში იგი წარმოადგენდა ღრმებით და განსაკუთრებულ მოვლენას.

საქართველოს სინამდვილეში დახვრეტა არ ყოფილა გაუქმებული. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა ისეთ ისტორიულ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ მას თავისი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად ესაჭიროებოდა ბრძოლის ეს ზასარი იარაღი.

იმ პერიოდის კანონმდებლობაში ტერმინ „დახვრეტას“ მხოლოდ ერთ ადგილას ვხვდებით საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 5 აპრილის ბრძანებაში — გაჩხრეკა-დაპატიმრების წესის შესახებ. ბრძანება ითვალისწინებდა უმაღლეს სასჯელს — დახვრეტის იმ კონტრრევოლუციური ელემენტების მი-

მართ, რომლებიც არღვევდნენ მოქალაქეთა პირად ხელშეუხებლობას, თვითნებურად ეწეოდნენ გაჩხრეკა-დაპატიმრებას და ამით სახელს უტეხდნენ საბჭოთა ხელისუფლებას.<sup>60</sup> ვხვდებით მითითებებს „უმაღლესი ხარისხის სასჯელსა“ და „უდიდეს სასჯელზე“, რომლებიც სწორედ დახვრეტას გულისხმობდა.<sup>61</sup>

განსახილველი პერიოდის არცერთი საკანონმდებლო აქტი, თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის სახეს, საწვინაში არ ითვალისწინებდა.<sup>62</sup>

და მაინც საქართველოს რევკომის 1921 წლის 7 ნოემბრის დადგენილება — ამნისტიის შესახებ,<sup>63</sup> შესაძლებლობას იძლევა იმის მტკიცებისთვის, რომ იმ პერიოდში თავისუფლებას აღკვეთა, როგორც სასჯელის ღონისძიება, ფართოდ გამოიყენებოდა. უფრო მეტიც, ამავე კანონის საფუძველზე შესაძლებელია თავისუფლების აღკვეთის ვადების მიახლოებითი დადგენა. კერძოდ, დადგენილებამ თავისუფლების უვადოდ აღკვეთა მძიმე დანაშაულის (ყაჩაღობის, გაძარცვის, გაუპატიურების, გაბრაზების და სიფიცხის მდგომარეობის გარეშე სხვის სიცოცხლეზე ხელყოფის, ცეცხლის წაკიდების, ყალბი ფულის და საბუთების დამზადების, დეზერტირობის, მძიმე თანამდებობრივი დანაშაულის) ჩამდნთ და აგრეთვე რეციდივისტებს შეუძვალა თავისუფლების აღკვეთით ხუთი წლის ვადით.<sup>64</sup> თავისთავად ცხადია, რომ თავისუფლების უვადოდ აღკვეთა შეიცვლებოდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის უმაღლესი ვადით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ პერიოდში თავისუფლების უვადოდ აღკვეთა გამოიყენებოდა მძიმე დანაშაულისათვის, ხოლო დანარჩენი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის ვადის მაქსიმუმი იყო ხუთი წელი.

<sup>58</sup> პ. მიშუნინი, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

<sup>59</sup> СУ, 1918, № 65, გვ. 710.

<sup>60</sup> ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 32.

<sup>61</sup> იხ. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 მარტის ბრძანება (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 17); რევკომის 1921 წლის 14 აპრილის ბრძანება — სახელმწიფო ბანკისათვის ფასიანი ქაღალდების და ნივთების ჩაბარების შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 12, გვ. 37); რევკომის 1921 წლის 5 ივლისის დადგენილება — სახელმწიფო კუთვნილი ქონებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ (ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 74).

<sup>62</sup> რსფსრ-ის შესატყვისი პერიოდის 20-ზე მეტი დასახელების საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას.

<sup>63</sup> ორცსა, ფ. 281, ან. I, საქ. 219, გვ. 128—128ა.

<sup>64</sup> თავისუფლების უვადოდ აღკვეთა ეწინააღმდეგება სასჯელის იმავეთვის აღიარებულ ორმაგ ბუნებას. საგულისხმოა, რომ რსფსრ-ის რევტრიბუნალების პასუხისმგებელ მუშაკთა 1918 წ. 2 ნოემბრის თათბირზე პირდაპირ აღინიშნა, მორიდებოდნენ სასჯელის მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის ხელისშემშლელ მოვლენას — გრძელვადიან განაჩენებს (იხ. ЮГАОР, ტ. 1235, оп. 94, д. 63, стр. 422—436).

იშვიათად ვხვდებით იმ პერიოდის კანონ-მდებლობაში მითითებებს იძულებით სამუშაო-ებზე. მხოლოდ ორი ნორმატიული აქტი ითვალისწინებს სასჯელის ამ სახეს. ესენია: რევკომის 1921 წლის 8 აგვისტოს დადგენილება „უმუშევართათვის მუშაობაზე უარისთქმის აკრძალვის შესახებ“<sup>65</sup> და აფხაზეთის რევკომის 1921 წლის 11 ივნისის დადგენილება — ქალაქ სოხუმის მოსახლეობას შორის საცხოვრებლის სწორად განაწილების ღონისძიებათა შესახებ.<sup>66</sup>

შედარებით სრულყოფილად იყო განსაზღვრული ქონების კონფისკაციის საკითხები. საქართველოს რევკომის 1921 წლის 20 მარტის დეკრეტში რევკომისიისა და კონფისკაციის შესახებ ზოგადად განისაზღვრა კონფისკაციის ცნება („კონფისკაცია ეწოდება სახელმწიფოს მიერ იმ ქონების უსასყიდლოდ იძულებით ჩამორთმევას, რომელსაც ფლობს კერძო პირი ან საზოგადოება“ — მუხ. მ), იმ ნივთების წრე, რომელთა კონფისკაცია არ შეიძლება (საოჯახო ნივთები — ავეჯი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქურჭელი გარკვეულ პროფესიისა და წარმოებისათვის საჭირო საგნები — მუხ. 610)<sup>67</sup> და კონფისკაციის მომხდენი სახელმწიფო ორგანოები (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მომარაგების სახალხო კომისარი, რომლებიც თავის უფლებებს ახორციელებდნენ როგორც უშუალოდ, ისე ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, საქართველოს საგანგებო კომისიის პრეზიდიუმი, რევოლუციური ტრიბუნალი, სახალხო სასამართლოები).<sup>68</sup> დეკრეტიდან ნათლად ჩანს, რომ ქონების კონფისკაცია განსახილველ პერიოდში გამოიყენებოდა ძირითადად სასჯელის სახით. ზემოხსენებულ დეკრეტში მითითებულია, რომ „კონფისკაციის უფლება ეკუთვნის... სახალხო სასამართლოებს, რომლებიც მიმართავენ ამ ზომას, როგორც სასჯელს და რომ... რევოლუ-

ციურ ტრიბუნალებს და სახალხო სასამართლოებს დადგენილება ქონების კონფისკაციის შესახებ შეაქვთ სასამართლო განაჩენში“ (მუხ. 5). მაგრამ ამავე დეკრეტიდან ჩანს, რომ ქონების კონფისკაცია არ წარმოადგენდა მართოდენ სასჯელის ღონისძიებას. ამავე მეთყველებს დეკრეტის ის ნაწილი, სადა ცქონების კონფისკაციის შემფარდებელი ორგანოება ჩამოთვლილი (მუხ. 4-5).<sup>69</sup>

ქონების კონფისკაცია, როგორც სასჯელის კონკრეტული ღონისძიება, ნახსენებია საქართველოს რევკომის 1921 წლის 17 ივნისის დეკრეტში — აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმის ძაფზე, ნათურაზე, ნაბოლარზე და ყაჭზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ.<sup>70</sup> დეკრეტის თანახმად, ის ორგანიზაციები და კერძო პირნი, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ მონოპოლიის ცხოვრებაში გატარებას, ან შეაბრეშუმეობის ნაწარმის ყიდვა-გაყიდვას, მიიცმოდნენ რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში. მათ კონფისკაციის წესით ჩამოერთმეოდათ აბრეშუმის პარკი და შეაბრეშუმეობის სხვა ნაწარმი. კონფისკაცია აღნიშნული იყო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი ცენტრის 1921 წლის მარტის ბრძანებაში — სათანადო ნებართვის გარეშე ყოველგვარი ხარისხის ქალაქის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ<sup>71</sup> — დამნაშავენი ქალაქის დამალვაში მიიცმოდნენ მკაცრ პასუხისგებაში რევოლუციის დროს სისასტიკით და ქალაქი ჩამოერთმეოდათ კონფისკაციის წესით. ზოგჯერ ქონების კონფისკაცია თან ერთვოდა თავისუფლების აღკვეთას. ამავე უშუალოდაა მითითებული საქართველოს რევკომის 1921 წლის 20 დეკემბრის ხსენებულ დეკრეტში — საფასურების ყიდვა-გაყიდვისა და შენახვის თავისუფა-

<sup>65</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 91.

<sup>67</sup> «Революционные комитеты Грузии», Сборник документов и материалов Абгосиздат, Сухуми, 1963, стр. 347—348, док. № 270.

<sup>68</sup> დეკრეტის ამ მუხლის შესავსებად, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1921 წ. 23 მარტის ინსტრუქციის მე-17 პარაგრაფის შენიშვნაში ჩაიწერა, რომ სათესლე მასალის კონფისკაციის დროს, ეს მასალა ოჯახისათვის იმ რაოდენობით უნდა დაეტოვებინათ, რაც მას ახალი მოსავლის მოსვლამდე დასათესად, ოჯახისა და საქონლის გამოსაკვებად ესაჭიროებოდა (ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 210, გვ. 16).

<sup>69</sup> ქონების კონფისკაციის ასე ფართოდ გამოყენება განსახილველი პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის თავისებურებით იყო ნაკარანახევი. ამ ღონისძიების მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება ართმევდა კლასობრივ მოწინააღმდეგეს მისი ბრძოლის მძლავრ ძარალს — მშრომელთა ექსპლუატაციის ხარჯზე დაგროვილ სიმდიდრეს — კაპიტალს (იხ. ბ. მიშენინი, დასახ. ნაშრ., გვ. 209).

<sup>70</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 201, გვ. 101.

<sup>71</sup> იქვე, საქ. 14, გვ. 14.

ლი ოპერაციების წარმოების აკრძალვის შესახებ.<sup>72</sup> ყველას, ვინც შემჩნეული იქნებოდა დეკრეტის დარღვევაში, ეფარდებოდა თავისუფლების აღკვეთა და კონფისკაციის წესით ჩამორთმეოდა ნაყიდი, გასაყიდი და შესანახი საგნები.

საქართველოს რევკომის 1921 წლის 8 დეკემბრის დეკრეტი, რომელიც საყოველთაო შრომის ბეგარას შეეხებოდა, სასჯელის სხვა ღონისძიებებთან ერთად ჯარიმასაც ითვალისწინებდა და აწესებდა კიდევაც მის მაქსიმუმს: ჯარიმის რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო ბეგარით შე-

სასრულბებელ სამუშაოთათვის დადგენილი ხელფასის ხუთმაგ რაოდენობაზე მეტი.<sup>73</sup>

უფლებების ჩამორთმევას, როგორც სასჯელის სახეს, ვხვდებით მხოლოდ ერთ საკანონმდებლო აქტში. ეს არის საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი — უცხო ქვეშევრდომების მიერ საქართველოს მოქალაქის უფლების მოპოვების შესახებ. საქართველოს სსრ მოქალაქის უფლების მოპოვების მიზნით განზრახ ყალბი ცნობების წარდგენისათვის დამნაშავენი პასუხს აგებდნენ როგორც ყალბი ჩვენების მიმცემნი, და მათ შეიძლებოდა ჩამორთმეოდათ მოპოვებული უფლება.<sup>74</sup>

<sup>72</sup> ორცხა, ფ. 281, ან. I, საქ. 202, გვ. 170.

<sup>73</sup> „მოამბე“, 1921, № 24, გვ. 1—2.

<sup>74</sup> „მოამბე“, 1921, № 5, გვ. 1—2.

## შენიშვნები ერთი წერილის გამო

სარგის ცაიშვილი

უფრონად „საბჭოთა სამართლის“ 1978 წლის მე-8 ნომერში განხილვის წესით დაიბეჭდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ჯამბაკურ ბაქრაძის წერილი „შოთა რუსთველის სამართლებრივი ნაწარვეი და სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი დოქტრინები“. ჩემის აზრით, ჯ. ბაქრაძის წერილი იწვევს პრინციპული ხასიათის შენიშვნებს, რომელთაგან დავასახელებ შემდეგს:

I. ვეფხისტყაოსანი ქართული პოეტური კულტურის ყველაზე დიდი ძეგლია და, რასაკვირველია, ამის მტკიცება აქ სრულიად ზედმეტად მიმაჩნია. ვეფხისტყაოსნის იდეებმა, პუმანურმა სულისკვეთებამ, წინობრივმა, ეთიკურმა თუ ესთეტიკურმა იდეებებმა განსაკუთრებულად დიდი როლი ითამაშეს ქართველი კაცის სულიერი წყობის ჩამოყალიბებაში.

მაგრამ ამასთან ისიც ფაქტია, რომ ვეფხისტყაოსანს, როგორც ამაზე მისი ერთი პირველი დამფასებელთაგანი ილია ჭავჭავაძე იტყოდა, არავითარი შეღავათები არ სჭირდება. იგი თავისი მხატვრული ღირსებებით, ფართო მასშტაბურობით კანონიერად იკავებს იმ კუთვნილ ადგილს, რომელიც რეალურად ეკუთვნის მას მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ვეფხისტყაოსნის ავტორი ავლენს აღამიანის სულიერი სიღრმეთა არამარტო განსაცვიფრებელ ცოდნას, არამედ შუა-საუკუნეთა ლიტერატურის ფონზე გამოირჩევა საოცარი განსწავლულობით და დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის კულტურულ ფასეულობათა ბრწყინვალე ცოდნით.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის გამო. ვეფხისტყაოსნისადმი დიდ ინტერესებს იჩინენ არამარტო ლიტერატორები, არამედ საერთოდ კულტურის ისტორიის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ეს გარემოება ფრიად სასიამოვნოა და ამ მიმართულებით გაწეული კვლევა, რაც შემთხვევაში, არც უნაყოფო ჩანს.

მაგრამ ცალკეულ ნაშრომებში, სამწუხაროდ, თავს იჩენს კვლევის ობიექტით ზედმეტად გატაცება, რის გამოც სწორად ფანტასტიკურ შედეგებს ვაწყდებით. ვეფხისტყაოსანში ვეძებთ ან ვაზვიადებთ ისეთ მხარეებს, რომლებიც უშუალოდ არც იქვე მისი ავტორის ასახვის ობიექტი და საერთოდ პოემის მხატვრული ამოცანის გარეშე დგას. ამასთან ზოგჯერ ისეთ უხერხულ შედარებებსაც მიმართავენ, რომ პირდაპირ უნდა ითქვას, მათ სერიოზულ მეცნიერულ მსჯელობასთან საერთო აღარა აქვს რა.


ასეთი მიმართულების ერთი მკვლევარი, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემოს კვლევის დროს სრულიად სერიოზულად ამტკიცებდა, რომ რუსთველი, რასაკვირველია, ჰომეროსზე უფრო დიდი პოეტია, რადგან „ილიადასა“ და „ოდისეაში“ უფრო ნაკლებ გეოგრაფიულ სივრცეებზეა გაშლილი მოქმედება ვიდრე ვეფხისტყაოსანში და გვთავაზობდა ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემოს „ამოშიფრვის“ ისეთ ვარიანტებს, რომელთაც საერთოდ არავითარი კავშირი არა აქვს თვით ვეფხისტყაოსანთან. მხედველობიდან იყო გამოჩენილი ის გარემოება, რომ რომელიმე სრულიად ჩვეულებრივ ფანტასტიკურ ზღაპარში შესაძლოა უფრო გლობალური მასშტაბის სივრცეებზე იყოს ლაპარაკი და ეს ამავე ზღაპრის მხატვრულ ხარისხზე სრულიადაც არ მეტყველებდეს.

ხოლო მეორე, ამჯერად ვეფხისტყაოსნის ფაუნას, მკალიორა ასევე დაბეჭივებით წერდა, რომ ვეფხისტყაოსანში ზოგიერთი ცხოველი ბევრად მეტად არის მოხსენებული, ვიდრე მსოფლიოს აღიარებულ კლასიკოსთა ზოგიერთ ქმნილებაში, რაც თითქოს რუსთველის პოემის პრიორიტეტზე მეტყველებს.\*

ასეთი „მეთოდოლოგიით“ აღჭურვილ მკვლევართა მიერ ცალმხრივად მსჯელობის გამო

\* აქ ზოგჯერ კუროზებთანაც გვაქვს სამწუხაროდ საქმე. აი, მაგალითად, ერთ „მეცნიერულ“ ნაშრომში, რომელიც სერიოზული გამოცემლობის გრიფითაა დაბეჭდილი, არც მეტი, არც ნაკლები, ვკითხულობთ: „თვით ჰომეროსიც კი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდა, ცხოველთა გამოყენება-აღწერით შოთას უახლოვედგა, მაგრამ მას მაინც ვერ ეტოლება. ჰომეროსი ასახელებს „ილიადაში“ სულ ცხოველთა 32 სახეობას (მათ შორის შედის შინაური ძუძუმწოვრის ჩათვლით), შოთა — 42 სახეობას... ფრინველები ვეფხის-





რუსთველი შუა-საუკუნეთა ყველა იმ დარგის მამამთავრად არის დასახული, რომელიც კი მაშინდელ მსოფლიოში არსებობდა. საქირია კი ასეთი, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილო მტკიცებანი? ნუთუ რუსთველს შუასაუკუნეთა უდიდეს მხატვარსა და მოაზროვნეს, სჭირდება ისეთი ტიტულები, რომელზედაც ალბათ, მას პრეტენზია არც ჰქონია და რომლებიც არაფერს განსაკუთრებულს არ მატებენ მის დიდ პოეტურ სახელს. მე მგონი პასუხი ამ კითხვაზე ნათილი უნდა იყოს.

ჯ. ბაქრაძის წერილი, ჩემი აზრით, ერთგვარად ასეთივე მიმართულების კვლევა-ძიების ნაყოფია. იგი მოკლედ მიმოიხილავს, მაგალითად, ანტიკური ხანიდან მოკიდებული კანტიისა და ჰეგელის სამართლებრივ მოძღვრებამდე თითქმის ყველა ცნობილ მოაზროვნესა და მწერალს და ასკვნის, რომ „ძველი დროის არც ერთ იურისტს, მწერალს, ფილოსოფოსს არ აუმაღლებია მართლმსაჯულების როლი ისე, როგორც ეს გააკეთა შოთა რუსთველმა (გვ. 87). რასაკვირველია, აქაც ჩვეულებრივ გადაჭარბებასთან ვვაქვს საქმე და სრულიად უგულვებელყოფილია ვეფხისტყაოსნის, როგორც სამიჯნურო-სარაინდო რომანის მხატვრული სინამდვილე თავისი ომებით, სისხლისღვრითა თუ ფეოდალურ ეპოქაში შემუშავებული რაინდული კოდექსით. ავტორს მხედველობიდან რჩება მხატვრული პირობითობა, მოვლენათა გადატანითი თუ მეტაფორული გააზრება, რომელთა გარეშე ვეფხისტყაოსნის სწორი შეფასება აშკარად მცდარი და არამეცნიერულია.

ვეფხისტყაოსანი რომ მაღალი და მარადიული იქნაღებოთ ღრმად განმსჭვალული მხატვრული ქმნილებაა, რომ მისი ავტორი, მართლაც, ბევრად გასცდა თავისავე ეპოქის მიჯნებს, ნუთუ იმას ამტკიცებს, რომ სამართლებრივი დოქტრინების შემუშავებაში მას ბევრად მეტი გაუკეთებია, ვიდრე ყველა იმ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს (პლატონისა და არისტოტელედან კანტითა და ჰეგელით დამთავრებული), რომლებიც სავანებო ნაშრომებს უძღვნიდნენ ამ საკითხებს, ან შექსპირი ნაკლებად გათვითცნობიერებული იყო იურიდიულ მეცნიერებაში (თუმცა მან ამ საკითხს სპეციალურად მიუძღვნა რამდენიმე მხატვრული შედეგრი) ვიდრე რუსთველი? ვის სჭირდება ასეთი დაპირისპირება, მაშინ როცა იგი თავისთავად არავითარ პრობლემას არ ქმნის ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში? სამწუხაროდ, იმავე შექსპირის სამშობლოში და სხვაგანაც, რომელიმე შექსპიროლოგს საკითხის ასეთმა დასამამ (მით უფრო უკუღმართმა გადაწყვეტამ) შესაძლოა მხოლოდ ღიმილი მოჰგვაროს?

II. მეთოდოლოგიურად ასევე მცდარია ავტორის ზოგი დებულება, რომელიც კონკრეტული მასალის არასწორად გამოყენებას ეხება. მხოლოდ ერთი მაგალითი. წერილის ავტორს მოაქვს ვეფხისტყაოსნის ცნობილი სტროფი პოემის დასასრულიდან:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა  
 მოათოვდეს,  
 ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახკენი  
 არ ითხოვდეს,  
 ავის მქმნენნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა  
 ვერ უწოვდეს,  
 შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი  
 ერთად სძოვდეს“.

წერილის ავტორის აზრით, აქ გამოთქმული შეხედულებები „ულარესად მოწინავე იდეებია და ამ შეხედულებათა ავტორი შოთა რუსთაველი დიდი მოაზროვნეა სამართლის ფილოსოფიის დარგშიც...“ რომ „არცერთ იდეოლოგს არ გამოუთქვამს თავისი დროისათვის ასეთი პროგრესული იდეები და არ შეუქმნია ესოდენ წარმატაცი სამართლის ფილოსოფიის დოქტრინები“ და ა. შ.

ეს, მართლაც, ძალზე ჰუმანური და კაცთმოყვარეობის მაჩვენებელი სიტყვებია, მაგრამ წერილის ავტორს ნუთუ მართლა ჰგონია, რომ

ტყაოსანში უფრო მრავლად არის წარმოდგენილი. რუსთაველი ჰომეროსივით დიდ ადგილს უთმობს ცხენს, ამის შემდეგ — ლომს (ნახსენებია 78-ჯერ) და ვეფხვს (22-ჯერ), მაშინ როდესაც ჰომეროსი მხოლოდ ერთხელ ასახელებს ჯიქს, ვეფხვს კი — არც ერთხელ“.

ამ „ნაშრომთან“ დაკავშირებით ნოდარ ღუმბაძე „ნიანგის“ ერთ-ერთ ფელეტონში ჩვეული იუმორით დასძენდა: „ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ დანტეს თავის თხზულებაში არც ერთხელ არ ჰყავს ნახსენები მაჩვი, რომ სერვანტესი „დონ-კიხოტში“ მხოლოდ თითო გაძვალტყავებულ ცხენსა და ვირს იყენებს, გალაქტონი კი „ლურჯა ცხენებში“ არც ერთხელ არ ახსენებს ხბოს, გასაგები გახდება, თუ რატომ არ ჰყავს „სამანიშვილის დედინაცვალში“ დავით კლდიაშვილს ნახსენები კენგურუ, დავით გურამიშვილს „დავითიანში“ ხვლიკი და ბარათაშვილს „მერანში“ — ძროხა და, მაშასადამე, ამით თურმე დავადგენთ შოთას უპირატესობას მსოფლიო გენიოსებთან მეცხოველეობისა და მემხეცეობის დარგშიო.

აი, მართლაც, სადამდე შეიძლება მივიყვანოს გამოგონილი საკითხების ჯერ დასამამ და შემდეგ ასე უკუღმართად გადაწყვეტამ.

ასეთი შეხედულებები შუა საუკუნეებში მართო რუსთველის კუთვნილებაა და მას არ იცნობდა მაშინდელი საზოგადოება თუ ქრისტიანული წერილობა? მე მხოლოდ რამდენიმე პარალელს მოვიტან, შორს რომ წავიდე, ქრისტიანული მწერლობის პირველი წყაროებიდან: „მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისვენებდეს (ესაია, 11,9) „მაშინ მგელნი და კრავნი ძოვდენ ერთბამად (იქვე, 65,25), „მსახურებაი წმიდაი, შეუგინებული ღმრთისა მიერ და მამისა ეს არს: მიხედვითი ობოლთაი და ქვრივთაი ჭირსა შინა მათსა“ (იაკობი, 1, 27), ასევე დასტურდება „ყოვლთა სწორად წყალობა“ და ა. შ. ასეთი გამონათქვამები ფრიად გავრცელებული სენტენციები იყო შუა-საუკუნეებში. რუსთველის პირადი ღვაწლი ბევრად სცილდება მათ და იგი, პირველ რიგში, ვეფხისტყაოსნის მხატვრული სინამდვილის მისეულ წარმოსახვაში უნდა დავინახოთ, რაც მართლაც, მაღალი ჰუმანიზმის პოზიციებიდან იყო გაშუქებული.

III. ვინც კი ასეთ საკითხებს მოვიკიდება, როგორც აქსიომა, აუცილებელია ელემენტარულად მიინც ერკვეოდეს ვეფხისტყაოსნის ფილოლოგიურ საკითხებში. **იცნობდეს თანამედროვე ვითარებას კომპიის ტექსტის ბარშემო.** ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი კონკრეტული შენიშვნა. წერილის ავტორი ხშირად იმოწმებს ერთ სტროფს, რომელიც ადრეულ გამოცემებში მოიპოვებოდა ავთანდილის სიმღერის დასასრულს:

„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით  
ყოვლნი სულიერნი  
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით  
ნიანგნი, ცით ფრინველნი  
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და  
მალრიბელნი,  
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით  
მეგვიპტელნი“.

ავტორი რაღაც განსაკუთრებული დაუინფინით იმოწმებს ამ სტროფს, თითქოს სწორედ იგი ყველაზე უფრო ავლენდეს რუსთველურ ჰუმანიზმს, მაშინ როცა იგი მხატვრულად ძალზე სუსტს სტროფია და აშკარა ჩანართს წარმოადგენს. ეს არის ინტერპოლატორებისათვის დამახასიათებელი მანერით შესრულებული უხერო პარაფრაზი ქეშმარიტად რუსთველესული ლექსისა, რომლითაც თავდება ავთანდილის სიმღერა:

„რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი  
მოვიდიან,  
მისვე ხმისა სიტკბოსა: გან წულით ქვანიცა  
გამოსხდიან,  
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის,  
ატირდიან;  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ  
ცრემლინ სდიან“.

აქ დადი მხატვრული ძალით ყველაფერი ნათქვამი ავთანდილის სიმღერის შეუღარებელი ეფექტის გადმოსაცემად: „მისვე ხმისა სიტკბოსაგან წულით ქვანიცა გამოსხდიან“ და ამას შემდეგ, რასაკვირველია, სრულიად ზედმეტია ისეთი პროზაული სტრიქონები, რომლებიც ზემოთ მოტანილ ჩანართშია წარმოდგენილი, სადაც ასეთი ჩამოთვლით მხოლოდ დაქვეითებულია არაჩვეულებრივ მხატვრული წარმოსახვით შექმნილი პოეტური სახე. არც ისა სწორი, თითქოს „მთელი პოემა იმ ქვეყანათა ფონზეა გაშლილი, რომელიც ამ სტროფში არის დასახელებული“ (სხვათა შორის, ჩანართებში კიდევ უფრო ბევრი ქვეყანა დასახელებული, მაგრამ ვინა ეს მათ ღირსებებზე მეტყველებს?).

ამ სტროფის (მოვიდიან შესამკობლად...) ჩანართობა ადრევე იყო შენიშნული და ეს შეხედულება უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ახალი მასალები გამოვიინდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში დაცული პოემის ტექსტის გარშემო. გამოიჩვენა, რომ პოემის ძველ და შედგენილობით უფრო სანდო ხელნაწერებში (თითქმის ყოველგვარი გამოწავლისის გარეშე, ჩვენი კლასიფიკაციით პირველ და მეოთხე რედაქციის ნუსხებში) ეს სტროფი არ მოიპოვება. იგი დაახლოებით მე-17 საუკუნისათვის შეუტანილ შედარებით ვრცელ, ჩანართებთან ნუსხებში, სადაც იგი მოხვდა ვახტანგისა და მომდევნო გამოცემებში. ახალ საიუბილეო გამოცემებში გაითვალისწინეს ეს ვითარება და აშკარად გვიანდელი ეს ჩანართი ამოღებულ იქნა ძირითადი ტექსტიდან.

ამდენად, წერილის ავტორს ჯერ უნდა გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და შემდეგ გამოეტანა ისეთი შორს მიმავალი დასკვნები, რომლებიც ახალ უნერჩულობას ქმნიან პოემის მართებული გაგებისათვის.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო წერილის ავტორს, რომელიც, რამდენადაც ვიცი, დიდხანია მუშაობს ამ საკითხებზე, რომ ვეფხისტყაოსნის სიდიადის წარმოსაჩენად კონკრეტული კვლევა-ძიება საჭირო და არა ძალისხმევა მაღალფარდოვან სიტყვებზე, რომლებიც სრულიად არ სჭირდება არც შოთა რუსთაველსა და არც მის გენიალურ ვეფხისტყაოსანს.

## ზოგიერთი ცნობა XVIII საუკუნის საქართველოში ყვეთა ყივლის აკრძალვის შესახებ

ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობა მართო საქართველოში არ იყო გავრცელებული. XVII-XVIII საუკუნეებში ტყვეებით ვაჭრობდა აზიისა და აფრიკის მრავალი სახელმწიფო. იქ, სადაც მეფის ხელისუფლება სუსტი იყო თავადური თვითნებობის პირობებში ეს მახინჯი სოციალური მოვლენა უფრო იჩენდა თავს. ასე იყო საქართველოშიც.

საქართველოში ტყვეებით ვაჭრობას საგარეო ფაქტორიც უწყობდა ხელს: მეზობელი ქვეყნების — თურქეთისა და სპარსეთის ვაჭრები დიდი ხალხით ყიდულობდნენ საქართველოდან გაყვანილ ყველაზე ძვირად ღირებულ ულამაზეს გოგო-ბიჭებს.

ჩვენ აქ არ შევეუდგებით საქართველოს მავალითზე ტყვეებით ვაჭრობის ფაქტობრივი მასალების გადმოცემას. ეს საკითხი საქმოდ არის გამოკვლეული ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების მიერ. მხოლოდ საკითხის სისრულისათვის მოვიყვანო ორიოდე ცნობას, რომელიც მოსკოვის არქივთსაცავებში მოვპოვეთ.

მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში ერთი დაცული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან თურქეთის ბაზრებზე ყოველწლიურად გასაყიდად გადიოდა: იმერეთიდან — 40 გოგო და 40 ბიჭი, აფხაზეთიდან — 45 გოგო და 45 ბიჭი, გურიიდან — 20 გოგო და 20 ბიჭი, სამეგრელოდან — 50 ათასი საუენი სუფთა სელის ტილო.<sup>1</sup>

ჩვენ ეს ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ პერიოდში სამეგრელოდან არ გაჰყავდათ ტყვეები თურქეთისა და სპარსეთის ბაზრებზე. მართალია, დოკუმენტი გვაუწყებს, რომ სამეგრელოდან ტყვეების მაგიერ ხარკის სახით ტილო გადიოდა, მაგრამ ეს გარკვეულ პერიოდში მომხდარა და, ისიც — შემთხვევით. ეტყობა თურქეთის ვასალს — სამეგრელოს მთავარს თავისი მოქნილი პოლიტიკით დროებით მაინც მოუხერხებია სიუზერენისათვის ე. ი. სულთანისათვის ამ სამარცხვინო ხარკის მიცემისაგან თავის აცილება. სხვა საბუთიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნეში სამეგრელოდანაც გაუყვანიათ ტყვეები, მხოლოდ არა 40-იან, არამედ 80-იან წლებში. საბუთი ასე გვაუწყებს:

„ღებულობდნენ თურქები ტყვეთა დიდ რაოდენობას საქართველოდან და სამეგრელოდან... ამათგან ყველაზე ლამაზი გოგოები ხვდებოდნენ სულთანის და დიდი ვაზირის ჰარამხანებში.<sup>2</sup> საბუთი დათარიღებულია 1786 წლით. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მეფეები დაუნდობლად იბრძოდნენ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ.


ენერგიულად იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ თურქეთის ვასალი, იმერეთის მეფე სოლომონ I. სოლომონმა იმდენი იღონა, რომ 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს ფიციც დაადებინა ტყვეების ყიდვის აკრძალვაზე, რის შემდეგ იგი კანონად იქცა 1759 წელს. ეს უკვე ნიშნავდა სოლომონის მიერ თავისი მმართველობის — თურქეთის სულთანის ბრძოლის ველზე გამოწვევას. როგორც ცნობილია თურქეთმა ბევრჯერ გამოგზავნა ჯარები იმერეთში სალაშქროდ, რათა დაეშინებინათ სოლომონ მეფე და უარი ეთქმევინებინათ ტყვეთა ყიდვის აკრძალვაზე. თურქეთის მთავრობის ასეთი დაუინებოთი ცდის — შემოეღოთ ტყვეთა ყიდვა — მიზეზი ის იყო, რომ იგი დიდ მოგებას ნახულობდა ამით. თურქეთში სუსტად იყო განვითარებული წარმოებითი მეურნეობა, ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ ტყვეთა ყიდვა გახლდათ. თურქეთის სახელმწიფოს მთავარი შემოსავლის წყარო იყო აგრეთვე სატრანზიტო ვაჭრობით მიღებული ფული და თურქეთის მიერ დაპყრობილი ხალხების უსომო გადასახადებით დაბეგვრა. აი, ასეთი პარაზიტული ხერხებით ცხოვრობდა აღმოსავლეთის ეს უზარმაზარი იმპერია საუკუნეების მანძილზე.

სულთანის მიერ იმერეთში გამოგზავნილმა დამსჯელმა ექსპედიციებმა წაყოფი ვერ გამოიღო. სოლომონის ერთგული ლაშქარი, რომელიც ძირითადად გლეხებისა და აზნაურებისაგან შედგებოდა, ყოველთვის ამარცხებდა იმერეთში შემოსულ თურქთა ჯარებს. ასე რომ, თურქეთის მთავრობამ სამხედრო ღონისძიებთა ცერ მიადწია იმას, რომ სოლომონისათვის უარი ეთქმევინებინათ ტყვეთა ყიდვის აკრძალვაზე.

მაგრამ სოლომონმა იცოდა, რომ იმერეთის

<sup>1</sup> Центральный государственный военно-исторический архив ССР, фонд военно-ученного архива, д. 198, л. 105.

<sup>2</sup> Архив внешней политики России при министерстве иностранных дел СССР «фонд» сношения России с Турцией, д. 473, л. 76.



სამეფოს გაუქმრდებოდა მასზე გაცილებით ძლიერი აგრესორის — თურქეთის კვლავ მოსალოდნელი თავდასხმების უკუგდება, და ამიტომ მოკავშირეების ძებნას შეუდგა. უბირველესად მან თვალი რუსეთს მიაპყრო, რომლის წინააღმდეგ ომის დაწყება ჰქონდა გადაწყვეტილი ფრანგებისაგან წაქეზებულ თურქეთის სულთანს მუსტაფა III.

გერ რუსეთ-თურქეთის ომის (1768-1774) დაწყებამდე იმერეთის მეფემ სოლომონმა 1768 წლის ივნისში სამხედრო კავშირი შესთავაზა რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ მოსალოდნელი ომში. ეს ომი 1768 წლის სექტემბერში დაიწყო.

მალე იმერეთ-რუსეთის სამხედრო მოკავშირეობის საფუძველზე რუსეთის ჯარის ნაწილი დარიალის გზით 1769 წლის შემოდგომაზე იმერეთში შემოიღის. იმერეთის ფეოდალურმა ლაშქარმა სოლომონ მეფის მეთაურობით რუსეთის მხედრობასთან ერთად შეუპოვრად შეუტია იმერეთის ციხეებში ჩამჯდარ თურქ გარნიზონებს. იმპერატორი ეკატერინე მეორე ამის შესახებ ცნობილ ფრანგ განმანათლებელს ვოლტერს სწერდა: „ქართველებმა ნამდვილად აღმართეს იარაღი თურქების წინააღმდეგ და უარს ეუბნებიან სულთანს გოგო-ბიჭების მიცემაზე. ერთკლდე ყველაზე ძლიერია მთავართა შორის. ჰეკიანია და მამაცი. ადრე ის განთქმულ შაჰნადირთან ერთად იბრძოდა ინდოეთის დაპყრობაში. ჩემმა ჯარებმა გადალახეს კავკასია გასულ შემოდგომაზე, დანარჩენს გაწაფხული გვიჩვენებს.“<sup>3</sup> ვოლტერმა კი ეკატერინეს ამის შესახებ ხაპასუხო წერილში მისწერა: „საქართველოს მანიფესტს, რომლის ძალით ქართველები უარს ამბობენ სულთანისათვის ტყვე გოგო-ბიჭების მიცემაზე, დიდად მიესალმება ევროპა.“<sup>4</sup>

ამ ერთი ცნობითაც ნათლად ჩანს ის ამბავი, რომ ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე სულით არ ეცემოდა, მოძალადეს ვაჟაკურად ხვდებოდა და საიმედო მოკავშირეების მეშვეობით მამშადაინაური უკუნეთის გარდევას ცდილობდა. ქართველი ხალხის ამ პროგრესული და კეთილშობილურ მისწრაფებას, როგორც ჩანს, დიდი ფრანგი განმანათლებელიც გამოხმაურებოდა.

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის 1768-74 წლების ომი, სადაც იმერეთი რუსეთის მოკავშირედ გამოდიოდა, დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით და დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის ზავი 1774 წლის 10 ივლისს. ზავის ერთ-

ერთი მუხლი (23) ეხებოდა საქართველოს, სადაც ფიქსირებული იყო ის ამბავი, რომ თურქეთის მხარე უარს ამბობდა საქართველოდან ხარკის სახით ტყვე გოგო-ბიჭების მიღებაზე.<sup>5</sup> ეს მუხლი შეტანილი იქნა ზავის ტექსტში რუსი დიპლომატების დაუინებოთი მოთხოვნით. თურქეთის დიპლომატიისათვის ხელსაყრელი არ იყო ტყვეთა ყიდვის აკრძალვა, ამიტომაც იყო სულთანის მთავრობა 6 თვის განმავლობაში უარს აცხადებდა ზავის რატიფიკაციაზე.

ზავის რატიფიკაციის შემდეგაც არ მოხდებოდა ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში. მართალია რუსეთის მთავრობა კონსტანტინეპოლში მყოფი თავისი საელჩოს საშუალებით უგზავნიდა საპროტესტო ნოტებს თურქეთის მთავრობას, რომ ამ უკანასკნელს შეეწყვიტა საქართველოდან ტყვეების მოთხოვნა, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. იმერეთიდან და სამეგრელოდან ისევ გაყავდათ ტყვეები თურქეთის ბაზრებზე გასაყიდად. სოლომონ მეფემ მართალია აკრძალა ტყვეთა ყიდვა, მაგრამ ეს არ იყო სტაბილური. მისი გარდაცვალების შემდეგ (1784 წ.) ტყვეთა სყიდვა ისევ განახლებულა იმერეთის სამეფოში დეცენტრალიზაციის მოხსრე იმერეთის თავადებისა და თურქეთის მთავრობის დაუინებოთი მოთხოვნით. ეს მტკიცდება ჩვენს მიერ შემოთ მოყვანილი 1786 წლის სარკივო დოკუმენტით, რომელიც მოსკოვშია დაცული.

ჩვენი საბოლოო დასკვნა საკითხის გარშემო ასეთია: ისტორიკოსთა ერთ წრეში ამჟამად არსებული აზრი იმის შესახებ, თითქოს რუსეთსა და თურქეთს შორის 1774 წელს დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ შემწყვდარა საქართველოდან ტყვეების გაყვანა — სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია ზავის პირობებში ნათქვამია ტყვეების გაყიდვის აკრძალვაზე, მაგრამ ეს საქმის ფაქტიური მდგომარეობას არ ცვლიდა. ტყვეთა სყიდვა იმერეთის სამეფოსა და გურია-სამეგრელოს სამთავროებში ვფიქრობ ფაქტიურად საბოლოოდ უნდა მოხსობილიყო რუსეთის იმპერიის მფარველობაში მათი მოქცევის შემდეგ, 1804—1810 წლებში. აღნიშნულ წლებში დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროებში რუსეთმა ჯარის ნაწილები ჩააყენა, რის გამოც თურქეთს ხსენებული სამთავროებიდან ტყვეთა ძალით გაყვანის საშუალება მოეხსო.

### 3. ტარტარაშილი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

<sup>3</sup> Сборник императорского русского исторического общества, I, X, стр. 402.

<sup>4</sup> Потто, В. Кавказские войны, т. I, стр. 89.

<sup>5</sup> Договоры России с востоком политические и торговые, собрал и издал Т. Юзефович Спб., 1869 г. стр. 38.



# ნიკო ლორთქიფანიძის გასაგებობა სარიზმის სასაგებობო მხარე

ზ. ჯაფარიძე

ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლე

თ. ალაბაძე

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

სულ მალე აღინიშნება გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავი.

ნიკო ლორთქიფანიძე სამწერლო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე.

ამ დროისათვის მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. ეროვნულ უმცირესობებს ყოველნაირად ჩაგრავდნენ. დედაენა განდევნილი იყო სკოლიდან და სახელმწიფო დაწესებულებათაგან. ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში „დასავლეთ საქართველოს“ და „აღმოსავლეთ საქართველოს“ ნაცვლად შესვდებოდათ — „ქუთაისის გუბერნია“, „თბილისის გუბერნია“. ერთადერთი, სადაც გაბატონებული იყო ქართული ენა — ეს თეატრი განუღებდა, რომლის მეოხებითაც მას კავშირი ჰქონდა დამყარებული ფართო საზოგადოებასთან, ხალხთან.

მეფის ხელისუფლებამ იერიში თეატრზე მიიტანა. ნათქვამის ნათესაყოფად მრავალთაგან სანიშნოდ ერთ მაგალითს დავასახელებთ:

1882 წლის 22 იანვარს მტკვრის პირას თეატრში (შემდეგში გლენთა სასახლე) გაიმართა დ. ერისთავის პიესის „სამშობლოს“ პირველი წარმოდგენა. ამ პიესის დადგამა ქართველი ხალხი ერთდროულად დიდად აღაფრთოვანა და აღაშფოთა. აღფრთოვანება იმან გამოიწვია, რომ „ეს პირველი წარმოდგენა კი არ იყო „სამშობლოს“, არამედ ეს იყო პირველი ნამდვილი წარმოდგენა ქართულ ენაზე“. ამ წარმოდგენით „ყველა რაღაც აღფრთოვანებას გრძობდა, რომ ქართული თეატრის ისტორიაში ახალი გარდატეხა მოხდა“.

მაგრამ „სამშობლოს“ დადგმა და მისგან გამოწვეული ენთუზიაზმი არაფრად ეჭმინიკათ შავრასზელებს, მეფის დამქაშებს.

ქართველი ხალხის ასეთ გამოძახილში ისინი ხედავდნენ სუბარატივისიაკენ მისწრაფებას, ამიტომ დორბლის ყრა დაიწყეს. ამ მოვლენას რუსული შოვინისტური პრესაც გამოეხმაურა, კერძოდ, მონარქისტული გაზეთი „მოსკოვსკი ვედომოსტი“, რომელიც მონარქისტ მ. ნ. კატკოვის რედაქტორობით გამოდიოდა. ამ გაზეთში დაიბეჭდა დ. ერისთავის პიესის „სამშობლოს“ შესახებ ცილისმწამებლური წერილი, სადაც ერის სხვა ღირსებასთან ერთად ეროვნული დროშაც იყო შეურაცხყოფილი. გაზეთი წერდა: „იმ ქართული ეროვნული დროშების სცენაზე გამოტანას

განა ის არ სჯობდა, რომ ეგ დროშები თბილისში არსებულ გოლდერუას ცირკისათვის მიეყიდათ, სადაც ისინი პანტომიმებს დაამშვენებდნენო“.

ცხადია, ქართული პრესა ფართოდ გამოხემაურა ამ აღმაშფოთებელ ფაქტს. ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მკაცრად გააკრიტიკეს კატკოვი და მისი გაზეთი. რუსულმა პროგრესულმა გაზეთებმაც აღიმაღლეს თავიანთი ხმა ამ უმსგავსოების წინააღმდეგ.

მაყურებლის აღზრდის საქმეში ასევე დიდ როლს თამაშობდა ქუთაისის თეატრი, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ ქართული თეატრის შთამაგენი კლტე მესხი და ლადო მესხიშვილი. ისინი ანგარიშს უწყებდნენ მეოცე საუკუნის ცხრაასიანი წლების ეპოქის მოთხოვნილებებს და, რამდენადაც შეეძლოთ, თეატრი რევოლუციური მუშაობის სამსახურში ჩააყენეს.


რეპერტუარის შერჩევასა უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ისეთი პიესების დადგმას რომლებშიც ნაჩვენები იყო, თუ როგორ უნდა დაედგინა თავი მშრომელ ხალხს ეკონომიური და პოლიტიკური მოწოდება და რომლებიც ასწავლიდა მაყურებელს ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადებას. ქუთაისის თეატრმა უჩვენა მონტის „კაი გრაჰი“, ვიქტორ ჰიუგოს „რუი ბლაზი“ დ. ერისთავის „სამშობლო“, ალ. სუმბათაშვილის „დალატი“, ჰაუპტმანის „ავად-მოფი ხალხი“ და „ფიქრები“, შილერის „ყაჩაღი-მეო“, „ვერავობა და სიყვარული“ და სხვა.

ამრიგად, თეატრი კ. მესხისა და ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით, იქცა სკოლად, სადაც მაყურებელი იღებდა როგორც სულიერ, ასევე ესთეტიკურ სიამოვნებასა და საზრდოს.

აი ასეთ ვითარებაში აღზრდილ ქუთათურ საზოგადოებას რუსეთიდან ჩამოსულმა ომარსკის მოხეტიალე დრამატულმა დასმა უჩვენა ვ. კრილოვას და ს. ლიტვინას პიესა „შვილი ისრაელისა“. ეს პიესა შეურაცხყოფდა ებრაელ ერს, მათს რელიგიურ გრძნობებს. დადგმის მიზანი იყო ქართველ და ებრაელ მოსახლეობაში შუღლისა და მტრობის ჩამოგდება. ამიტომ მაყურებელმა ეს პიესა არ მიიღო.

ქუთაისის პოლიციისტიერმა ოლსოვსკიმ გაითვალისწინა მოსალოდნელი კონფლიქტი და სთხოვა გუბერნატორს ნება არ დაერთოთ დაედატო პიესა „შვილი ისრაელისა“.

გუბერნატორი არ დაეთანხმა პოლიციის მოთხოვნას.



ნას, სამავიეროდ, „ცარიზმის მოხელეებმა თეატრის დასაცავად მიიღეს წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები. გაძლიერდა პოლიციელთა რაზმი და გამრავლდა ჯაშუშთა რაოდენობა“, რათა თეატრში არ განხორციელებულიყო იმავე წლის 16 აპრილის შემთხვევა, როცა ამავე პიესის ჩვენებისას წარმოდგენა ჩაიშალა. დასი გაფრთხილებული იყო, რაც უნდა ხმაური ატეხილიყო აუდიტორიაში, ფარდა არ დაეხურათ და წარმოდგენა დაემთავრებინათ.

მკითხველისათვის რომ ნათელი გახდეს, თუ რა იყო მიზეზი 5 მაისს თეატრში მომხდარი უწყსრიგობისა, გავეცნოთ ამ პიესის მოკლე შინაარსი.

მდიდარმა ებრაელმა, მომე გოლდვეინზერმა, არანაკლებ მდიდარმა მისმა ძმისწულმა, მიხეილ რედაისმა, მიატოვეს საკუთარი ბინები და გადავიდნენ ღარიბი ებრაელის — აბრამის ქოხში, რომელიც საზღვარზე ცხოვრობდა. მათ განიზრახეს აქედან კონტრაბანდის გაპარება. ეჭვი რომ არავის აეღო, ისინი ლხინში ატარებდნენ დროს. ყველანი მეტ-ნაკლებად გადაგვარებულ ადამიანებს წარმოადგენდნენ. ისრაელ ქალს, ცინას, ჯაშუშობა გაუხდია თავის პროფესიად. რაბინი სედნერი ქადაგებს: ცნება „არა კაც კლა“ — სრულებითაც არ უკრძალავს ისრაელებს მკვლელობას, რადგანაც იქ არის ნათქვამი — ვისი მოკვლა შეიძლება და ვისი არა. ე. ი. შეიძლება მოკლა ქრისტიანი, ხოლო ებრაელის მკვლელობა აკრძალულია. ებრაელები გადაწყვეტენ, რომ მოკლან (მოწამლონ) ღარიბი იოშკა და მკვლელობა გადააბრუნონ რუს ვაჭარს. კონტრაბანდისტები მართავენ ნადიმს. ნადიმის დროს მდიდარი კონტრაბანდისტი აპარებს კონტრაბანდას, მაგრამ მოუხსრებენ ყარაულები და მოუხდებათ შეტაკება. მიხეილი კლავს ერთ ყარაულთაგანს, რომ ხელიდან დაუსხლტეს მათ. შემდეგ ნადიმზე ბრუნდება. ყველანი გაიგებენ რაც მოხდა, შეეცდებიან მკვლელობის დაფარვას, მაგრამ ამ დროს იქ მოულოდნელად შეცვივდებიან ყარაულები. მოაქვთ მოკლული ამხანაგის გვამი და წააწყდებიან შემდეგ სურათს: სუფრა გაშლილია, სტუმარ-მასპინძელი მისცემია ლოცვა-კურთხევას, ასე რომ, მათ არც კი სცალიათ, შეწყვიტონ ლოცვა და შემწობა აღმოუჩინონ უბედურ ყარაულს. ასეთია მოკლედ ამ პიესის შინაარსი.

პიესა აშკარა მოწოდება იყო რბევისაკენ, იგი ანტისემიტური შინაარსისა გახლდათ. იგი 5 მაისს დაიდგა, პირველი წარმოდგენის ჩაშლის 19 დღის შემდეგ. ასწიეს ფარდა თუ არა, მოაჯირზე მყოფმა სტუდენტებმა: ნიკოლოზ ლორთქიფანიძემ (შემდეგ ცნობილმა მწერალმა), ალექსანდრე კანდელაკმა (ბათუმის თეატრის ცნობილმა მსახიობმა), კირილ ნინიძემ (შემდეგში ცნობილმა ვეჟილმა) და სხვებმა ისეთი ძლიერი ხმაური ატეხეს, რომ წარმოდგენის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. პოლიციის დონისძიებებს შედეგი არ მოჰყოლია. მასურბელი ახალგაზრდობა წარმოდგენის ჩაშლის მიზნით, ყვირნებდა, ხმაურობდა, უსტევენდა, აბრახუნებდა ჯოხებით, სცე-

ნაზე მსახიობებს ლაყე კვერცხებს უშენდა. პოლიცი-მესტერი ლისოვსკი იძულებული გამხდარა ასულიყო მოაჯირზე და ხალხისათვის შემდეგი წინადადებით მიემართა: „ან დაწყნარდით, ანდა თეატრიდან წადით, ძალით ნუ გამაყვანიებთ თავსო“. ამაზე სტუდენტებმა უპასუხეს: „დაგვიჭირეთ და ძალით გაგვიყვანეთ, მაგრამ ნებით კი არ გავალთ, სანამ მაც უმსგავსო წარმოდგენას არ შეწყვეტთო“.

ნიკო ლორთქიფანიძემ თეატრში მყოფ ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ვთხოვ პატიოსან საზოგადოებას — ნუ უყურებს ამ სახიზღარ წარმოდგენას, რომელიც რყვის დრამატულ ხელოვნებას, ამცირებს ერსა და შეურაცხყოფს სარწმუნოებრივ გრძობას. ვინც თქვენში რიგიანია, წავიდეს თეატრიდან და ვინც უპატიოსნოა, ის თუნდაც დარჩეს“.

ხმაური კვლავ გრძელდებოდა. გაიცა ბრძანება — სტუდენტები ძალით გაერეკათ გარეთ. წინასწარ მოწვეულმა პოლიციელთა რაზმმა, დარაჯებმა, ჯარისკაცებმა ცემა დაუწყეს სტუდენტებს. ამ ინციდენტს მაშინდელი გაზეთი შემდეგი სიტყვებით აგვიწერს: „სტუდენტ ლორთქიფანიძის მისცვივად რამდენიმე პოლიციელი და დაუწყო აქეთ-იქით წევა, თითქოს გახლენა უნდოდათ, მერე ასწიეს, ორ საყენზე სკამების თავზე გადაისროლეს და დაცემულს ისე დაუწყეს ცემა, რომ ვიღაც ამირეჯები იძულებული იყო თურმე საშველად ნაზადი გადაეფარებინა იმისათვის, გამწარებული ლორთქიფანიძე წამოდგა თუ არა, მარშალ ერისთავს მივარდა ხანჯალზე: „ან თავს მოვიკლავ, ან სხვას მოვკლავო“.

რაკი სტუდენტები ხმაურს არ წყვეტდნენ და წარმოდგენის შეჩერებას მოითხოვდნენ, პოლიციემესტერმა ლისოვსკიმ კვლავ განხორციელა გასცა კატეგორიული ბრძანება, ძალით გაერეკათ ისინი. ამ დროს სტუდენტებმა ყვირილი მორთეს: „არ გაბედო მოკარება, ხელი არ გვახლოთო“. ამასთანავე დაიწყეს მუშტების, სკამებისა და ჯოხების ხმარება მათს მოსაგერიებლად. ხმაური გაძლიერდა. წარმოდგენა შეჩერდა. ფარდა დაუშვეს.

ამ არეულობის დროს გასასვლელი კარის წინ თავი შეეყარა დიდალ ხალხს. დაპატიმრებული ახალგაზრდები პოლიციას გარეთ რომ გაჰყავდა, ხალხი გაიძახოდა: „არ დაანებოთ დასატუსადებლადო“.

პოლიციემესტერმა ლისოვსკიმ გარეთ გამოსვლისას გამოიძახა დამატებით პირველი სოპერის პოლიცის 150 ჯარისკაცი და გასცა განკარგულება: „გარეკეთ და დაშალეთ ხალხისო“. პოლიცია და ჯარისკაცები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, გარს შემორტყნენ ქალაქის ბაღს, სადაც ხალხი იყო შესული, მათ ისარგებლეს და ქეზები დაუშინეს პოლიციელებსა და ჯარისკაცებს. როგორც იქნა, ხალხი დანიშალა.

ამ საქმის გამო ერთი დღე-ღამის განმავლობაში 200-მდე კაცი იყო დაკავებული, ხოლო სტუდენტები: ნ. მ. ლორთქიფანიძე, კ. ი. ნინიძე, ა. ნ. კანდელაკი და შოქალაქე ი. კ. აფხაიძე დაპატიმრეს და

პასუხისგებაში მისცეს. მათ ბრალი დაედოთ, რომ შინაინთა და ხმაურით წარმოდგენის დროს მყუდროება და წესრიგი დაარღვეეს, გარდა ამისა, გარეთ გამოყვანისას, ამ შემთხვევის დროს დაშავდნენ 15 ჯარისკაცი, 13 დარაჯი და პოლიციის მოხელე... აგრეთვე მცირედ დაიჭრნენ ხოპერის პოლკის 2 ოფიცერი, იასაული ნეკრასოვი და ასისთავი რიაბისი<sup>1</sup>, ამასთან საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ნ. მ. ლორთქიფანიძეს ბრალად ედებოდა სილის გარტყმა გოდორვისათვის, მუშტის დაკვრა ერთი ჯარისკაცისა და დარაჯისათვის და ხელის ჯიკავი დარაჯების უფროსისათვის და სხვა.

ამ საქმის გამო პირველი სასამართლო სხდომა დაინიშნა 1901 წლის 30 ივნისს. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამის გამო შემდეგ ცნობას იძლევა: თეატრში 5 მაისს მომხდარ უწყობათა გამო ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლის კამერაში ახირებულ სურათს ჰქონდა ადგილი. „საკმაოდ დიდი ოთახი აფსილი იყო პოლიციელებით, სტრაჟნიკებით და ჯარისკაცებით. წინა რიგებში ისხდნენ პოლიციის უფროსი მოხელენი, რამდენიმე აფიცერი და მხოლოდ ორიოდე გარეშე პირი. ეს ამოდენა ხალხი მოწმედ იყო პოლიციის მიერ დანიშნული. გასარჩევად დანიშნული იყო „ცნობილი“ საქმე ქუთაისის თეატრში 5 მაისს მომხდარ უწყებობა შესახებ“.

ბრალი დადებული ჰქონდა 5 სტუდენტს და ერთ გარეშე პირს. საქმის გარჩევას დაესწრო ოლქის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე მალინოვსკი, რომელმაც შეადგინა ბრალდებითი ოქმი სტუდენტების შესახებ. მათ აბრალდნენ იმავე წარმოდგენის დროს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევას, რომელთა საქმე ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია.

სასამართლო შედგა 10 ნახევარ საათზე. მომრიგებელმა მოსამართლემ სელეზნიოვმა პირველად გამოუძახა ბრალდებულთა, მაგრამ მოხდა „კუროზი“, ბრალდებულთაგან არც ერთი არ გამოცხადდა სასამართლოში. მოწმეებად გამოცხადებულნი იყვნენ: 21 ბოქაური, უბნის ზედამხედველი და პოლიციელები, 34 ჯარისკაცი, რამდენიმე აფიცერი და 22 „სტრაჟნიკი“, ამრიგად ბრალდებულები არც თვითონ გამოცხადდნენ და არც დამცველები გამოუჩანეს. ამიტომ სასამართლო გადაიღო 20 სექტემბრისათვის<sup>2</sup> ბრალდებულთა საქმე სასამართლომ სელმეორედ დაინიშნა და გაერჩია იმავე წლის 18 სექტემბერს.

ბრალდებულებმა მხოლოდ ის აღიარეს, რომ ხმაურობდნენ წარმოდგენისათვის ხელისშესაწყობლად, ხოლო პოლიციელთა შეურაცხყოფა უარყვეს. სტუდენტებს იცავდნენ ცნობილი ვეიქლები — მოსე ქიქოძე და მექი ფაღავა, ხოლო აფსაიძეს — გელაზაროვი. საქმეზე მოწმედ გამოძახებული იყო 66 კაცი. საქმის გარჩევამ სამ დღეს გასტანა, სასამართლომ მიწმეებად დაკითხა უმთავრესად პოლიციელები და

მათთვის საიმედო პირნი, მათ შორის პოლიციისტერი ლისოვსკი, რომელმაც თავის ჩვენებაში ჩვეულებრივი პროტესტი კი არ იყო, არამედ წინასწარგანზრახული ბოროტმოქმედება. აგრეთვე თეატრის წინ, ქუჩაზე რომ ხალხი შეგროვდა, ეს შემთხვევით კი არ მოხდა, არამედ განზრახ, სტუდენტების მოსახმარებლად შეიყარა თავი, პოლიციას და მთავრობას წინააღმდეგობა გაუწია, შეურაცხყოფა მიაცენა, ერთი სიტყვით, „ბუნტი“ მოახდინა“.

ცხადია, პოლიციისტერი ლისოვსკი სასამართლოზე წარდგა არა როგორც მოწმე, არამედ როგორც დამმუზღებელი. მან სტუდენტებისა და ხალხის ეს პროტესტი ბუნტად მონათლა. ლისოვსკიმ ეს ფაქტი საპროვოკაციო მიზნით გამოიყენა.

ამის შემდეგ ლისოვსკი მოჰყვა ყალბად შეთხზულ ჩვენებას: „ლორთქიფანიძემ ამა და ამ პოლიციელს, ამა და ამ ადგილას დაარტყა, ამა და ამ დარაჯს მუშტი დაარტყა, სალდათს თავში სკამი სთხოლიშა“. ხოლო ნინიძეზე შემდეგი ჩვენება მისცა: „ნინიძე ამდა ამნაირი შავი ჯოხით ყველას ურტყამდაო“ სტუდენტ კანდელაკზე კი განაცხადა: „კანდელაკმა ორჯერ მუშტი კრა გულში ჩემს თანაშემწესო და ყოველივე ეს საკუთარი თვალით ვნახეო“.

„გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ნიკო ლორთქიფანიძისა და კირილე ნინიძის დამცველი ნაფიცი ვეიქლის მოსე ქიქოძის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ წერს: „ბ. ქიქოძემ სასამართლოს ყურადღება თავდაპირველად მიაქცია ამ საქმის ერთ განსაკუთრებულ მხარეს, სახელდობრ იმას, თუ რა გულისთქმა ამოქმედებდა სტუდენტებს 5 მაისს: იმის აზრით, ამ უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ხშირად ვაჩვენეთ საზოგადოებაში იმისთანა პირებს, რომლებიც მშვიდობიანობის მაგივრად ერთიმეორეში მტრობას და სიძულვილს სთესავენ, ერთი მეორეს უსისიანებენ, ამგვარმა მოვლენამ თავი იჩინა ლიტერატურაშიც იმ განსჯევებით, რომ აქ წასისიანება მთელს ერს ეკრება, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ვ. კროლოვას და ს. ლიტვინოვას პიესა „შვილი ისრაელისა“, რომელშიც მთელი ერი ებრაელთა გალანძღული, დამცირებული და სამარცხვინოდ არის აგდებული. თუ უთანხმოებასა და სიძულვილის ჩამოგდება, თუნდ პატარა წრეშიც, გასაკითხავია, მით უფრო დასაგმობი უნდა იყოს ამნაირი მოქმედება შაშინ, როდესაც იგი მთელი ერის წინააღმდეგაა მიმართული. ასეთი უზიგო მოდუაწიობა პირად ანგარიშზე აშენებული, უიზღა და პროტესტს უნდა იწვევდეს არამცოუ გულწრფელ ახალგაზრდა სტუდენტების მხრით, არამედ მოხუცებულებშიც, ამისთანა სიმპატიური პროტესტი, ადამიანური გრძობით გამოწვეული, დასაჯული კი არა, საქმები უნდა იყოს, არეულობის სახელი ასეთ პროტესტს კი არ უნდა დავარქვათ, არამედ იმისთანა პიესის წარმოდგენას

1 იხ. გაზ. „კვალი“ 1901 წ. № 21.

2 „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. № 1511.

როგორც არის „შვილი ისრაელისა“, აი, ამგვარი კეთილშობილი გრანობით იყვენ სტუდენტები გამსჭვალულნი და გატაცებულნი, როდესაც ისინი თეატრში უკმაყოფილებას აცხადებდნენ, და ეს კეთილშობილური გულისთქმა არ უნდა დაივიწყოს სასამართლომ საქმის გადაწყვეტის დროს<sup>3</sup>.

ამის შემდეგ დამცველმა მ. ქიქოძემ გაარჩია ის. თუ რომელ მოწმეთ უფრო დაეჯერებათ პოლიციის მოხელეთ თუ დანარჩენთ, მან ამ საკითხის გამო პროცესზე აღნიშნა:

„წინააღმდეგ ბრალმდებლის ამხანაგის აზრისა — პოლიციელნი — მოწმეები სრულიად არ არიან ამ საქმეში სანდონი, რადგან იმათში ორიც არ მოიქმნება, რომ რომელიმე ფაქტს ერთნაირად, თანახმად გვისჩინდნენ და გარდა ამისა სხვა საფუძველიც არის. „მე არ მინდა ვისმეს ჩრდილი მივაყენო, — სთქვა მ. ქიქოძემ, — მაგრამ არ შემძლია არ მოვისხენიო ერთი ფრიად საყურადღებო გარემოებაო: სტუდენტმა ლორთქიფანიძემ სთხოვა სასამართლოს ერთი პოლიციელის დაბარება მოწმედ, რომელიც თურმე უმიზეზოდ დაითხოვეს სამსახურიდან მაშინვე, როდესაც მან გამომძიებელს სტუდენტთა საწინააღმდეგო ვერა აჩვენა რაო, მართლაც, თვითონ პოლიციის მიერ წარმოდგენილი წიგნებიდან სჩანს, რომ ისიც-კი დასაბუთებულად იწერებოდა წიგნებში, როდესაც დაბალ პოლიციის მოხელეებს რაიმე მცირე დანაშაულობისათვის ჯარიმას ადებდნენ, მაგრამ, როდესაც ის პოლიციელი სამსახურიდან დაითხოვეს მოწმედ დაკითხვის შემდეგ, ამის მიზეზი სულ არ არის მოხსენებულ წიგნებში, ამის მიზეზს თვით სასამართლო მისვლესო“.

ამრიგად, მ. ქიქოძემ სასამართლო პროცესზე ნათელყო პოლიციემისტერ ლისოვსკისა და მასთან ერთად პოლიციის შაგრასმელ მოხელეთა ბოროტი ზრახვები, ამასთან მან გვიჩვენა ის, თუ როგორ დევნიდნენ არა მარტო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, არამედ მათაც კი, რომლებიც პოლიციაში მსახურობდნენ და ცილისმწამებლური ცნობების ნაცვლად მართალ ცნობებს იძლეოდნენ უდანაშაულო ადამიანებზე.

დასასრულს თავის სიტყვაში მ. ქიქოძე აღნიშნავდა: „წყაენებული ბრალდება ლორთქიფანიძის, ნინიძისა და კანდელაკისა და სხვათა მიმართ ხელოფნურად შიითხნილია, ყალბია და ბრალდება სრულიად არ დამტკიცდებო“.

მეორე დამცველმა (იცავდა სტუდენტ კანდელაკს) მ. ფაღავამ თავის გამოსვლაში შემდეგი აზრი გაატარა: „5 მაისს მომხდარი არეულობა უფრო პოლიციის ბრალი იყო, ვიდრე სტუდენტებისაო. მართლაც, რა მოხდა იმისთანა, რომ პოლიციამ განსაკუთრებულ სასტიკ ზომებს მიმართა, ჯარები დაიბარა, ბევრი აცემია და ბევრიც დაატუსაღებიაო? თუ რამდენიმე

სტუდენტმა, უკმაყოფილების ნიშნად, შიშინი და ხმაური ასტეხა, განა სხვა თეატრებში ეს მოვლენა ჩვეულებრივი არ არისო? კიდევ მეტი, „ისრაელის შვილთა“ წარმოდგენამ თვით რუსეთში — ყველგან დიდი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ არსად ისეთი საშუალება არ უხმარიათ, როგორც ქუთაისის პოლიციაშიო“. „დარწმუნებული ვარ, — სთქვა ორატორმა, — ჩვენი პოლიცია რომ მოხერხებულად მოქცეულიყო, არ აჩქარებულყო და თავი არ დაეკარგა, არც არეულობა იქნებოდა, არც ჯარი დასჭირდებოდა და არც პროცესი იქნებოდაო. თუ კი მაინც და მაინც, როგორც ის გვარწმუნებს, აუცილებლად მოელოდა არეულობას, ნუთუ ჯარების მოხმარებაზე უფრო ადვილი არ იყო პეისის წარმოდგენა აეკრძალათ, მით უმეტეს, არც პირველს წარმოდგენას ჩაუვლია 16 აპრილს მშვიდობიანად“. შემდეგ ვეჭილი გადავიდა იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოა ის მოწმეები, რომლებიც პოლიციელთა ბანაკს შეადგენენ. მისი აზრით, ამ მოწმეებს სრულიად არ დაეჯერებათ, რადგან ისინი სწორად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ეს საუკეთესო საბუთია, განაგრძო მან, — რომ ამ მოწმეებს თავის თვალთ არაფერი არ დაუნახავთ და არც შეეძლოთ დაკვირვება, რადგან თვითონ არეულობაში იყვნენ ჩართულნი, მხოლოდ მერე შეთხზეს ვიდაცას სამართო, ასე რომ არ იყოს, იმათი ჩვენება არ ეწინააღმდეგებოდა ყველა დანარჩენ მოწმეებს და თვით სტუდენტთა პასუხს, რადგან იმათი ახალგაზრდობა და გულწრფელობა თავდებია იმის, რომ ისინი სასჯელის შიშით არ უარპყიფდნენ თავის დანაშაულობას, რომ მართალი იყოს“.

გიმნაზიელ აფხაიძეს იცავდა ვეჭილი გელაზაროვი, მან დაცვის სიტყვაში აღნიშნა: „ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი სტუდენტების მოქმედებასთან იმ ხალხს, რომელშიაც აფხაიძე დაიჭირეს. „სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩავთვალოთ ის აზრი, — სთქვა მან, — ვითომც სტუდენტები და ხალხი წინდა-წინვე შეთანხმდნენ არეულობის მოხდენის შესახებ, და ამიტომ შეიკრიბა ხალხი. ხალხი შევროვდა არა ბოროტის განძრახვით, არა მოლაპარაკების გამო, არამედ სრულიად შემთხვევით: ხალხი შეკრიბა ჯერ მუსიკის სმამ და მერე თეატრში ატეხილმა არაჩვეულებრივმა ხმაურებამ, ესე იგი იმისთანა რამ, რაც ყველგან და ყოველთვის იქცევის დაბალი ხალხის ყურადღებას“. ბ. გელიზაროვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ძალიან საეჭვოა თვით ის ბრალდება, რომ ხალხი ჯარს ქვებს ესროდა ბაღიდან. საეჭვოა იმიტომ, რომ როგორც ყველამ უწყის, ბაღში სრულიად არ მოიპოვება ქვა... შესაძლებელია რამდენიმე ბავშვმა, ხალხში გარეულმა, როგორც ყოველთვის ხდება, მართლაც ისროლეს ქვა, მაგრამ იმათი სიცვლქვა განა მთელ ხალხს უნდა მოეხეიოს თავზედაო. დასასრულ ვეჭილმა ის იმედი გამოსთქვა რომ აფხაიძე, რომელსაც არავითარი ბრალი არ მიუძღვის, გამართლებული იქნებო“<sup>4</sup>.

<sup>3</sup> იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902 წ.  
<sup>4</sup> იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, № 1592.



ამრიგად დამცველებმა გამოამყვანეს დრამატული დასის პოლიტიკური მიწვამის და პოლიციის საიდუმლო ზრახვები.

ბიესა „შვილი ისრაილისა“ სხვაგანაც იღვებოდა და იქაც ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. მოსახლეობა ასეთ დადგემებს ყოველთვის პროტესტით ხვდებოდა, მაგრამ არსად ისეთი საშუალება არ უხმარიათ, როგორც ქუთაისის პოლიციაში“ — აღნიშნავდა დამცველი თ. ფაღავა.

განაჩენი სასამართლომ 1901 წლის 20 სექტემბერს გამოაცხადა.

სტუდენტებს ბრალი დაედოთ პოლიციის მოხელეთა შეურაცხყოფაში და ისინი დამნაშავეთ ცნეს მხოლოდ იმაში, რაც თვითონ აღიარეს. ე. ი. მყუდროების დარღვევაში და გადაუწყვიტეს ჯარიმა 8. ლორთქიფანიძეს — 150 მანეთი. კ. ნინიძეს — 100 მან. კანდელაკს — 50 მან. და აფხაიძეს — 5 მანეთი.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ „თუ ბრალდებულნი აღნიშნულ ჯარისმის გადახდის ვერ შეძლებდნენ, მაშინ დაესაჯათ ციხეში დაპატიმრებით.“ ნ. ლორთქიფანიძე — 1,5 თვის ვადით, ვ. ნინიძე 1 თვით, ხოლო აფხაიძე პოლიციაში ერთი დღის ვადის დაკავებით“.

ასეთი შედეგათიანი სასჯელი და დამცველთა ენერგიული ბრძოლის შედეგი იყო საზოგადოებრივი აზრისა. ცხადია, განაჩენით კმაყოფილი არ დარჩა ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის მოადგილე მანილოვსკი. მან იგი გააპროტესტა და მოითხოვა სტუდენტთა მკაცრი დასჯა. საპროტესტო განცხადებაში იგი წერდა, რომ „სტუდენტების და აფხაიძის მოქმედებას არავითარი გამამართლებელი საფუძველი არა აქვს, სტუდენტები წინასწარ განზრახვით თეატრში დემონსტრაციას მართავენ და ყვირილითა და სკანდების რახებით წარმოდგენას ხელს უშლიდნენ, რამდენჯერმე იქნენ გაფრთხილებულნი, ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ. სტუდენტების ფულით დაჯარიმებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ საქმეში, რადგანაც ეს დასჯა იქნება მათი მოშობლებისა და არა მათი“. იგი მოითხოვდა ბრალდებულთა დაპატიმრებას.

ამის საფუძველზე ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი გაუქმებულ იქნა. საქმე ხელახლა განიხილა თბილისის სასამართლო პალატამ ერთი წლის შემდეგ 1902 წლის 2 მაისს პალატის უფროსის დ. ს. ვრასკის თავმჯდომარეობით, წევრების ფრანცოვისა და ოპტიცევის მონაწილეობით. ლორთქიფანიძისა და ნინიძის დამცველმა ნაფიცმა გვექილმა მ. ქიქოძემ კარგა ხანს ილაპარაკა. „მან ბრალდებულის მოსაზრების წინააღმდეგ, საქმიდან მოიყვანა ზოგიერთი საბუთი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სტუდენტების მოქმედებაში სრულყოფით ვერ ვპო-

ულობთ პოლიციის მოხელეთა სამსახურის ასრულების დროს შეურაცხყოფის მიყენების ან წინააღმდეგობის აღმოჩენას, სხვათა შორის, ქიქოძემ აღნიშნა, ის გარემოება, რომ ქუთაისის პოლიციისტერმა ლისოსკიმ სრულიად სხვადასხვა ჩვენება მისცა გამომძიებელს და საოლქო სასამართლოს, აგრეთვე შესცავალეს თავიანთი ჩვენებანი ბრალდების სხვა მოწმეებმაც; ამის გამო მათ მოწმობას ამ საქმეში ყურადღება არ უნდა მიექცეს. სტუდენტობის წინააღმდეგობა, თუ ეს წინააღმდეგობად შეიძლება მივიღოთ, თქვა დამცველმა, იმით გამოიხატება, რომ როცა მათ პოლიციელებმა ჯოხებით, ხმლის ტარებითა და მათრახებით ცემა დაუწყეს იმდენ ხალხში მოძრაობის დროს, სრულიად შემთხვევით, ცემის თავიდან ასაცილებლად ცდის დროს, ხელი წაპკრეს მოხელეთ, რაც ბევრმა მოწმემაც აღნიშნა სასამართლოში. სტუდენტები არავის არ სცემდნენ, პირიქით, ისინი დალახეს შეუბრალებლად, რამაც გამოიწვია სასამართლოდან მთელი იქ დამსწრე საზოგადოების გულისწყრომა. დასასრულს, ქიქოძემ ითხოვა თანაგრძნობით მოქციებოდა პალატა ლორთქიფანიძეს და ნინიძეს სასჯულის გადაწყვეტის დროს.“

პროცესზე მეორე დამცველი მ. ფაღავა თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ „მე არ შემიძლია დავეთანხმო ბრალდების მოსაზრებას, იმის შესახებ, რომ უზრდელი სტუდენტების აღზრდა ციხეში პატიმრობით შეიძლებოდა. როცა ასეთი მზრუნველობა გვინდა გამოვიჩინოთ, მაშინ უფრო დიდი სიკეთე იქნება ისინი ისევე უნივერსიტეტში დარჩნენ, რადგან ეს დაწესებულება ზრდის და აფაქიზებს კაცს ყოველმხრივ და არა საპატიმრო, როგორც ბრალდებულნი ამბობს“.

თბილისის სასამართლო პალატის დადგენილებით წარმოდგენაზე უწყსობის ჩადენისათვის, სამსახურის აღსრულების დროს პოლიციის მოხელეთათვის შეურაცხყოფის მიყენების და ამავე დროს თეატრის წინ საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევისათვის, აგრეთვე სტრუქტურებისათვის შეურაცხყოფის მიყენებისათვის ბრალდებულთ მიესაჯათ ციხეში პატიმრობა: ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს — ორი თვით, კირილე ნინიძეს და აფხაიძეს სამ-სამი თვით, ხოლო ალ. კანდელაკს სამი კვირის ვადით.

ამრიგად, გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — ნიკოლოზ მერაბის ძე ლორთქიფანიძე ასლგაზრდობიდანვე დაუნდობლად იბრძოდა თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ეროვნული ჩაგვრის, დამცირების და რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფათა გამო, რისთვისაც მან რეპრესიებიც განიცადა.

ნიკოლოზ ლორთქიფანიძე მთელი თავისი საქმიანობით ყოველთვის იყო მაღალი ჰუმანური გრძნობების მღადაღებელი მოქალაქე და მწერალი.

5 იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, № 1798.

6 იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. მაისი № 1798.

## ილია ჭავჭავაძე სამსჯავროს წინაშე

XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ქუთაისელი კორესპონდენტის ივანე აბაშიძის წერილები მანგანუმის დამუშავება-პატრონობის თაობაზე. საქმე ის იყო, რომ ვინმე მერცენაფელმა და მისმა ვეჟილმა ფურმანმა ერთ ქართულ თავადიშვილთან დადეს ხელშეკრულება ისეთი ადგილების ექსპლოატაციაზე, სადაც ინჟინერ-ექსპერტების დასკვნით მანგანუმი ერთობ ცოტა რაოდენობით იყო. საკვირველი ის გახლდათ, რომ ხელშეკრულება 12 წლის ვადით იქნა დადებული. კორესპონდენტის აზრით, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ მათ საზოგადოების თვალში სახელი მიეუბოვებინათ, აი რა კანონიერად ვმოქმედებთო. მიწის სხვა მე-პატრონეთა შორის ეს კონკურენციას წარმოშობდა და ისინიც ხელშეკრულების დადებას მათ შესთავაზებდნენ.

კორესპონდენციაში ასევე მხილებული იყო ვინმე სერჟუტოვსკი, რომელიც ქუთაისში საგანგებო მოხელედ იყო მივლინებული. მას მეზობლანა და დროებით ვალდებულ გლახთა შორის არსებული დავების მოწესრიგება ევალებოდა. და აი, ეს სერჟუტოვსკი დაუკავშირდა მერცენაფელსა და ფურმანს, შუამავლობა დაიწყო ხელშეკრულების დამდებ პირთა შორის და თავის ბნელი საქმეების მოგვარებას შეეცადა.

ივანე აბაშიძემ სასტიკად ამხილა სერჟუტოვსკი.

„თუ იგი (სერჟუტოვსკი ვ. ს.) სინდისიანი კაცია, რად ერევა იმისთანა საქმეში, რომელსაც ყველა არა ბოროტი კაცი უნდა მოერიდოს? როცა ატეხეს ცრუ სარიგარი მერცენაფელმა და მისმა ვეჟილმა ფურმანმა. ვის გაუფონია საგლეხო საქმეების კომისიის წევრი და დალალობა? მეზობლანა და გლეხებს შუა ჩამოვარდნა და ვატრული მოქმედება. იგი ჩამოცილდა თავის პირდაპირ მოვალეობას. განა ცოტა ვალდებულება აწევს საგლეხო საქმეებში, რომელიც პირველი საქმეა საქართველოსი მეზობლანებისა და დროებით ვალდებულ გლეხების ერთმანეთ შორის დაზავება. განა აქ ცოტა მუშაობა უნდა, რომ ყველა ეყენა რიგთან და სინდისიანად დააბინაოს და შეასრულოს კაცმა?“

თუ უფ. სერჟუტოვსკი იმას ცდილობს, რომ თავისი თფიციალური მნიშვნელობით ისარგებლოს და დაითანხმოს როგორც მეზობლანე, ისე გლეხი ვიღაც მერცენაფელის სასარგებლოდ?

იციოდეთ, უფ. სერჟუტოვსკი, რომ მე არა ვარ

გადმოვარდნილი უცხო ქვეყნიდან და არ ვცდილობს სალხის მოტყუებას და გაძარცვას. ამიტომ ბედნიერად ჩავთვლი თავს, როდესაც აღმოვაჩენ ყოველნაირ ბოროტმოქმედებას ჩვენს ქვეყანაში. და თუ ის საშუალება მექნება, რომ ამნაირ პირებს ჩამოვადრობ ნიდაბს, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი თანამიგრძობენ და ამასთან მადლობასაც მივიღებ სალხისაგან.<sup>1</sup>

სერჟუტოვსკიმ მამხილებელ წერილებში დაინახა თავისი სახელის დამცირება და გატეხა, საჩივრით მიმართა თბილისის სასამართლო პალატას და მოითხოვა: როგორც კორესპონდენტ ივანე აბაშიძის, ისე გაზეთ „დროებას“ რედაქტორის სერგეი მესხის და მისი ადრინდელი რედაქტორის ილია ჭავჭავაძის სამართალში მიცემა და დასჯა „სასჯელის დებულების“ 1035-ე მუხლის ძალით.

სასამართლო პალატაში საქმე გასარჩევად დინიშნა 1882 წლის 7 ივლისს, მაგრამ საქმის განხილვას არ შეეძლო. „დროება“ თავის მკითხველებს ატყობინებდა: „გუშინ, სამშაბათს, თბილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო ჩვენი გაზეთის რედაქტორის ს. მესხის, ადრინდელი რედაქტორის ი. ი. ჭავჭავაძისა და ამ გაზეთის (1180 წ. № 20-30-ში) დაბეჭდილი კორესპონდენციების საჩივრით. ბ. სერჟუტოვსკი — წევრი ქუთაისის საგლეხო პრისუსტიისა, სჩიოდა, რომ შემოსხენებულ კორესპონდენციებში შურაყცხყოფა მომაცუნესო (დიფამაცია) და დამაზავვენი „სასჯელთა დებულების“ მე-1035 მუხლის ძალით დასჯილი იყვნენ, მაგრამ ეს საქმე გუშინ არ იქნა განხილული, რადგან სამი მოწამე: თ. ი. აბაშიძე, ბ. ფურმანი, და ლენჩევსკი სასამართლოში არ გამოცხადდნენ და რადგან ორივე მხარემ: პროკურორმა და ბრალდებულმა ერთხმად განაცხადეს, რომ ამათი ჩვენება საქმის გამოსაკვლევად აუცილებლად საჭიროა, ამის გამო ამ საქმის განხილვა სასამართლომ ენკენისთვისათვის გადადვა.“<sup>2</sup>

ეს საქმე გაირჩა არა 1882 წლის სექტემბერში, არამედ 28 ოქტომბერს. სასამართლო პროცესზე სამართალში მიცემულმა თ. ი. აბაშიძემ წარადგინა დამამტკიცებელი საბუთები, რაც სასამართლო პროცესზე წაიკითხეს კიდევ. სასამართლომ მოისმინა სერჟუტოვსკის და დ. ლენჩევსკის ჩვენებები. სერგი მესხი და ილია ჭავჭავაძე თავის მხრივ ამტკიცებდნენ, აბაშიძის წერილებში მოყვანილი გარემო-

1 „დროება“, 1880 წ., № 30.

2 „დროება“, 1882, № 139.

ებანი მართალიაო, პროკურორი ბ. ბიკოვი კი მოითხოვდა: კორესპონდენტი აბაშიძე უნდა დაისაჯოს სამი თვით ციხეში ჩასმით, რედაქტორ სერგი მესხის უნდა გადახდეს 30 თუმანი ჯარიმა, ხოლო თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელიც მხოლოდ ოფიციალურ რედაქტორად ითვლებოდა „დროებისა“, 25 მანეთი ჯარიმა გადახდეს;

პროკურორის პოზიცია სწორი არ იყო, მაგრამ სასამართლომ მაინც სრულიად უმართებლო განაჩენი გამოიტანა: ი. აბაშიძეს მიუსაჯა ერთი თვით პატიმრობა, სერგი მესხს კორესპონდენციების ბეჭდვის დროს გამოჩენილი უყურადღებობისათვის გადახდეს 10 თუმანი ჯარიმა, ხოლო ი. ჭავჭავაძეს ასევე გადახდეს ორთუმანანხევარი ჯარიმა<sup>3</sup>.

იმავე 1895 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერია“ დაბეჭდა კორესპონდენცია საჩხერიდან, რომელშიც უხილებული იყო ვინმე მაშკინი. კორესპონდენტი ჭკიცხავდა მაშკინის საქციელს იმის გამო, რომ იგი ბანქოს თამაშობდა საავადმყოფოში, როცა მძიმე ავადმყოფი მიუყვანეს და მას ყურადღება არ მიაქციათ. „ივერიის“ კორესპონდენცია გადაბეჭდა თბილისის რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ“, რომლის რედაქტორი მაშინ ვ. მ. თუმანიშვილი იყო.

მაშკინმა საჩხერელი კორესპონდენტის წერილში თავისი შეურაცხყოფა დაინახა და თბილისის სასამართლო პალატაში აღძრა სისხლის სამართლის საქმე ილია ჭავჭავაძისა და ვ. თუმანიშვილის წინააღმდეგ.

1895 წლის 19 დეკემბერს სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე. მაშკინმა თავის დაცვა თვითონვე იკისრა. ილია ჭავჭავაძესა და ვ. თუმანიშვილს იცავდა ნაფიცი ვეილის თანამშემუშე ვ. მ. დოლუხანოვი. სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ: სასამართლო პალატის თავმჯდომარე გ. ვ. კარნოვიჩი, წევრები: სტადინსკი და გლუზანოვსკი, ხოლო ბრალდებულად გადიოდა პალატის პროკურორის ამხანაგი ხოლოდოვსკი.

მომჩივარი მაშკინი სასამართლოში ამტიკიცებდა, იმ დღეს მე სოფლის საავადმყოფოში ვიყავი, გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები სიკრუტა, მართალია, ავადმყოფი მოიყვანეს, მაგრამ მომავლადი იყო და ამიტომ არ მივიღეო. გაზეთები ჩირქსა სცხებენ ჩემს სახელს და მოვითხოვ თავ. ი. ვ. ჭავჭავაძე და თავ. ვ. მ. თუმანიშვილი დასაჯოთ „სასჯელთა დებულების“ 1139, 1140 მუხლების ძალითო.

ილია ჭავჭავაძემ და ვ. თუმანიშვილმა თავი დამანაშავედ არ ცნეს. პროკურორი ხოლოდოვსკი მოითხოვდა ორივე უნდა დაისაჯონ. ბრალდებულთა დამცველმა ადვოკატმა პ. დოლუხანოვმა თავის დაცვის სიტყვაში თქვა: „კორესპონდენციების

პირველ ნაწილში ბანქოს თამაშის შესახებ მაშკინის სახელი არც „ივერიაში და არც „ნოვოე ობოზრენიეში“ ნახსენები არ არის და არ გვეხმის თავისი თავი რათ უცენია მაშკინს. იმ ანდასასავით ხომ არ მოუვიდა მას, რომ „ქურდს ქუდი ეწვისო“.

რაც შეეხება ავადმყოფის მიუღებლობას, ეს რომ სწორედ ასე ყოფილა, ამას შემდეგი გარემოება ამტიკიცებს. მე სასამართლოს ვურდვენ ქუთაისის საექიმო გამგებლობის მოწერილობას, რომელიც შეპკითხებოდა აკაკასიის სამკურნალოს მმართველობას, გაზეთებში დაბეჭდილ კორესპონდენციათა გამო. იგი იწერებოდა, რომ მაშკინს როგორც დამნაშავეს მძიმე ავადმყოფობის მიუღებლობისათვის, სრული გასტუმრება დაუპირეთ, მაგრამ მიღებული იქნა რა მხედველობაში მისი ხანგრძლივი სამსახური, უფროსი ფერშობის თანამდებობიდან უმცროსად დაგნიშნეთ და დაეგუქრეთ, რომ თუ კიდევ ჩაიდნეს ამგვარ საქციელს, დათხოვნილი იქნება სამსახურიდანო.

ეს საბუთები ამტიკიცებს, რომ მაშკინი მართლა დამნაშავე ყოფილა და ბრალდებულნი გთხოვთ გაამართლოთ“<sup>4</sup>

სასამართლომ ადვოკატ პ. დოლუხანოვის მიერ წარდგენილი საბუთები საქმეს დაურთო.

სასამართლო პალატამ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ი. ჭავჭავაძე და ვ. თუმანიშვილი გაამართლდა.

1895 წლის გაზაფხულზე ახალგაზრდა თედო სახოკიამ თბილისში გამოსცა „აკაკის ნაკვეთები“. ილია ჭავჭავაძის გაზეთმა „ივერიაში“ ამ წიგნაკზე დაბეჭდა ფელეტონი „საბიბლიოთეკაში შენიშვნა“, რომელსაც ხოლს აწერდა „ჩიორა“, რაც ამავე გაზეთის თანამშრომლის არტემ ახნაზაროვის ფსევდონიმი იყო.


ფელეტონის ავტორმა სასტიკად გააკრიტიკა წიგნის გამოცემელი თ. სახოკია, რადგან მასში მოთავსებული ნაკვეთების დიდი ნაწილი აკაკის კუთვნილება არ არისო და თვითონ სახოკიას მიერ არის შეთხზული. ფელეტონის ავტორი წერდა: „აკაკის ნაკვეთებში ბევრი ისეთია, რომ აკაკის სულ არ ეკუთვნის, მაგრამ მისი სახელი აქვს მიკერებული. დამატებაში აკაკიას არაფერია, იგი თავიდან ბოლომდე თვით თ. სახოკიას შინაგანი ბუნების ნაყოფია და დიდი ცოდვია, რომ პატივცემულს მწერალს ვინმემ ასეთი უკადრისობა აქნევინოს“<sup>5</sup>

საინტერესო და ნიშანდობლივი იყო: როცა აკაკი წერეთელმა მისი სახელით გამოცემული „ნაკვეთები“ წაიკითხა, აღფიქრებულმა მასწინვე წერილი დაწერა და გიორგი წერეთლის „კვალს“ გადასცა. წერილი დაიბეჭდა: აკაკი წერდა: „რაც მოლა მასრადინს სიკვდილის შემდეგ მოუვიდა, ის მე სი-

<sup>3</sup> „დროება“, 1882 წ. № 224.

<sup>4</sup> „ივერია“, 1895 წ., № 275.

<sup>5</sup> „ივერია“, 1895 წ., № 79.



ცოცხლეშივე შემართება, ისეთ რამეებს იმეორებენ ჩემ ნათქვამად და ჩემს ნაკვესებს ეძახიან, რომელიც მე პირველად მესმის ხოლმე. ბევრი მათგანი ისეთი უწმაწური და უმნიშვნელო ნათქვამია, რომ ჭვიკვის და ფიქრობ: თუ არა გონებაჩლუნგს, ვის უთქვამს ეს ვითომ „მოსწრებული“ და ან სხვები როგორ იმეორებენ. ზოგჯერ ჩემ ნათქვამსაც იმეორებენ, მაგრამ ისე დამტვრეულად, თითქმის აღარა გამოდის-რა. ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად მე თვითონვე ვიკისრე ახლა, რომ შევეკრიბო და ცალკე წიგნად გამოვცე ნამდვილი ჩემი ნაკვესები, მარტო მისთანები, რომელთაც მხოლოდ საზოგადო მნიშვნელობა აქვთ და შეეხებიან ასე თუ ისე ჩვენი ცხოვრების საგანს. ხოლო რაც შეეხება სხვების ნათქვამს და დასტამბულს, „ვითომ ჩემ ნათქვამად“, ვთხოვ მკითხველს, ისევ მილა მასრადინს მიაწეროს და მე თავიდან ამაშოროს.“<sup>6</sup>

მაგრამ, თედო სასოკიამ „ივერიის“ „ფელეტონში“ მაინც თავისი მძიმე, პიროვნული შეურაცხყოფა დაინახა და „ივერიის“ რედაქტორ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე სასჯელთა დებულების 1040 მუხლით და მოითხოვა მისი სამართალში მიცემა და დასჯა.

ამ ამბავს გამოუმხაურა გაზეთი „კავკაზი“, რომელიც თავის მკითხველებს აუწყებდა: „ამ მოკლე ხანში თბილისის ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე ვიღაც სასოკიასი, რომელიც ქართულ გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ ილია ჭავჭავაძეს უჩივის. ამ რამდენიმე თვის წინათ ბ-ნმა სასოკიამ დაბეჭდა წიგნაკი შემდეგის სათაურით: „აკაკის ნაკვესები“, რომელსაც დართული აქვს აკაკის სურათი. რამდენიმე ხნის შემდეგ „ივერიაში“ დაიბეჭდა ფელეტონი, რომლის ავტორი ბ-ნი ჩიორა (ფსევდონიმია), ამბობდა, რომ ნაკვესებში ბევრი რამ უზნეოა, ამის გამო სასოკიას შეუტანია საჩივარი გაზეთის რედაქტორ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ სასჯელთა წესების 1040 მუხლის ძალით. საქმე ჯერ-ჯერობით სასამართლოს შესამე განყოფილების გამომძიებელთან არის.“<sup>7</sup>

სასამართლო გამომძიებელმა საქმე მალე ოლქის სასამართლოს გადასცა.

ბრალდების ფორმულა ასეთი იყო: „ქ. თბილისში მცხოვრებ კერძო ბრალმდებლის (თ. ს. (თედო სასოკია — ვ. ს.) საჩივრით სამართალში იქნა მიცემული ქართული გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ 1895 წლის აღნიშნული გაზეთი № 79-ში დაუშვა გამოხდომა, რაც მდგომარეობს აღნიშ-

ნული კერძო პირის მიმართ ავად სხენებასა და ლანძღვაში.“<sup>6</sup>


სასამართლომ გამოიწვია მომჩივანი თედო სასოკია, რომელსაც ადვოკატი კ. კ. ხერხეულიძე იცავდა და ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თვითონ იკისრა თავის თავის დაცვა.

სასამართლოს პროცესზე ილიამ წარმოთქვა ურდიულად დასაბუთებული სიტყვა, რითაც სასამართლოს დაუტკიცა, რომ თედო სასოკიასთან დავაში გაზეთის რედაქცია მართალი იყო, როდესაც აკაკი წერეთლის სახელით თ. სასოკიას მიერ გამოცემული „ნაკვესები“ გააკრიტიკა ჟურნალისტმა „ჩიორამ“. გაზეთის მასალები ცენზურამ გასინჯა და ნება დართო გაზეთის გამომშვებისა. მე აქ თედო სასოკიას შეურაცხყოფას ვერ ვხედავო — დასძინა მან.

შემონახულია ამ სიტყვის ფრაგმენტი, რაც აქვე მოგვყავს: „რაშია მომჩივანის შეცდომა და ამასთან თქვენი შეცდომა, ბატონო მოსამართლენო? ჩვენგან უმადურობა იქნებოდა დღევანდელი დღე ხელიდან გავვშა და არ გამოგვეყენებინა ეს შეცდომა სხვების გასაგონად, საჯაროდ, საქვეყნოდ. აი, ეს შეცდომა: მე რა თქმა უნდა უარს არ ვყოფ ჩვენი გაზეთის № 79-ში დასახვლებული ფელეტონის დასტამბვის ფაქტს, მაგრამ მომჩივანისთვისაც და თქვენთვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ გაზეთი „ივერია“ ცენზურაქმნილია, რაც გათვალისწინებულია საცენზურო წესდებულების 61-ე მუხლში, რომლის ძალითაც იმ გარდახდომილობისათვის, რაც ეხება სასჯელდადებულების 1040 მუხლს, მიეცემა მხოლოდ ცენზორი და არა რედაქტორი ამ გაზეთისა“.

სასამართლომ მოუსმინა მხარეებს, პროკურორს და გამოიტანა განჩინება: „საოლქო სასამართლომ მოისმინა რა საქმე ბრალდებათა გამო გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის დანაშაული გათვალისწინებული სასჯელთა ზედა წესდებულების 1040 მუხლით, მოისმინა აგრეთვე სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების მასალების შინაარსი და მხარეთა კამათი და ის, რომ მხარეებმა უარი განაცხადეს შერიგებაზე, საოლქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებული ი. ჭავჭავაძის განმარტება არის სწორი და მართალი, რაც დაფუძნებულია საცენზურო წესდებულების 61-ე მუხლის დისპოზიციის საფუძველზე, რის გამოც მის მიმართ კერძო ბრალმდებლის მიერ წამოყენებული ბრალდება ჩაითვალოს უკანონოდ. აღნიშნულისა გამო საოლქო სასამართლომ დაადგინა: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, მის მიერ გამოცემულ ქართულ გაზეთ „ივერიაში“ 1895 წ.

<sup>6</sup> „კვალი“, 1895 წ., 23 მაისის ნომერი.  
<sup>7</sup> გაზეთ „კავკაზი“, 1895 წ., 24 მაისის ნომერი.  
<sup>8</sup> ილია ჭავჭავაძის საქმე, არქივი № 1373, ფონდი № 3.



№ 79-ში მოთავსებულ მღვდლის შვილს თ. ს. მიმართ გამოთქმული ავად ხსენებასა და ლანძღვის ბრალდებაში ცნობილი იქნეს უდანაშაულოდ და სასამართლოს მიერ გამართლებული. საქმეზე ნიეთ-მტიციების სახით დართული გაზეთის აღნიშნული ნომერი დაბრუნდეს უკან ბრალმდებელ „თ. ს.“.<sup>9</sup>

ამას არ დასჯერდა თედო სახოკია და სააპელაციო საჩივარი შეიტანა ამჟერად უკვე პალატაში.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა პალატის წევრი ა. პ. ფრანცკოვი. წევრებად იყვნენ: ვ. ვ. კარპოვიჩი და ვ. კ. ორლოვსკი.

პალატაში გამოცხადდა ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც სასამართლოს განუცხადა:

„მე ვადასტურებ, რომ თედო სახოკია ნამდვილად არის გაკიცხული „ივერიის“ ფურცლებზე, „ჩიორას“ ფელეტონში.

ამის გავიგებდითანავე წამოვდგა თ. სახოკიას აღვოკატი კოროლკოვი და სასამართლოს მიმართა: „რაკი სალიტერატურო ეთიკა აქ ნამდვილად დარღვეულია და თავადი ილია ჭავჭავაძეც არ უარყოფს თავის ბრალულობას, იგი დასჯილი უნდა იქნესო“.<sup>10</sup> ამის საპასუხოდ ილიამ თავის სიტყვაში სთქვა: „ბატონი კოროლკოვი თხოვლობს ჩემს დასჯას სალიტერატურო ეთიკის დარღვევისათვის. დასჯას იმ კაცისას, რომელმაც სწორედ იმ სალიტერატურო ეთიკის დარღვევისათვის და უმართლებლობისათვის იკისრა სხვისი გაკიცხვა. ბ-ნს ვეჭილის სიტყვასა და საქმეს შორის ლოგიკურს კავშირს ვერ ვხედავ. თ. სახოკიას მიერ გამოცემული წიგნაკი უწმაწურობით სავსეა, ისეთი უწმაწურობით, რომ მისი აქ გამოჩენა მეთაკილება. ხოლო თუ ამას უარსა ჰყოფს ჩემი ბრალმდებელის ვეჭილი, აი,

ხელთა მაქვს დაბეჭდილი საბუთი. (ილია ჭავჭავაძემ, რომელსაც ამ დროს ხელში ეჭირა „აკაკის ნაკვეთები“ მოსამართლეს გაუწოდა ვ. ს.) და თუ საჭიროდ დაინახავთ, გთხოვთ გარემე ხალხის დაუსწრებლად გაარჩიე თეს საქმე, რადგან მისი სახალხოდ გადათარგმნა უწმაწურობისა და უმართებულ შინაარსის გამო საზოგადოებისათვის უკადრისობად მიმაჩნია. მაშინ დარწმუნდებით, რომ თ. სახოკია სწორედ ღირსი იყო გაკიცხვისა, ავად-ხსენებისა, ასეთი შინაარსის შაირების შეკრებისა და გამოცემისათვის. კანონი შესაძლებლად არ ხდის ჩემს დასჯას, ხოლო წინებობრივად მე მართალი ვარ“.<sup>10</sup>

სასამართლოს წევრი კ. გ. კარპოვიჩი შეეპასუხა ილია ჭავჭავაძეს და ჰკითხა: „მე მაგ წიგნაკის ყელაზე აკაკის სურათსა ვხედავ. ეგ სურათი რადა შუაშია“.

ილია ჭავჭავაძემ კარპოვიჩს ამაზე უპასუხა: „ღიბს, აკაკის სახელით არის მონათლული „შაირები“ და აკაკის სასახელიდ უნდა ვთქვა, რომ მან გაზეთში დაბეჭდა და უარყო „ნაკვეთები“.

სასამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა მიიღო შესაბამისი განაჩენი, რითაც დაამტკიცა თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი, უარყო და უშედეგოდ დატოვა სააპელაციო საჩივარი.<sup>12</sup>


აქვე მოგვყავს ეს განაჩენი:

1898 წელი, 28 ნოემბერი. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებულებით, თბილისის პირველმა დეპარტამენტმა, სამსჯავრო სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ა. პ. ფრანცკოვი, პალატის წევრები: ვ. ვ. კარპოვიჩი და ვ. კ. ორლოვსკი, მდივნის თანაშემწე ნ. ფ. ვასილიევი, პალატის პროკურორის ამხანაგის ივანოვის მონაწილეობით მოისმინა საქმე კერძო ბრალმდებლის, თედო სახოკიას რწმუნებულის — კონსტანტინე ხერხეულიძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენზე, გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის თავად ილია ჭავჭავაძის ბრალდების გამო სს დებულების 1040 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ამ საქმიდან ჩანს, რომ კერძო ბრალმდებლის, თბილისის მცხოვრების, მღვდლის შვილის თედო სახოკიას საჩივრით აღძრული იყო ბრალდება ქ. თბილისში გამოცემული ქართულ გაზეთის „ივერიის“ რედაქტორის თავად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იმაზედ, რომ ხსენებული გაზეთის 1895 წლის № 79-ში მან გაუშვა წერილი სათაურით „ორი წიგნაკი“, „ჩიორას“ ხელმოწერით, უდაოდ შეურაცმყოფელი მისი — სახოკიას ღირსებისა და აღსავსე ლანძღვა-გინებით, მაგრამ გარკვეული გამაწილებელი გარემოების მოყვანის გარეშე, რისთვისაც სახოკია მოითხოვდა თავად ილია ჭავჭავაძის დასჯას სასჯელთა დებულების 1040 მუხლით გათვალისწინებული უმაღლესი ღონისძიებებით.

სასამართლოში, სამართალში მიცემული თავ. ჭავჭავაძე, მის მიმართ ბრალდების წაყენების შემდეგ არ უარყოფდა ფაქტს იმის შესახებ, რომ გაზეთ „ივერიის“ № 79-ში მართლაც მოთავსებულია სახოკიას შესახებ შეურაცხყოფილი ცნობები, მაგრამ განმარტა, რომ ეს გაზეთი ცენზურის დაქვემდებარებული გამოცემაა და საცენზურო წესდების 61-ე მუხლის შინაარსის მიხედვით სასჯელთა დებულების 1040 მუხლით გათვალისწინებული ქმედობისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ცენზორს,

9. იქვე. არქივი № 1973, ფონდი № 3.  
 10. „ივერია“, 1895, № 225.  
 11. იქვე.  
 12. ცსა, ფონდი 113, საქმე 1856, ფურც. 2-3.  
 დედნისეული.



რედაქტორი კი ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება დევნილი იყოს.

სამართალში მიცემულის ასეთი განმარტება თბილისის საოლქო სასამართლომ მიიჩნია სწორად და საცენზურო წესდების 61-ე მუხლის პირდაპირი აზრის შესაბამისად, რის გამოც სცნო რა ბრალმდებელ სახეობის მიერ თავ. ჭავჭავაძის მიმართ წაყენებული ბრალდება უკანონოდ 1896 წლის 24 ივლისს დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

სააპელაციო განცხადებაში ბრალმდებელი სახეობის რწმუნებული თავადი კონსტანტინე ხერხეულიძე საპასუხოდ ამტკიცებს, რომ სასჯელთა დებულების 1044-ე მუხლი უდავოდ ადგენს რედაქტორის პასუხისმგებლობას ყველა შემთხვევაში, ხოლო 1886 წლის № 34 საკასაციო გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ რედაქტორი შეიძლება მიცემული იყოს სამართალში დებულების 1040 მუხლითაც. რედაქტორი პასუხს არ აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც შეურაცხყოფილია თანამდებობის პირი და რედაქტორი, როგორც პიროვნება, რომელიც მთავარი მონაწილეა ჩადენილი დანაშაულისა პასუხს უნდა აგებდეს.

ამის გამო აპელატორი მოითხოვს საოლქო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და თავ. ილია ჭავჭავაძის დსჯას დებულების 1040 მუხლით.

ამ საქმის განხილვის შედეგად სასამართლო პალატას საოლქო სასამართლოს განაჩენში სწორად შიაჩნია, რომლითაც უარყოფილია გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ თავად ილია ჭავჭავაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელთა დებულების 1040 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რადგან განაჩენი ემყარება საცენზურო წესდების 61-ე მუხლის ზუსტად აზრს, რომლის მიხედვითაც დაქვემდებარებული გამოცემაში, კერძო პირის შესახებ შეურაცხყოფილი ცნობების და ლანძღვა-გინების

მოთხოვნისათვის, მაგრამ გარკვეული გამაწილებელი გარემოების აღუნიშნავად, დაშვებულია მხოლოდ ცენზორის პასუხისმგებლობა; აპელატორის მოთხოვნას კი სასჯელთა დებულების მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს გამოცემის რედაქტორის პასუხისმგებლობას, ყველა შემთხვევაში, როგორც მთავარი დამნაშავესა, პერიოდულ გამოცემებში მოთავსებული წერილების შინაარსისათვის, არ გააჩნია სწორი საფუძველი, რადგანაც ცენზურის დაქვემდებარებულ გამოცემაში რაიმეს გამოქვეყნება გაპირობებულია ცენზორის შეხედულებით, რომელიც მოქმედებს შემდგომი უფროსების მიერ მიცემული ინსტრუქციების და არსებული კანონების საფუძველზე, ამიტომაც პასუხისმგებელია ასეთ გამოცემაში სასჯელთა დებულების 1040 მუხლით ხსენებული წერილების გამოქვეყნებისათვის ცენზურა. ამ საპასუხისმგებლობით უკვე გამოირიცხულია გამოცემის რედაქტორის პასუხისმგებლობა. სასჯელთა დებულების 1044 მუხლი ითვალისწინებს სხვა შემთხვევებს, რომლისაც რედაქტორი პასუხისმგებელი პირია.

ამ საფუძველებით სასამართლო პალატა განსაზღვრავს: დამტკიცდეს საოლქო სასამართლოს განაჩენი თავად ილია ჭავჭავაძის შესახებ. კერძო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნეს უშედეგოდ.

სასამართლო პალატის თავმჯდომარე: ა. პ. ფრანცოვი.

პალატის წევრები: ვ. კ. კარპოვიჩი,  
ვ. კ. ორლოვსკი.

ამ საინტერესო ამბებზე მასალები და ცნობები მხოლოდ აქა-იქ და ისიც კანტიკუნტად თუ მოიპოვება. ჩვენ, რაც კი შევიძელით, მოვიპოვეთ ეს მასალები და ამ წერილში გამოვიყვანეთ.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების ღონისძიებათა შესახებ“ განკარგულების მიზნით

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულ-მა საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწიეს აღნიშნული ბრძანებულების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებების შესასრულებლად.

ადგილობრივი საბჭოები სესიებზე და აღმასკომების სხდომაზე უფრო ხშირად იხილავენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. საბჭოების უმრავლესობასთან შექმნილია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, შინაგან საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროებმა, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა.

ამავე დროს, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რესპუბლიკაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ახსიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.


მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ჯერ კიდევ ვერ დარაზმეს ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ლოთობასთან საბრძოლველად, ვერ უზრუნველყვეს მათი მუშაობის კოორდინაცია. სათანადო ყურადღება არ ექცევა ლოთობის გავრცელების მიზეზების შესწავლას, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, შრომისა და დასვენების, მშრომელთა თავისუფალი დროს შინაარსიანად გამოყენების პრობლემებს და სხვ. სრულიად არადამაკმაყოფილებელია ამ საქმეში დეპუტატების, საბჭოების მუდმივი კომისიების, ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთ აღმასკომთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები, ხოლო არსებულ კომისიებს საბჭოები არასაკმარისად ეხმარებიან და აკონტროლებენ (მახარაძის, თელავის, ზესტაფონის რაიონები, ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონი და სხვ.).

ადგილი აქვს მაგარი სპირტიანი სასმელების გაყიდვის შემთხვევებს იმ ობიექტებში, სადაც ეს აკრძალულია, განსაკუთრებით კი მსხვილი საწარმოების, მშენებლობების, სასწავლებლების, საბავშვო და ეხებულებების, სადგურების, აეროპორტების მახლობლად, მასობრივი დასვენების ადგილებში (ქ. ქუთაისი, თელავი, ზესტაფონი, ცხაკაიას და ხულოს რაიონები). ზეგჯერ არყისა და კონიაკის რეალიზაციის უფლების მოპოვების მიზნით სავაჭრო წერტებს უცვლიან სახელწოდებას. სათანადო ყურადღება არ ექცევა იმას, რომ სავაჭრო ობიექტებში სასმელები არ მიჰყიდონ არასრულწლოვანებსა და მთერალ პირთა და სხვ.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას, სიმთვრალისათვის დაჯარიმების ან გამოსაფხიზლებელში მიყვანის შესახებ არ აცნობებენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვ; არ იკვლევინ არასრულწლოვანის სიმთვრალეში ჩათრევის კონკრეტულ ვითარებას, არ ავლენენ შინამოხდელი არყის რეალიზაციის ფაქტებს;

სოფლის ყრილობებზე, მოსახლეობისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე იშვიათად იხილვენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი წარსულის ისეთი მავნე ზეგავლენებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად როგორცაა ქელები, ნათლობა, რელიგიური დღესასწაულები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება.



**დამნაშავეობასთან ბრძოლისა და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ-ღონისძიებათა განხორციელების მდგომარეობის შესახებ ქ. ტყეშელაშვილი**

ტყეშელაშვილის საქალაქო საბჭომ და მისდამი დაქვემდებარებულმა სასოფლო საბჭოებმა უკანასკნელ პერიოდში გარკვეული მუშაობას დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელმწიფო დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად, მაგრამ ქალაქ ტყეშელისა და მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო საბჭოებში ჯერ კიდევ ბევრია სამართალდარღვევებისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევა.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

სუსტად მუშაობენ ქალაქის საბჭოს ახალგაზრდობის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიები, აგრეთვე აღმასკომთან არსებული აღმინისტრაციული, სამეთვალყურეო, ლიბოებისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები.

მიმდინარე წელს გაიზარდა არასრულწლოვანთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევათა რაოდენობა. საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და განათლების ორგანოების უყურადღებობის შედეგად

გად არის სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვისა და გაკეთილებების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები, განსაკუთრებით სიღამის სკოლებში. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა აღზრდა-გამოსწორების საქმეს.

საბჭოების ბევრი დეპუტატი თავის საარჩევნო ოლქში საჭირო ინიციატივას არ იჩენს და არ მოწაწილებს სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მთელ რიგ შემთხვევებში სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგური სასამართლოების როლს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებანია ქალაქის აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში. ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად საკმარისი რაოდენობით არ ეწყობა ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები, სამართლის საკითხებზე პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა სხვა საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყველა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

\* \* \*

პრეზიდიუმის სხდომაში მოწაწილებდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. მეგრელიშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაიურაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ა. ხუროძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. ზედგინიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე გ. ბიწაძე, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. შვიშვილი,

ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. კობახიძე, ტყეშელის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. შარვაძე, მახარაძის, თელავის, ზესტაფონის, ონის, წითელწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ა. გობრონიძე, ნ. იანვარაშვილი, ზ. ფერაძე, ბ. მინდელი, ი. ბალაშვილი, დმანისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. დემენტიევი. (საქინფორმი).





## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

#### საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში წორიერით ცვლილებისა და დამატების შეთანხმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 252-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 252.** ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დამზადება ან გასაღება.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შექმნა ან შენახვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შექმნა, შენახვა ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა ან შენახვა, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, ქონებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზა-

დება, შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონებისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით.

ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა წარმოების, შენახვის, გაცემის, აღრიცხვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

2. 81 მუხლში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები)“.

3. მე-12 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები)“.

4. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები)“.

5. 541 მუხლის მესამე პუნქტში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, მუხლი 2521)“ შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები, მუხლი 2521)“.

6. 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „(252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, მუხლი 2521)“ შეიცვალოს სიტყვებით „(252-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილები, მუხლი 2521)“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოწინიძე  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭავაძე.

თბილისი, 1974 წლის 10 იანვარი.

## პიკვედი მონობრაჟია აჟექტიკა დანაშაულზე\*

სამართლის მეცნიერებასა და ფსიქოლოგიას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ეს კავშირი იმით არის პირობადებული, რომ როგორც მართლზომიერ, ისე არამართლზომიერ ქცევას ინდივიდის ფსიქიკა წარმართავს. ფსიქიკურ კანონზომიერებათა დადგენა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სისხლისსამართლებრივი პრობლემების, მაგალითად, დამნაშავეს ქცევის, ბრალის, დანაშაულებრივი ქცევის მოტივას კვლევას. ამ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება აგრეთვე აფექტური დანაშაული.

აფექტური დანაშაულის სპეციფიკის დადგენა უმთავრესად გულისხმობს ორი არსებითი საკითხის გადაწყვეტას: 1) აფექტური დანაშაული ინდივიდის ნებელობითი მოქმედებაა თუ არა და 2) რატომ აწესებს კანონმდებელი შედარებით უფრო მსუბუქ სასჯელს ასეთი დანაშაულისათვის.

მოსენიებული საკითხების საფუძველზეა აგებული სარეცენზიო ნაშრომის არქიტექტონიკა. იგი სულ ექვსი თავისაგან შედგება და მორცავს საძიებელი საკითხების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.


პირველ ყოვლისა, თ. შავგულიძე განიხილავს ქცევის პრობლემას სისხლის სამართალში. მას უსწოროდ მიაჩნია თეზისი, თითქოსდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ნებისმიერი მოქმედებისათვის იყოს დაწესებული. იგი აბათილებს ამ თეზისს და ასაბუთებს, რომ ასეთი პასუხისმგებლობა შეიძლება დაუკავშირდეს იმპულსურ მოქმედებასაც. აქ ავტორის წინაშე ასეთი სიძნელე წარმოიშობა: თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმპულსურ მოქმედებასაც უკავშირდება, მაშინ სად უნდა ვეძებთ კავიციების საფუძველი ასეთი მოქმედებისათვის? ჩვენი აზრით, ამ სიძნელის მოსახსნელად მან საინტერესო გზა შეარჩია. აკად. დ. უხანაძის განწყობის თეორიის მომარჯვებით თ. შავგულიძე ცდილობს გამოძებნოს ნებისმიერი მოქმედებისა და იმპულსური მოქმედების საერთო საფუძველი. ასეთ საერთო საფუძველად მას დანაშაულებრივი ქცევის განწყობა, ანუ მოთხოვნილების სიტუაციის მიხედვით ინდივიდის მთლიანი წინასწარი მოდიფიცირება მიაჩნია. მაგრამ განწყობა უშუ-

ალოდ არ გადადის ქცევაში. ინდივიდს თავისი ცნობიერების წყალობით შეუძლია არ დაქვემდებაროს აქტუალური სიტუაციის საფუძველზე წარმოშობილ განწყობას. სწორედ ცნობიერების ჩართვის ფაქტი აქცევს ინდივიდის მოძრაობას ნებელობით მოქმედებად ანუ ქცევად. იმპულსური მოქმედებისას კი არსებობს ამ მოქმედების გაცნობიერების შესაძლებლობა. „სუბიექტს რომ არ ჰქონდეს წარმოდგენის შესაძლებლობა, იგი რომ მოკლებული იყოს ცნობიერებას, მაშინ მისი განწყობა დაუყოვნებლივ ქცევაში გადავიდოდა და აქტუალური მოთხოვნის თითოეული იმპულსი უმალვე შესაბამის ქცევას გამოიწვევდა“ (გვ. 13). მართალია, იმპულსური მოქმედების დროს ინდივიდი მოქმედებს აქტუალური მოთხოვნის უშუალო ზემოქმედებით წარმოშობილი განწყობის საფუძველზე, მაგრამ მას აქვს სრული შესაძლებლობა ასეთი მოქმედების გაცნობიერებისა.

იმპულსური მოქმედების ბუნების გამორკვევის შემდეგ ავტორი ადგენს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ინდივიდი საზოგადოებრივად საშუალო მოქმედებას სჩადის. ამით იგი ახერხებს თანდათანობით დააკონკრეტოს თავისი კვლევის უშუალო საგანი. იმპულსური მოქმედების ერთ-ერთი (და არაერთადერთი) სახე შეიძლება იყოს აფექტი. ასეთ ვითარებაში დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად დამნაშავეს აღძვრება შურისძიების მოთხოვნილება, რაც მის ცნობიერებაში რისხვის ემოციად აისახება. „აფექტის დროს ინტენსიური ემოცია ეუფლება სუბიექტის ცნობიერებას ისე, რომ გამოირიცხება სხვა ემოციის წარმოშობის შესაძლებლობა. მაგრამ ამით ჯერ კიდევ მოშლილი არ არის სუბიექტის ნებელობითი სფერო. ადამიანს შეუძლია იმოქმედოს არა მარტო ემოციის გარეშე, არამედ ინტენსიური ემოციის საწინააღმდეგოდაც, ე. ი. ადამიანს შეუძლია მოთოკოს ინტენსიური ემოციით გაძლიერებული მოთხოვნილების იმპულსი. ამიტომ აფექტის მდგომარეობაში რისხვის სუბიექტს ნებისყოფის განსაზღვრული დაძაბვით შეუძლია თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან“ (გვ. 18).

ინდივიდი, აფექტში ჩადენილი დანაშაულის

\* Тамаз Шавгулидзе, Аффект и уголовная ответственность. Из-во «Мецниереба», Тбилиси, 1973.



დროს, ისე, როგორც საზოგადოდ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისას, უგულვებელყოფის მართლწესრიგის მოთხოვნას, უფრო ფართოდ — სოციალურ კონტროლს. სოციალურ კონტროლზე მსჯელობა ავტორის მართლწინააღმდეგობის მომენტის დასაბუთებისათვის სჭირდება. როგორც ჩანს, ავტორი ერთობ გაუტაცია ამ საკითხს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი უმართებულად ედავება ი. ფარბერს. ფარბერის შეხედულებით, იურიდიული ფორმის მიღებამდე საზოგადოებრივი ურთიერთობები აისახება მართლშეგნებაში. „რა თქმა უნდა, — წერს თ. შავგულიძე, — საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც არსებობენ იურიდიულ ნორმებში რეგისტრაციამდე, აისახებიან ადამიანთა ცნობიერებაში, მაგრამ ისინი აისახებიან როგორც არასამართლებრივი ხასიათის სოციალური ურთიერთობები და საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროს მიეკუთვნება“ (გვ. 32). პირველად ყოვლისა, არ შეიძლება მართლშეგნება საზოგადოებრივ ცნობიერებას დაუბიროსპიროთ, რადგან მართლშეგნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. ამასთან, ავტორი ავიწროებს მართლშეგნების ცნების მოკულობას: მართლშეგნება მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობების პასიური რეგისტრაციით როდი ამოიწურება. მართლშეგნება განსაზღვრავს ქცევის ისეთ მოდელებს, რომელთა მიხედვითაც მომავალში წესდება ქცევის წესები ანუ სამართლებრივი ნორმები. ასეთ მოდელებს მართლშეგნება აყალიბებს არა თვითნებურად, არამედ ეკონომიური, პოლიტიკური, ეთიკური და სხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესწავლისა და შეფასების საფუძველზე. ამიტომ ამბობს ი. ფარბერი, რომ იურიდიული ფორმის მიღებამდე საზოგადოებრივი ურთიერთობები აისახებიან მართლშეგნებაში.

ნაშრომის მეორე თავში თ. შავგულიძე იკვლევს ემოციის ფსიქოლოგიურ ბუნებას და მის ზეგავლენას სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ემოციები ერთმანეთისაგან განსხვავდება ინტენსიურობით. რაც უფრო ღრმა და ინტენსიურია ემოცია, მით უფრო მეტად იპყრობს იგი ცნობიერების სფეროს, მით უფრო ძლიერ ახდენს ზემოქმედებას ქცევის თავისუფალ არჩევანზე. ნაშრომში განსხვავებულია ემოციის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი შეფასება. შეიძლება ემოცია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უარყოფითად ხასიათდებოდეს, მაგრამ ეთიკური თვალსაზრისით მან შეიძლება სუბიექტი დადებითად დაახასიათოს (მაგალითად, სიძულვილის ემოცია). ემოციურმა განცდამ, ინტენსიურმა ემოციამ შეიძლება პასუხისმგებლობა დაამძიმოს (მაგალითად, ხულიგ-

ნობის შემთხვევაში), ან პირიქით, შეამსუბუქოს (მაგალითად, დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო).

ავტორი ცდილობს კავშირი გააბას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში გაბატონებული ქცევის სტანდარტის, შაბლონის ზემოქმედებასა და აფექტს შორის. „... შურისძიების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, — წერს იგი, — მაღალი მართლშეგნების მოქალაქეს აფექტის მდგომარეობაშიც კი არ შეუძლია ჩიდიდნოს მკვლელობა, რადგან სამართლებრივი კონტროლის წყალობით მკვლელობა გამორიცხულია მის ქცევის შაბლონიდან. ასეთ შემთხვევაში მკვლელობის ჩასადენად აუცილებელია ნებელობის დაძაბვა, რათა მოტივაციის საშუალებით მკვლელობა აღქმული იქნას როგორც ქცევის შაბლონი“ (გვ. 60). ასეთი მოსაზრება საფუძველს არ არის მოკლებული. აფექტი, განსაზღვრული აზრით, ემოციური კულტურის არარსებობას გამოხატავს, მაგრამ ყველა შემთხვევაში აფექტის ფაქტს ცალკეული სოციალური ჯგუფის ქცევის შაბლონის ზემოქმედებით ვერ ავხსნით. შეიძლება ინდივიდი საზოგადოდ დადებითი სოციალური ჯგუფის შაბლონით ხელმძღვანელობდეს, სწორედ ამ ჯგუფს თვლიდეს თავისი მიზანძვის ეტალონად, მაგრამ მაინც ვერ ასცდეს აფექტს. აქ მორალური პასუხისმგებლობის ასეთ ჯგუფზე გადაკისრება მეტისმეტი იქნებოდა. ემოციის, როგორც სინამდვილის ასახვის ერთ-ერთ ფორმას, კავშირი აქვს ნერვული სისტემის ტიპოლოგიურ თავისებურებასთან. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ ემოციის ინტენსიობის მიზნების კვლევისას არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმასაც, თუ რომელი სახის ტემპერამენტით ხასიათდება მოცემული ინდივიდი (სანგვინიკი, ხოლერიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი).

ნაშრომის მესამე თავი შეეხება აფექტური დანაშაულის სუბიექტური მხარის საკითხს. ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელსაც ავტორი აქ ასაბუთებს, ის არის, რომ აფექტური დანაშაული განზრახვი ბრალით ხასიათდება. „აფექტის დროს, — ნათქვამია ნაშრომში, — ძნელი არ არის დავასაბუთოთ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილი, რადგანაც აფექტური ქცევა შეიძლება განხორციელდეს ამ შედეგისათვის. ასეთ შემთხვევაში თვალსაჩინოა დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის ამკარად გამოხატული სურვილი, და სწორედ ეს სურვილი გვევლინება ქცევის აქტივობის წყაროდ. ამგვარად, აფექტურ დანაშაულში გვაქვს პირდაპირი განზრახვის ყველა ელემენტი“ (გვ. 91). უფრო მეტიც: ავტორის აზრით, ასეთ დანაშაულს მოტივიც ახასიათებს და მიზანიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნაშრომის ავტორი იმ-

პულსური მოქმედების არსებით ნიშნად მოქმედების გაცნობიერების შესაძლებლობას თვლის. სწორედ ამ ნიშნით განასხვავა მან იმპულსური მოქმედება ნებისმიერისაგან. თუკი აფექტი იმპულსური მოქმედების სახეა, მაშინ ერთობ საეჭვო ხდება ვექტობით აფექტურ დანაშაულში პირდაპირი განზრახვის ნიშნები. ერთდროულად აფექტის ჩათვლა შეუგნებელ, გაუცნობიერებელ ფსიქიკურ ფენომენად და გაცნობიერებულ ნასურვებ ფსიქიკურ ფაქტად ერთმანეთს ვერ ეგუება.

მეოთხე თავში ავტორი აყალიბებს ე. წ. მისატევებელი აფექტის ნიშნებს. უთუოდ სწორია მისი დებულება, რომ არ შეიძლება აფექტის მოტივების საკითხი სასამართლო მიხედულების საგნად ჩავეთვალოს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეთა თვითნებობის საფრთხე წარმოიშობა. ამის გამო უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ საკანონმდებლო სისტემებს, რომლებიც კანონშივე აყალიბებენ შემზღუფიველ პირობებს.

ავტორი აფექტური დანაშაულის ნიშნებს ორ ჯგუფად ყოფს: ფაქტობრივად და შეფასებითად.

იგი სამართლიანად წერს: „...ექვს გარეშეა, აფექტი პირველად ყოვლისა წარმოადგენს უშუალო რეაქციას დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე. მაგრამ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სუბიექტის ადრინდელი სულიერი ტრავმა გამოცოცხდება განსაზღვრულ ფაქტთან დაკავშირებით, რაც ამ ფაქტისათვის შეუსაბამო რისხვის აფექტის ემოციურ აფეთქებას იწვევს.“ (გვ. 110). აფექტური დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ანალიზის საფუძველზე ავტორი ასაბუთებს საკანონმდებლო წინადადებას შესაბამის მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს წინადადება მისაღებია; თ. შავგულიძეს მიიჩნია, რომ, მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის რედაქცია ასეთი უნდა იყოს: „განზრახი მკვლელობა, ჩადენილი უცარი ძლიერი სულიერი აღლეების დროს, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შურაძაცხოვით, აგრეთვე დაზარალებულის სხვა მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედებით, თუ ამ მოქმედებებმა გამოიწვიეს ან შეეძლოთ გამოეწვიათ მძიმე შედეგი...“ ასეთი რედაქციით შესაძლებელი ხდება თავიდან ავიცილინოთ 106-ე მუხლის განზრახვითი განმარტება, მაგალითად, მძიმე შურაძაცხოვის შინაარსის დადგენისას. გარდა ამისა, 106-ე მუხლის პროექტის ავტორისეული რედაქცია შესაძლებელს გახდის სათანადოდ შეფასდეს დანაშაულის აფექტი ისეთ შემთხვევა-

ში, როდესაც დაზარალებული, მართალია, უშუალოდ არ ხეყოფს მის ან მის ახლობელთა პიროვნულ სიყვითეს, მაგრამ მიმართულია სხვა, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებს, უცხო პირების კანონიერი ინტერესების წინააღმდეგ.

აფექტური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სარეცენზო ნაშრომის მეხუთე თავი. ავტორი აქ საგანგებოდ ეხება საკითხს აფექტში ჩადენილი ისეთი მკვლელობის კვალიფიკაციის შესახებ, რომელიც იმავდროულად შეიცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, რომ აქ 104-ე მუხლი კი არ უნდა გამოვიყენოთ, არამედ მუხლი აფექტში ჩადენილი მკვლელობის შესახებ (მუხ. 106). ასევე მისაღებია ავტორის მოსაზრება, რომ აფექტში მიყენებული სხეულის მსუბუქი დაზიანება იმ მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, რომელიც სხეულის მსუბუქ დაზიანებას ეხება, ხოლო აფექტის ფაქტი განხილულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. აქვე გვინდა ერთი მცირე შენიშვნა გავაკეთოთ: ავტორის აზრით, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცვლით აფექტში ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით. (იხ. გვ. 160-164). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში 187-ე მუხლის მესამე ნაწილი მთლიანად მოიცავს აფექტში თანამდებობის პირის მიერ ძალადობის გამოყენების ფაქტს. რაც შეეხება აფექტს, იგი, 38-ე მუხლის ძალით, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება.

მეექვსე თავში სწორად არის გამოჩნული აფექტური დანაშაული სხვა, მონათესავე დანაშაულთაგან. სასამართლო პრაქტიკისათვის დიდ სიძნელეს ქმნის აფექტური დანაშაულისა და აუცილებელი მოგერიების გადაშეცვლით ჩადენილი დანაშაულის გამოჩენის საკითხი. ამ საკითხზე ავტორის თვალსაზრისი მისაღებია. მისივე შეხედულებით, საზოგადოებრივად საშიშო თავდასხმის შეწყვეტის შემდეგ მიყენებულ ზიანის შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ მომენტს. „თუ ასეთ შემთხვევაში პირი მოქმედებს სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, მაშინ ქმედობა განხილული უნდა იქნას მოჩვენებით მოგერიებად... თუ პირს შეგნებული ქონდა, რომ ხელყოფა უკვე შეწყვეტილია და შესაბამისად აყენებს ზიანს დაზარალებულს შურისძიების ან შიშის მოტივით, მაშინ დანაშაული განხილული უნდა იქნას აფექტში ჩადენილად, რასაკვირვე-



ლია, იმ პირობით, თუ დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს უეცრად წარმოშობილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში იმყოფებოდა“ (გვ. 187). ასეთივე სუბიექტური მომენტი არის წამოყენებული დამნაშავის დაკავებისთვის საჭირო ღონისძიებათა ვადამეტების და აფექტური დანაშაულის გამიჯვნისათვის.

თ. შავგულიძის ნაშრომი ხანგრძლივი და ბეჭითი შრომის ნაყოფია. იგი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირველი მონოგრაფიაა, რომელიც საგანგებოდ აფექტური დანაშაულისადმი მიძღვნილი. ნაშრომი გამოირჩევა შესა-

ბამისი იურიდიული და ფსიქოლოგიური ლიტერატურის ღრმა ანალიზით. ნაშრომში ბევრი საკითხი ახლებურად არის დასაბუთებული, დაყენებული და გადაწყვეტილი. უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ სარეცენზიო ნაშრომში საკანონმდებლო საკითხების იურიდიულ-დოგმატიკური კვლევა განმტკიცებულია როგორც ვამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი სასამართლო პრაქტიკის მომარჯვებით.

თ. შავგულიძის ნაშრომი ჩვენი საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერების კარგი შენაძენია.

გ. ტყეშელიძე

# ინფორმაცია

## საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს სხდომა

1973 წლის 27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. რატინმა**.

მოხსენება — საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს მიერ 1972 წლის 29 ივნისს მიღებული რეკომენდაციების „რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს საშუალებებით მშრომელთა შორის სამართლის ცოდნის პროპაგანდისა და საბჭოთა კანონმდებლობის განმარტების მდგომარეობის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის თაობაზე — გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **პ. შამათავამ**.

რესპუბლიკის სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების (ფაკულტეტების) მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ უფროსმა რეფერენტმა, სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს სწავლულმა მდივანმა **ბ. ბაკურაძემ**.

მოხსენებით — რესპუბლიკაში სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ჯ. ლომაშვილი**.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გ. სერიოჯინმა**, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა **შ. პაპიძემ**, ვაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ **ბ. თათარიშვილმა**, საქინფორმის დირექტორის მოადგილემ **ვ. გელაშვილმა**, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა **ო. კაციტაძემ**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფ. **გ. უვანამ**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. **ნ. წერეთელმა**.

განხილულ საკითხებზე საბჭოს სხდომამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

**ნ. ლომიძე**

## თათბირ-სემინარი ბაქოში

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ ქ. ბაქოში მოაწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების თათბირ-სემინარი ადვოკატურის კადრების შერჩევისა და აღზრდის, აგრეთვე სტაჟიორებთან მუშაობის საკითხებზე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ა. აღიევმა**.

მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, ადვოკატურის განყოფილების უფროსი **ს. ნატრუსკინი**.

მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონ-

და დათმობილი საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობას. ამხ. ს. ნატრუსკინმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სასამართლოებში ადვოკატთა მონაწილეობით განხილულია მრავალი სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმე. 1973 წელს ქართველმა ადვოკატებმა წარმოება-დაწესებულებებში წაიკითხეს 9000 ლექცია, ხოლო პრესაში გამოაქვეყნეს 100 წერილი. საქართველოში 22 ადვოკატს მინიჭებული აქვს დამსახურებული იურისტის წოდება.

მოხსენებელმა ილაპარაკა იმ ადვოკატების



შესახებ, რომლებმაც ანგარების მიზნით ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული. აღნიშნა, რომ საქართველოში წელიწადნახევარში რამოდენიმე ადვოკატია მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებელი. მან დავით ქ. ბათუმის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის — შავიშვილის უკანონო მოქმედება. შავიშვილი ერთდროულად გაფორმებულ იყო რამდენიმე ორგანიზაციაში იურისკონსულტის თანამდებობაზე, ღებულობდა პენსიას და აგრეთვე ანაზღაურებას შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნის პერიოდში.

მომხსენებელმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმებს მოუწოდა, რომ გახედულად მიიღონ ადვოკატთა რიგებში ახალგაზრდა იურისტები. იგი შეეხო ადვოკატთა რიგებში საპენსიო ასაკის პირთა ყოფნის საკითხს და აღნიშნა, რომ ამჟამად საქართველოს ადვოკატთა 35 პროცენტი საპენსიო ასაკისაა, ამასთან იზრდება საპენსიო ასაკის ადვოკატთა რაოდენობა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს პოზიცია სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ძველი, გამოცდილი, ჯერ კიდევ შრომისუნარიანი ადვოკატები ჩამოსცილდნენ ადვოკატურის საქმიანობას. პირიქით, მძალდაკალოფიციური, ღრმადგანათლებული და ენერგიული საპენსიო ასაკის ადვოკატები კვლავაც უნდა შევიწარმინოთ ადვოკატთა რიგებში, რათა მათს მაგალითზე აღიზარდონ ახალგაზრდა სპეციალისტები.

ღრმად მოხუცებული ადვოკატები ხშირად ავადმყოფობენ, წლების განმავლობაში ვეღარ ასრულებენ სათანადოდ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას და აქვთ ძალზე დაბალი გამომუშევება. მათი პენსიაზე დადაყვანა, ცხადია, დაჩქარება ადვოკატურის დავაობლებებს ახალგაზრდა სპეციალისტები.

მომხსენებელმა თქვა, რომ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების წევრებად გამოცდილ ადვოკატებთან ერთად სასურველია არჩეულ იქნან ახალგაზრდა, პერსპექტიული სპეციალისტები, ამასთან ხაზი გაუსვა იმ ვარემოებას, რომ საქართველოში იურიდიული კონსულტაციების გამგეების თანამდებობებზე უმთავრესად 55 წლის ასაკზე მეტი ხნის ხალხი მუშაობს. საჭიროა ამ თანამდებობებზე დაინიშნონ უფრო ახალგაზრდები. მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ თავი შეიკავონ სხვადასხვა დარღვევებისათვის იუსტიციის, სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან განთავისუფლებული ხალხის ადვოკატურაში მიღებისაგან.


იმის საითუსტრაციოდ, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს პიროვნების ნაჩქარე-

ვად და შეუსწავლელად სამსახურში მიღებას, ს. ვ. მატრუსკინმა მოიყვანა შემდეგი მაგალითი: ქ. ტომსკში ადვოკატად მიიღეს სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის ადრე ნასამართლევნი, ვინმე დაურსკი, რომელიც შემდეგში დაინიშნა იურიდიული კონსულტაციის გამგედ. რამდენიმე ხნის შემდეგ მან კონსულტაციის სალონიდან მიითვისა 700 მანეთი, თან წაიღო საბუკედი მანქანა და მიიმაღა.

მომხსენებელმა თქვა, რომ შემუშავებულია სტაჟიორებთან მუშაობის ინსტრუქცია და სტაჟიორების ვაგლის სპეციალური პროგრამა. ინსტრუქციის თანახმად სტაჟიორებთან მუშაობის მიერ პასუხისმგებლობა ეკისრებათ იურიდიული კონსულტაციების გამგეებს. იუსტიციის სამინისტროები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას და დანტერესებას არ იჩენენ ადვოკატურის სტაჟიორების მიმართ, არ ამოწმებენ მათს საქმიანობას, აგრეთვე არ აწესებენ სათანადო კონტროლს იურიდიული კონსულტაციების გამგეების მუშაობაზე სტაჟიორებთან. იუსტიციის სამინისტროები წინადადებებს და დირექტივებს კი არ უნდა აძლევენ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმებს ამა თუ იმ პიროვნების ადვოკატად მიღების შესახებ, არამედ სათანადო კონტროლს და მეთოდურ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეში.

ამს. ხ. ნატრუსკინმა თათბირ-სემინარის მონაწილეებს გააცნო ადვოკატურის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც 13 მუხლისაგან შედგება. ილაპარაკა ადვოკატების გამომუშევების ნორმებზე. ღებულების პროექტი ადვოკატთა ხელფასის ანაზღაურების შესახებ მზად არის და მალე დამტკიცდება შესაბამისი ორგანოების მიერ. ამჟამად ადვოკატთა შრომის ანაზღაურება ყველა რესპუბლიკაში ერთნაირად არ ხდება. ზოგიერთმა რესპუბლიკამ თვითნებურად შეიტანა შესწორებები ამ ხაზით. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს შექმნის შემდეგ საჭირო გახდა შრომის ანაზღაურების ერთიანი სისტემის შემოღება.

თათბირ-სემინარზე სიტყვით გამოვიდნენ აზერბაიჯანის სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მესთიევი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმართველობის სამმართველოს უფროსი მ. კომახიძე, სომხეთის იურიდიული კონსულტაციის გამგე ტ. თათიოსიანი, ახალგაზრდა ბაქოელი ადვოკატი ფ. ყულიევი, ერევნელი ადვოკატი ზ. შაპოშნიკოვა, აზერბაიჯანელი ადვოკატი ე. ზეინალოვა, აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ფაღვა, სომეხი ადვოკატი ა. ბაღდასარიანი, ქ. თბილისის პირ-



ველი მისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი **ო. ლასხიშვილი**, ბაქოელი ადვოკატი **ნ. ქოჩაროვი**, კიროვობადელი ადვოკატი **ლ. მარქარიანი**, თბილისელი ადვოკატი **ჯ. ბაქრაძე**.

13 დეკემბერს თათბირ-სემინარის მონაწილეებს ადვოკატის ეთიკის, კულტურისა და საქმიანობის შესახებ ესაუბრა აზერბაიჯანის სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე, სამართლებრივი დაცვის საზოგადოებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ა. აბდულაევი**.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს

ბაქოელი ადვოკატის **ჯ. ნალბანდოვის** დაცვითი სიტყვა, რაც ჩაწერილი იყო მაგნიტოფონის ფირზე სამსჯავრო სხდომის დროს.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: ადვოკატმა **ფარსადანოვმა**, კიროვობადელმა ადვოკატმა **რავინმა**, თბილისელმა ადვოკატმა **ჟი-ჟიკინმა** და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის განყოფილების უფროსმა კონსულტანტმა **სუხარევმა**.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა **ამხ. ს. ნატრუსკინმა**.

**ს. ილინი**

## ს ა ე ე ს ნ ი მ რ მ ს ა ს ი ა

გაიმართა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის XXXI სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. **ბ. გუგუშვილმა**.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფ. **გ. უჯანას** მოხსენების თემა იყო „გაერო და საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის ზოგიერთი საკითხი“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგებისათვის არ არსებობს სუვერენულ სახელმწიფოთა მიმართ საკანონმდებლო პრეროგატივით აღჭურვილი უზენაესი ხელისუფლება. ამის შედეგია ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის ერთი და იგივე საკითხები სხვადასხვა სახელმწიფოს პრაქტიკაში სხვადასხვანაირი ნორმებით წესრიგდება, რაც ხელს უშლის საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცებას.

საერთაშორისო სამართალშემოქმედების სირთულე არა მარტო ისტორიულად, არამედ ამჟამადც გამოირჩევა საერთაშორისო სამართლის ერთიანი, სრული კოდიფიკაციის შესაძლებლობას.

საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა სახელმწიფოს გამოსვლამ პრინციპულად ახალი და მყარი საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას. ამ პროცესში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს სახელმწიფოთა თანამშრომლობა გაეროს მეშვეობით.

გაეროს წესდების მე-13 მუხლში ასახულია საერთაშორისო სამართლის პროგრესული


განვითარებისა და კოდიფიკაციის მიმართულებით გაეროს ფუნქცია. ამ ფუნქციის განსახორციელებლად გაეროს სისტემაში 1947 წლიდან არსებობს საერთაშორისო სამართლის კომისია.

საერთაშორისო სამართლის კომისიის სტატუტში უმართებულოდაა გამიჯნული ერთმანეთისაგან საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება და მისი კოდიფიკაცია, როგორც კომისიის საქმიანობის ორი, ურთიერთისგან განსხვავებული მიმართულება.

თავის პრაქტიკულ საქმიანობაში საერთაშორისო სამართლის კომისია სწორ პოზიციაზე დადგა, როცა გასცდა სტატუსის ჩარჩოებს და საკოდიფიკაციო მუშაობა ისეთი უნივერსალური შეთანხმებების შემუშავების გზით წარმართა, რომლებიც ავითარებენ მოქმედ სამართალს, აუქმებენ მოძველებულსა და ადგენენ ახალ ნორმებს ამა თუ იმ საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფის მიზნით.

გაეროს პრაქტიკა არ გაჰყვა საერთაშორისო სამართლის კომისიის სტატუტით გათვალისწინებულ საკოდიფიკაციო პროცედურას: კომისიაში მომზადებული პროექტი საერთაშორისო შეთანხმების საბოლოო სახეს იღებს სპეციალურ საერთაშორისო კონფერენციაზე და სახელმწიფოები მას ხელს აწერენ ნიქვე ამ გენერალური ასამბლეის მოწოდებით. ასე იქნა მიღებული ჟენევის 1958 წლის კონვენციები საზღვაო სამართლის საკითხებზე, ვენის 1961 წლისა და 1963 წლის კონვენციები დიპლომატიური და საკონსულტო კავშირ-ურთიერთობის შესახებ და სხვ.





ეს აქტები ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიის მეშვეობით განხორციელებული კოდიფიკაციის საგანია. საერთაშორისო სამართლის ესა თუ ის ჩვეულებითი ინსტიტუტი, ე. ი. საერთოდ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი. მეორე მხრივ, კოდიფიკაციად ვერ ჩათვლება ის უნივერსალური საერთაშორისო შეთანხმებანი, რომლებიც მომზადებულია გაეროს სხვა ორგანოებში და საბოლოოდ მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ. ეს შეთანხმებანი საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების აქტებია, ოღონდ ისინი კოდიფიკაციური არ არის.

მოხსენებით — „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა“ — გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. ლილუაშვილი.

სასამართლოს გადაწყვეტილება საბჭოთა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი აქტია, რომლითაც მთავრდება საქმის განხილვა და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესი — აღნიშნა მომხსენებელმა.

გადაწყვეტილების არსებითი სისწორე უნდა განვაფასავთ გადაწყვეტილების დასაბუთებულობისაგან. გადაწყვეტილების არსებითი სისწორე დასაბუთებულობის ერთ-ერთი ნიშანია, მაგრამ არსებითად სწორი გადაწყვეტილება შეიძლება არ იყოს დასაბუთებული.

დასაბუთება არ შეიძლება გავაიგივოთ აგრეთვე ჭეშმარიტებასთან. ჭეშმარიტება — ე. ი. მოცემულ შემთხვევაში — სასამართლოს დასკვნების სინამდვილესთან შესაბამისობა არ არის დასაბუთება, რადგან ის თვითონ მოითხოვს დასაბუთებას.

ლოგიკური თვალსაზრისით ყოველი დასაბუთება სწორედ ჭეშმარიტების გამართლებაა. პროცესუალური სამართლის თვალსაზრისითაც სასამართლოს მიერ დადგენილ ჭეშმარიტებას დასაბუთება ჭირდება. ამიტომ ცხადია, რომ არც ლოგიკური და არც პროცესუალური თვალსაზრისით სწორი არ არის, თითქმის დასაბუთება — ეს იყოს ჭეშმარიტება.

პრაქტიკული შეცდომა, რაც აღნიშნული ცნებების გაიგივების შედეგია, მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი ყურადღება გადაწყვეტილებაშია შემოქმედებისას ექცევა მის არსებით სისწორეს და ძალაში რჩება ისეთი გადაწყვეტილებე-

ბი, რომლებიც დაუსაბუთებელია, მაგრამ არსებითად სწორია.

მხარეთა შორის წამოჭრილი დავის არსებითად სწორი გადაწყვეტისათვის სასამართლომ უპირველესად უნდა დაადგინოს გარკვეული ფაქტები, ხოლო შემდგომ მისცეს მათ სწორი იურიდიული შეფასება. ამის შესაბამისად, გადაწყვეტილებაში აისახება სამართლის შემეცნებითი მსჯელობა და სასამართლოს შეფასებითი მსჯელობა. სასამართლოს ორივე ეს სხვადასხვა ხასიათის მსჯელობა დასაბუთებული უნდა იყოს.

სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობა დასაბუთებული იქნება, თუ ამ მსჯელობით გამოთქმულია ჭეშმარიტება და ის ეყრდნობა საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სწორ ლოგიკურ ანალიზს. გადაწყვეტილებაში ყოველთვის მითითებული უნდა იყოს, თუ რომელ მტკიცებულებებს ეყრდნობა სასამართლო და რა მოსაზრებით უარყოფს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

სასამართლოს შეფასებითი მსჯელობა დასაბუთებული იქნება, თუ იგი გამომდინარეობს იმ კანონის სწორი ანალიზიდან, რომელიც სასამართლოს მიერ განხილულ ურთიერთობას აწესრიგებს და, თუ გადაწყვეტილებაში მითითებულია იმ კანონზე, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეზე დადგენილი ფაქტების შეფასებისას.

სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობის ჭეშმარიტების კრიტერიუმთა პრაქტიკა უშუალო ან გაშუალებული სახით.

სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის სისწორის კრიტერიუმში კი არის სასამართლებრივი ნორმა, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ის მორალური ნორმები და სოციალისტური თანაცხოვრების წესები, რომლებიც არ არის ფიქსირებული კანონში.

შემეცნებითი და შეფასებითი მსჯელობების დასაბუთებაში დაშვებული შეცდომების გასწორება სხვადასხვანაირად ხდება. თუ შეცდომა დაშვებულია სასამართლოს შემეცნებითი მსჯელობის დასაბუთებაში, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს არ შეუძლია უშუალოდ გაასწოროს ეს შეცდომა. მან უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და გადასცეს საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თუ შეცდომაა სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის დასაბუთებაში, მაშინ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია თვითონ უშუალოდ გაასწოროს ეს შეცდომა და არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ, პროფ. ივ. სურგულაძის მოხსენების თემა იყო ალექსანდრე ამილახერის პოლიტიკური შეხედულებანი (1750—1802). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა. ამილახერის ნაშრომებში „გეორგიანული ისტორია“, „ბრძენი აღმოსავლეთისა“, „მოქმედება ატრახანში“ და მის წერილებში მოცემულია მრავალი საყურადღებო მასალა საქართველოს ისტორიიდან.

მომხსენებელმა ვრცლად გააანალიზა „ბრძენი აღმოსავლეთისა“-ში განვითარებული პოლიტიკური შეხედულებანი, და აღნიშნა, რომ ეს ნაშრომები პოლიტიკური შინაარსის ტრაქტატია, რომელშიც საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებით ორიგინალურად არის გადამუშავებული და გაზრებული ევროპელ განმანათლებელთა და საფრანგეთის ენციკლოპედისტების პოლიტიკური იდეები, ბრძენი აღმოსავლეთისა“ არის ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება საქართველოს ფარგლებს. ალ. ამილახერი თავისი ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნე, ნიჭიერი მკვლევარი და განათლებული ადამიანია. ჩვენ უნდა ვიამაყოთ ალ. ამილახერით, რომელმაც შეძლო მაშინდელი ევროპის მოწინავე იდეებს დაუფლებოდა და თავისი პოლიტიკური ტრაქტატით, მასში გატარებული პროგრესული იდეებით გვერდით ამოდგომოდა თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანებს.

მოხსენება თემაზე — „სესხის ხელშეკრულება გვიანფეოდალური ქართული სამართლის მიხედვით“ — გააკეთა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა გ. ნადარეიშვილმა.

ქართულ ენაში, რომელსაც ვალდებულებითი სამართლის სფეროში საკმაოდ განვითარებული ტერმინოლოგია მოეპოვება, „სესხის“ — იგივე „ვასხის“ — ეტიმოლოგია დელიქტური ვალდებულების ელფერისაა. როგორც ჩანს, წარმართული ხანის ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები თანდათან განვითარდნენ დელიქ-

ტიდან — აღნიშნა მომხსენებელმა. ამასთან უძველესი ვალდებულება წარმოადგენდა კომპოზიციას, „სისხლს“, დაკანონებულ გამოსასყიდს შურისძიების უფლებაზე უარის თქმისათვის, ზიანის ან ზარალის ანაზღაურებისათვის.

მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა სესხის ხელშეკრულებათა ინსტიტუტი გვიანფეოდალურ საქართველოში და აღნიშნა ის თავისებურებანი, რაც მას ახასიათებდა.

„სხვისშვილობა“ როგორც სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი — ესეთი იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ დ. ფურცელაძის მოხსენების თემა.


ბექასა და აღბუღას სამაზთის აღბუღასელი ნაწილი (XIV ს.) ითვალისწინებს ხელშეკრულებითს ურთიერთობას წელმაგარ გლეხსა და მის სამიწათმოქმედო მეურნეობაში შემოსულ „სხვისშვილს“ შორის — აღნიშნა მომხსენებელმა.

ვრცლად მიმოიხილა რა „სხვისშვილობის“ ინსტიტუტის ისტორია, მომხსენებელმა შემდეგი დასკვნა გააკეთა: „სახლისშვილობაც“ და „სხვისშვილობაც“ როგორც „ჩაგვრა-ექსპლუატაციის საშუალებები, რასაკვირველია, გვაროვნული წყობილების რღვევის მსვლელობაში გაჩნდა, უთუოდ, ჯერ პირველი — მეზობლის, თავისივე გვარისა თუ თემის დარბი წევრის შრომის მითვისება, რაშიც გადმონაშთურად გვარის წევრთა ურთიერთდახმარების ანარეკლიც მოჩანს, ხოლო შემდეგ მეორე — სხვაგნებურის, სხვა გვარის, თემისა თუ ტომის კაცის ექსპლუატაცია.

„სხვისშვილს“, ანუ გარეშე კაცის, შრომის გამოყენება მეურნეობაში სხვადასხვა იურიდიული საფუძვლით ხდებოდა, ერთგვარი საამბანაგო ხელშეკრულებით დაწყებული ვიდრე ყმის ყმობა-მოსამსახურეობამდე.

მოხსენება თემაზე „ფასეულობათა თეორია და დანაშაულის შემადგენლობის ბუნება“ გამოვიდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ტყეშელაძე.

ფასეულობის თეორიას უშუალო დამოკიდებულება აქვს სამართლის მეცნიერებასთან, — აღნიშნა მომხსენებელმა, — და ამდენად საბჭოთა ფილოსოფოსების მიერ უკანასკნელ წლებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები სათანადოდ უნდა იქნას გამოყენებული ცალკე-



ული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტი-  
სას.

შემდეგ მომხსენებელმა განიხილა იმ ზეგავ-  
ლენის მანვე შედეგები, რაც ბურჟუაზიულ  
აქსიოლოგიაში მოახდინა დანაშაულის შემადგენ-  
ლობის ბუნების კვლევაზე. ამ შეხედულებების  
რეაქციული ხასიათი იმით გამოვლინდა, რომ  
ქმედობის მართლწინააღმდეგობის დასადგენად  
განუსაზღვრელი კრიტერიუმებია წამოყენებუ-  
ლი. ამის გამო ქმედობის დანაშაულად აღიარ-  
ება მოსამართლის მიხედულების საგნად იქ-  
ცევა.

ფასეულობის თეორიის ერთგვარი შეუფასებ-  
ლობის შედეგად ზოგიერთმა საბჭოთა კრიმინა-  
ლისტმა დანაშაულის შემადგენლობას ისეთი  
ნიშნები მიაკუთვნა, რომლებიც სინამდვილეში  
მთლიანად სისხლისსამართლებრივი ნორმის და-  
მხასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ.

ფასეულობის თეორიის თვალსაზრისით ყო-  
ველგვარი სოციალური ნორმა და მათ შორის  
სისხლისსამართლებრივი ნორმა შეფასებით  
მსჯელობას წარმოადგენს. ნორმა არის მასშტა-  
ბი, ნიმუში მოდელი იმის განსასაზღვრავად, თუ  
როგორი უნდა იყოს ადამიანის ქცევა მოცემუ-  
ლი კოლექტივის, ორგანიზაციის, კლასის, სა-  
ზოგადოების თვალსაზრისით. იგი წარმართავს  
ადამიანის ქცევას მასში ასახულ საზოგადოებ-  
რივ ურთიერთობათა იდეალური მოდელის შე-  
საბამისად.

სისხლისსამართლებრივი ნორმა ქცევის გან-  
საზღვრულ წესს შეიცავს. ეს წესი გულისხმობს  
ან საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისაგან  
თავის შეკავების მოთხოვნას ან, პირიქით, სა-  
ზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედების ჩა-  
დენის აკრძალვას. სწორედ ქცევის ასეთი წე-  
სის წყალობით სისხლისსამართლებრივი ნორმა  
პოზიტიურ ღირებულებას წარმოადგენს.

დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი  
ნორმა ღირებულებით, შეფასებით მსჯელობას  
წარმოადგენს, არ ნიშნავს იმას, — განაგრძობს  
მომხსენებელი, — თითქოს იგი არ შეიცავდეს  
აღწერილობით ასპექტს. სისხლისსამართლებ-  
რივი ნორმის აღწერილობით დესკრიფციული  
ასპექტი იმით გამოიხატება, რომ მის დისპოზი-  
ციაში ნაგულისხმევი ქცევის წესის გარდა ასა-  
ხულია დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც  
აუცილებელი და თანაც საკმარისია სისხლის-


სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ამ-  
რიგად, სისხლისსამართლებრივი ნორმის დის-  
პოზიცია შეიცავს ქცევის წესს და დანაშაულის  
შემადგენლობას, რომელიც ამ წესის საწინააღ-  
მდეგო მოქმედების ნიშნებს ითვალისწინებს.  
ამის გამო სისხლისსამართლებრივი ნორმის დის-  
პოზიცია შეიძლება განვიხილოთ როგორც შე-  
ფასებითი მსჯელობისა და აღწერილობითი  
მსჯელობის ერთიანობა.

თუ სწორია დებულება, რომ დანაშაულის  
შემადგენლობა აღწერილობით მსჯელობას წარ-  
მოადგენს, მაშინ საზოგადოებრივი საშიშროება  
და მართლწინააღმდეგობა აღარ შეიძლება და-  
ნაშაულის შემადგენლობის ნიშნებად მივიჩ-  
ნოთ. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლ-  
წინააღმდეგობა მოქმედების, როგორც ობიექ-  
ტური სინამდვილის კონკრეტული ფაქტის  
იმანენტური თვისება კი არ არის, არამედ ამ  
მოქმედების შეფასება. ქმედობის საშიშ ქმედო-  
ბად აღიარება საზოგადოების მიერ ხდება, ხო-  
ლო ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ქმედობად  
მიჩნევა სისხლისსამართლებრივი ნორმის ფუნქ-  
ციაა. ამიტომ სწორი არ უნდა იყოს დანაშაუ-  
ლის შემადგენლობაში, როგორც აღწერილობით  
მსჯელობაში, ამ შეფასებითი ნიშნების შეტანა.  
დანაშაულის შემადგენლობა მოქმედებას კი არ  
აფასებს, არამედ აღწერს.

მომხსენება თემაზე — „კრიმინოლოგიური  
პროგნოზირების ზოგიერთი საკითხისათვის“ —  
გაკეთა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა  
**ნ. უგრებელიძემ**.

კრიმინოლოგიური პროგნოზირება არის და-  
ნაშაულობის და მისი ცალკეული სახეების რაო-  
დენობრივ და თვისობრივ მდგომარეობაში მო-  
სალოდნელი ცვლილებებისა და ტენდენციების  
მეცნიერული ვათვალისწინება დროის გარკვეულ  
მონაკვეთში, — აღნიშნა მომხსენებელმა.

კრიმინოლოგიური პროგნოზირების საბოლოო  
მიზანია შემუშავებულ იქნეს ღონისძიებანი  
მომავალში სამართალდარღვევათა ლიკვიდაციი-  
სათვის. ამასთან, კრიმინალური პროგნოზირება  
სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საქმე ის  
არის, რომ დანაშაულობა როგორც სოციალუ-  
რი სინამდვილის ნაწილი, ხასიათდება სირთუ-  
ლით, დინამიურობით, კავშირების ნაირგვარო-  
ბით, სხვადასხვა სახის ობიექტური და სუბიექ-  
ტური ფაქტორების ურთიერთშემოქმედებით.



არსებობს კრიმინოლოგიური პროგნოზირების ორი სახე: დანაშაულობის პროგნოზირება და ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირება.

დანაშაულობა წარმოადგენს ცალკეულ დამნაშავეთა თუ დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობის გარკვეულ ერთობლიობას, რომელიც სინამდვილის მოვლენათა განპირობებულობის უნივერსალურ კანონს ემორჩილება. ამიტომ დანაშაულობის პროგნოზირება პრინციპულად შესაძლებელია. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტატისტიკურ კანონზომიერებათა შესწავლა.

ინდივიდუური ანტისაზოგადოებრივი ქცევის პროგნოზირების საფუძველია იმ კანონზომიერებათა ობიექტური ხასიათი და იმ ფაქტორთა მიზნობრივი განპირობებულობა, რომლებიც განსაზღვრავენ პირის ანტისაზოგადოებრივ ქცევას. ცალკეული ინდივიდუალური ანტისაზოგადოებრივი ქცევის პროგნოზირება უფრო ნაკლები ალბათობით არის შესაძლებელი, ვიდრე დანაშაულობის პროგნოზირება.

ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ე. მასკარიანმა ვააკეთა მოხსენება — „მამობის დადგენა ახალი საოჯახო კანონმდებლობით“. მან აღნიშნა, რომ ქორწინებაში მყოფ მშობელთა ბავშვის წარმოშობა მტკიცდება ამ მშობელთა ქორწინების ჩანაწერით. გაცილებით უფრო რთულად დგას უკანონოდ დაბადებულ ბავშვთა მამობის დადგენის საკითხი.

ახალი საოჯახო კანონმდებლობით დაშვებულია უკანონო ბავშვთა მამობის დადგენის ადმინისტრაციული და სასამართლო წესი.

მამობის დადგენის ადმინისტრაციული წესით რეგისტრაციის საფუძველად ედება მშობელთა ერთობლივი განცხადება. მოცემულ შემთხვევაში წინ არის წამოწეული ნებელობითი ფაქტორი. კანონმდებლობის თანახმად მშობლებს, რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებიან შეუძლიათ მიმართონ მამის ორგანოებს ფაქტის დასადგენად მხოლოდ ბავშვის გაჩენის შემდეგ. აქ მომხსენებელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთი განცხადების შეტანა სასურველი იქნებოდა დასაშვები ყოფილიყო ბავშვის გაჩენამდე.

დედის გარდაცვალების, ან მისი ადგილსამყოფელის არცოდნის შემთხვევაში მამას უფლება აქვს მიმართოს მამის ორგანოებს მამობის ფაქტის სარეგისტრაციოდ, რისი უფლებაც ანალოგიურ შემთხვევაში არა აქვს დედას.

იმ შემთხვევაში, რედესაც ერთ-ერთი მშობელი არაა თანახმა მიმართოს მამის ორგანოებს ფაქტის დასადგენად, მამობა დგინდება სასამართლოს წესით. მამობის დადგენის საფუძველს წარმოადგენს: ა) დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და და საოჯახო მეურნეობის ერთობლივი წარმოება ბავშვის დაბადებამდე. ბ) ბავშვის ერთობლივი აღზრდა. გ) ბავშვის ერთობლივი რჩენა, დ) მტკიცებულებათა არსებობა, რომლებიც უეჭველად ამტკიცებენ მოპასუხის მამობას.

ამრიგად, საფუძველია წრე, რომლითაც დგინდება მამობა, სასამართლოს წესით მკაცრად განსაზღვრულია.

თ. ბაქრაძე

## საქართველოში აღზრდის მუშაობის ახალ ეტაპისათვის


საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახელში დევით — „მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა და მისი ამაღლება სადღეისო ამოცანა“ — გაიხსნა საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის დეკადი.

დეკადის გახსნას დაესწრნენ ქ. ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტებისა და ბიუროთა მდივნები, კომკავშირელი და პროფკავშირელი აქტივისტები,

ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, სახალხო რაზმელები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სკოლების ლექტორები და მასწავლებლები, მშობელთა საბჭოებისა და კომიტეტის წევრები, ქალაქის ინტელიგენცია.

აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ფხაკაძემ.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს ქ. ქუთაისის პროკურორის ა. ბარაბაძის მოხსენება —



„სოციალისტური კანონებების ლენინური პრინციპები“, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **დ. კუხანიძის** მოხსენება — „შინაგან საქმეთა ორგანოები მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში“, **ქ. ქუთაისის** სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის **ა. იობიძის** მოხსენება — „სახალხო სასამართლო დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

დასასრულ უჩვენეს სოციალისტური კანონების განმტკიცებისადმი მიძღვნილი კინოფილმები.

მომდევნო დღეებში ქალაქის საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციაში მოეწყო საინტერესო ღონისძიებანი. ორგანიკების სახ. საავტომობილო ქარხანაში, ლითოფონის ქარხანაში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სათაო წარმოებში, ხორცკომბინატში, ელექტრომექანიკურ ქარხანაში, გუმბათქვის დასახლებაში, ქიმიურ ქარხანაში, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხორცკარაქთეზგაჭრობის ბაზაში, მალდისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკებში, სამთო და ავტოტექნიკუმებში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში ლექცია-მოხსენებებით გამოვიდნენ **ქ. ქუთაისის პროკურორის** მოადგილე **შ. ცქიფურიშვილი**, პროკურორის თანამემწე **შ. გვეტაძე**, პროკურატურის უფროსი გა-

მომხიებელი **რ. ლაიძე**, სახალხო მოსამართლეები **ბ. სტურუა**, **ბ. ცხელაშვილი**, **გ. ჯაფარიძე**, **ქ. ტუკვაძე**, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეები **ნ. პერკინი**, **ზ. მუყავაძე**, შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური ქონების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი **ლ. სულაბერიძე**, შინაგან საქმეთა სამმართველოს გამომხიებელი **ზ. კლდიაშვილი** და სხვ.

დეკადის დღეებში მოეწყო საქალაქო საბჭოს დეპუტატების შეკრება, სახალხო რაზმელთა და ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეთა საქალაქო თათბირ-სემინარები, მიკროუბნის მცხოვრებთა საერთო კრებები.

დეკადის მიმდინარეობის პერიოდში რეიდების მეშვეობით გამოვლინდა ვაჭრობისა და სპირტის სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების და მართლწესრიგის სხვა დარღვევა, განხორციელდა ღონისძიებანი მათი აღკვეთისათვის, ქალაქის თეატრსა და კინოთეატრებში ნაჩვენები იქნა მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები მიძღვნილი საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი პროპაგანდისადმი.

\* \* \*

20—25 ნოემბერს თელავის რაიონში მოეწყო საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ხუთდღიური. იგი მოაწყეს საქართველოს კვ თელავის რაიკომმა, საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, იუსტიციის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა.

ხუთდღიურის პირველ დღეს რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი შეხვდარესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს. მოსმენილ იქნა მოხსენებები: „დამნაშავეობასთან ბრძოლა ჩვენი საერთო საქმეა“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანამემწე **ე. ბახუტაშვილი**), „მიწათსარგებლობა, ინდივიდუალური ბინათმშენებლობა და კანონი“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. კობახიძე**), „სა-

ქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **გ. ბახტაძე**).

მომდევნო დღეებში ლექცია-მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები ჩატარდა თელავის სამკერვალო ფაბრიკაში, კისისხევისა და წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, წინდების საქსოვ ფაბრიკაში, რუსისპირეთის, კურდღელაურის კოლმეურნეობაში.

„რა სარგებლობა მოგაქვს შენი სოფლისათვის?“ — ამ საკითხზე ისაუბრეს ნაფარეულის მშრომელთა სასოფლო ყრილობაზე.

სოფელ იყალთოში მოეწყო შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტისა და თელავის სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის გაერთიანებული მეცადინეობათემაზე — „სახელმწიფო და სამართალი“. საინტერესო ლექციებით მსმენელების წინაშე გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები **ნ. ლომსაძე** („ბუნება,

ადამიანი, კანონი“), ა. ფალიაშვილი („დამნაშავეობა და მასთან ბრძოლა“) და სხვ.

თელავის მასწავლებელთა სახლში სჯა-ბაასა გამართა პედაგოგებსა და მშობლებს შორის. მათი შეხვედრის დევიზი იყო „სკოლა, ოჯახი, კანონი“. სიტყვებით გამოვიდნენ კანთლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი გ. შუყილაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი არჯ. ლომიძე და სხვ.

ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შეხვედრა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან თემაზე: „ახალგაზრდობა, საბჭოთა მორალი და კანონი“. შეკრებილთ ესაუბრნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს

სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი შ. პაპიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი ბ. კარტოზია, იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი არჯ. ლომიძე, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფ. ქ. ქორთუა.

ხუთდღიურის მიმდინარეობის დღეებში ქალაქისა და რაიონის სოფლების კინოეკრანებზე უჩვენებდნენ საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს; მოეწყო რეიდები სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში ვაჭრობის წესების დარღვევათა გამოსავლინებლად, ტრანსპორტის მოძრაობის წესების დარღვევათა აღკვეთისათვის.

ლ. ისაბაძე



# მშახის ორგანოების პრაქტიკა

## 1. სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ აღსრულება არაუგვიანეს სამი წლისა მშახის ბიუროში რეგისტრაციის საშუალებით

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშახის ორგანოების სამმართველოს განცხადებით მიმართა მოქ. გ-ემ. იგი აღნიშნავდა, რომ ხელთ აქვს სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ, მაგრამ რატომღაც იმ საბაზით, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან განვლო ხუთმა წელმა.

მოქ. გ-ს განუმარტა, რომ მშახის ბიუროს მოქმედება სწორია და რომ ეს საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის მე-40 მუხლით, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვადად აწესებს არაუგვიანეს სამი წლისა.

ამასთან სამმართველომ განუმარტა მოქ. გ-ს, რომ თუ მეორე მეუღლეს უკვე გაფორმებული აქვს განქორწინება მშახის ბიუროში თავის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაშინ განმცხადებელსაც შეუძლია მის საფუძველზე ჩაწეროს განქორწინების აქტი.

განქორწინების აქტა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებელმა უნდა მიმართოს იმ მშახის ბიუროს, სადაც რეგისტრირებულია განქორწინების აქტი მეორე მეუღლის მიმართ.

განქორწინების თარიღად მოწმობაში ჩაიწერება ის დრო, როცა აქტი რეგისტრირებული იქნა განმცხადებლის მეუღლის მიმართ.

## 2. ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს დასაქორწინებელ პირთა მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშახის ორგანოების სამმართველომ მიიღო ვინმე კ-ძის საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ მოქ. ტ-ვი ჩამოვიდა ქ. მოსკოვიდან საცოლით თავის მშობლებთან და გატარდა ქორწინების რეგისტრაციაში ქ. თბილისის ერთ-ერთ მშახის ბიუროში მაშინ, როცა მოქ. ტ-ვი ქ. თბილისში არ იყო ჩაწერილი.

სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-ს, რომ

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 177 მუხლის შესაბამისად, ქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რის გამოც მოქ. ტ-ს უფლება ქონდა გატარებულიყო ქორწინების რეგისტრაციაში როგორც თავისი, ისე მშობელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

## 3. თუ პირი განქორწინების რეგისტრაციის დროს არ გამოთქვამს სურვილს ქორწინებამდელი გვარის დაბრუნების შესახებ, ამის შემდეგ გვარის გამოცვლა მოხდება მხოლოდ საერთო წესის საფუძველზე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშახის ორგანოების სამმართველოს მოქ. კ-მ მიმართა შეკითხვით იმის შესახებ, რომ მას განქორწინების აქტის რეგისტრაციის დროს გამოჩნდა მხედველობიდან დაებრუნებინა თავისი ქალიშვილობის გვარი, ხოლო ამჟამად მას არ სურს ატაროს თავისი ყოფილი მეუღლის გვარი და სურს დაბრუნოს თავისი ქალიშვილობის გვარი.

სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-ს, რომ საქართველოს სსრ-ში მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქციის 78 პუნქტის შესაბამისად, მეუღლე, რომელსაც სურს ატაროს ქორწინებამდელი გვარი, მოვალეა განაცხადოს ამის შესახებ განქორწინების რეგისტრაციის დროს. სხვა შემთხვევაში გვარის გამოცვლა მოხდება საერთო წესით.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქორწინების გვარის ქალიშვილობის გვარზე გამოცვლისათვის კ-მ უნდა მიმართოს მშახის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქორწინების გვარის ქალიშვილობის გვარზე გამოცვლისათვის კ-მ უნდა მიმართოს მშახის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**4. დასაქორწინებელ პირთა ასაკს შორის დიდი სხვაობა არ წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელ გარემოებას.**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მმაჩის ორგანოების სამმართველომ ცენტრალური გაზეთის რედაქციიდან მიიღო მოქ. ა-ს საჩივარი იმის შესახებ, რომ იგი ფაქტიურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფება მოქ. ბ-თან უკვე ოთხი წელია, ყავთ საერთო შვილი — 2 წლის გოგონა, მაგრამ მმაჩის ბიურო არ ატარებს მათ ქორწინების რეგისტრაციას იმ საბაზით, რომ დასაქორწინებელ პირთა ასაკში დიდი სხვაობაა, უფრო ზუსტად მამაკაცი 62 წლისაა, ხოლო ქალი 30 წლისა.

სამმართველომ მისწერა გაზეთის რედაქციასა და მომჩივანს ა-ს, რომ ქორწინების აქტის რეგისტრაციის დროს მმაჩის ორგანოები ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ საქორწინო

და საოჯახო კანონთა კოდექსის შესაბამისი მუხლებით და ინსტრუქციით „საქართველოს სსრ-ში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“, რომლითაც დასაქორწინებელ პირთა ასაკს შორის დიდი სხვაობა არ წარმოადგენს ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელ გარემოებას. კონკრეტულ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის ფაქტიურად უკვე შექმნილია ოჯახი, მათ ყავთ საერთო შვილი, მმაჩის ბიუროს უარი ქორწინების რეგისტრაციაზე უმართებულა.

ამასთან მმაჩის ბიურო ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა სწავლობდეს საკითხს, ადგილი ხომ არა აქვს ფაქტიურ დაქორწინებას ბინის ფართის დაპატრონებისა და სხვა ანგარებითი მიზნით.

**5. თუ ახალშობილის დაბადების რეგისტრაციის შემდეგ ბავშვის მშობლები დაქორწინდებიან დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის მონაცემების შეტანისათვის საჭიროა მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მმაჩის ორგანოების სამმართველოში შევიდა მოქ. ლ-ის საჩივარი იმის შესახებ, რომ ფაქტიურ ცოლთან ყავდა საერთო შვილი და იმის გამო, რომ მეუღლესთან არ იყო დაქორწინებული, ადრე მოქმედი საქორწინო კანონმდებლობის შესაბამისად, მმაჩის ბიუროს მიერ დაბადების აქტის რეგისტრაციის დროს ბავშვი გატარდა დედის გვარზე და მამის მონაცემები არ იქნა შეტანილი ჩანაწერში. ამჟამად განმცხადებელი და მეუღლე დაქორწინდნენ, მაგრამ მმაჩის ბიუროს არ შეაქვს სათანადო ცვლილებები ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, ე. ი. არ გადაყავს მამის გვარზე და არც მამის შესახებ ცნობები შეაქვს დაბადების სააქტო ჩანაწერში.

სამმართველომ განუმარტა მოქ. ლ-ს, რომ მმაჩის ბიუროს მოქმედება სწორია, რადგან ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შემდეგ მისი მშობლების დაქორწინება, კიდევ არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბავშვი ამ მამაკაცის შვილია. საჭიროა არსებული წესის შესაბამისად, მმაჩის ბიუროში მშობელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია, რის შემდეგაც ცვლილებები შეტანილი იქნება ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში.

ამასთან სრულწლოვან პირის მიმართ მამობის დადგენის აქტის რეგისტრაციის დროს საჭიროა სრულწლოვანის წერილობითი თანხმობა, რომელშიც აგრეთვე უნდა იყოს მითითებული, რომ სურს თუ არა მას გვარის გამოცვლა, თუ რჩება ძველ გვარზე.

**6. თუ ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი პათიმოზობაშია და ყავს შვილი ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობის შედეგად, ასეთი დაქორწინების რეგისტრაციას ახდენს მმაჩის ბიურო საპატიმოზო ადგილის ადმინისტრაციის ნებართვით.**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მმაჩის ორგანოების სამმართველოში შემოვიდა მოქ. კ-ს განცხადება იმის შესახებ, რომ თვითონ ცხოვრობს გულრიპოსის რაიონში, ქმარი სასჯელს იხდის კოლონიაში. ყავს მისგან საერთო შვი-

ლი, მაგრამ იმის გამო, რომ არ არის ქორწინების რეგისტრაციაში გატარებული, არ აძლევს ქმართან შეხვედრის უფლებას. განმცხადებელი კითხულობს აქვს თუ არა უფლება დაქორწინების და ვის უნდა მიმართოს ამის ნებართვისათვის.



სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-ს, რომ თუ ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი პატიმრობაშია და ყავს საერთო შვილი ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად, ასეთი დაქორწინების რეგისტრაციას ახდენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციის ნებართვით.

კონკრეტულ შემთხვევაში კი საჭიროა, რომ მან და პატიმარმა ერთობლივი განცხადებით მმართველს საპატიმრო ადგილის მიხედვით მმართველის ბიუროს, შვილის მიმართ მამობის დადგენის აქტის ჩასაწერად, რის შემდეგაც მამობის დადგენის მოწმობა უნდა წარედგინოს საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას, რომელიც მისცემს დაქორწინების ნებართვას.

#### 7. შვილად აყვანის აქტის გაუქმება წარმოებს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

საქართველოს სსრ ადვოკატურის, ნოტარიატის და მმაჩის ორგანოების სამმართველოს განცხადებით მიმართა მოქ. შ-მ იმის შესახებ, რომ მისმა დედამ შვილად აიყვანა შვილიშვილი, რომელიც გაფორმებულია მმაჩის ბიუროში შვილად აყვანის აქტის ჩაწერით. შვილად აყვანიდან 6 თვის შემდეგ დედა გარდაიცვალა მ-ის რაიონის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომმა გააუქმა შვილად აყვანა, კა-

ნონიერია თუ არა აღმასკომის ხსენებული გადაწყვეტილება.

სასამართლომ განუმარტა მოქ. შ-ს, რომ შესაბამისად საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კანონთა კოდექსის 118 მუხლისა შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით. რის გამოც აღმასკომის გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა.

ფ 26/81



3360 50 333.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР